


619

1999.



და შენც ქართველო,
სწავლითა
სამშობლო გაახარეო!



დროშა

№9-10
1999



მასსათვის პიბზელად სასწავლოებულში...


პიბზელი სეფცემბერი, პიბზელი ზანი. პიბზელი ნამიჯეში. გზა ცდენის უბზევი ცადბისაჟენ, ტენებმისა და იბერემის სამცაბთსაჟენ...

პიბზელულასელთა გულის სიმემის ნანაცბი ათბთლუმს, მათი გამბწყინებული სასეუმი, დაჟებელი წყებზელი მებცნბმულის მებცნბმისა. პიბზელი წიგნის – ბერა-ენის სელის მესემს...

პიბზელ მასწავლოებულთან მესზებბის მებრებელი განცდა...

ბიბზელი ცბადიციბმის ბებნი 47-ე სელის მასწავლოებულმა მბბინა ბესზეამებულმა უჟუ მებებბმებზე დაჟბბცა გზა ამ სელის აღსაზბბელუმს და პაცბა თათის ბგებუბბბთან და მის თანაცბლოებთან სამსსათებბ სურბათი გბბბბ.

გაზბბი „ნებგი“ 75 წლისაა



მთავარი სულაც არაა – რა გებია, შეიბლება დავიბი გებრებას და აღმამენებელი კი არა, დამანგრებელი იყო.

ჩვენ ბებერი რამ გავაფუჭებთ და დავგმებთ, პიბნერი გენიალური სიბყვაა, მაგრამ ბებრის ბვალბი სახელგბბეხილია იგი. ჩემბვის კი – პიბნერთა სასახლე, რომ არ ყოფილიყო. არც კი ვიცი, რამდენი რამ დააკლებბდა ჩემს თაბბას.

ასე იყო „ნებჩი ლენინელიც“. ბიბქოს უხებრხულად ჟღერს ლენინთან დაკავებირებული ყველაფერი, მაგრამ მე ამ გაზებს ვებრასბდეს დავივიწყებ. დღესაც სიყვარულით იგონებს ჩემი თაბბა. ამ გაზებბი ვებქდავბბი ლექსებს, მე და ჩემი მეგობრები. ამ გაზებბი მოგვბონდა ბავი, დღეს „ნებგი“ ჰებია გაზებს.

75 წლის სიყვარულით, საქბრბველო და ქბრბული ენა ნუ მოგიბბლოს ლმებბმა. ჩვენი თაბბის ბრბგულება და ნიჭი კვლავაც აღბრბინდეს შენს ფურცლებზე.

სიყვარულით გებფერები და ახლაც მზადა ვარ, ვიღვანბ შენს გებრბბით. 75 წლის „ნებგს“ გაუმბრჯოს!

615
1999



მსოფლიო აღიარება

ბერლინი. 1999 წ. ოქტომბერი.



21364


აი, კიდევ ერთ-ერთი იმათგანი, მხარს რომ უსწორებს ახალ თაობას, ვისაც ცხოვრების კრე- დოდ დიდი ილიასეული „მყოობადის შობის“ პრინციპი გაუხდია და შესწევს კიდევაც უნარი ამ ნა- დილის აღსრულებისა...

დავით გაბუნია.

დაამთავრა ქ. ფოთის ილია ჭავჭავაძის სახელობის მე-5 საშუალო სკოლა, ამჟამად იგი ი. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლი- სური ენის ფაკულტეტის პირველკურსელია.

სიმბოლოურია, რომ სკოლაცა და ინსტიტუტიც, რომელიც დათომ ცოდნის წყაროდ აირჩია, დიდი ილიას სახელს ატარებს, აგრეთვე თემა, რომლითაც მან სიმწიფის მისაღები საგამოცდო წერიტი ნამუშევარი წარმოადგინა ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ბრძენკაცის ცნობილი ნააზრვის ერთგვარი ხორცშესხმა იყო. ეს თანხვედრა კი შემთხვევითობა როდია, არამედ უკვე საკმაოდ რთული – ილიასეული გზის – არჩევანის სერიოზული განაცხადია.

აქვე ვბეჭდავთ იმ თემას, რომელშიც დავით გაბუნიამ გამოსაშვებ გამოცდაზე უმაღლესი შეფასება – „ფრიადი“ – დაიმსახურა იმ იმედითა და რწმენით, რომ ეს შეფასება მისი მომავალი წინსვლისა და წარმატების უტყუარი სარწყაოც გახდება.



ჩვენ უნდა ჩვენი პუპათ მყოობადი

ქაოსია ირგვლივ. ტრიალებენ კოსმიური ელემენტე- ბი, სივრცეში იკარგებიან საუკუნენი... დრო წარმოუდგენ- ლად აჩქარებულა და ყოველი წუთი, ყოველი წამი გვაახ- ლოებს საუკუნეს ოცდამეერთეს. მასა და ინდივიდი ერ- თმანეთში არეულა და სულ უფრო ძნელია საკუთარი „მე“ პოვნა. თუმცა როდის იყო ადვილი? მოდერნიზმისა და პოსტმოდერნიზმის სამყაროში ძნელია, თქვა ახალი სიტყვა, რაც არავის უთქვამს, რაც სხვას არ გამოუცდია... ყველაფერი უფერულდება, ყველაფერი კარგავს პირველ- ყოფილ სიხალისეს... და რიგით XX საუკუნეში იბადებიან საოცრების დალით აღბეჭდილი პიკასო და სალვადორ და- ლი, მატისი და შაგალი, ჯოისი და იჰაბ ჰასანი, ბროცკი და უმბერტო ეკო... სხვა მრავალნი და მრავალნი... და აღ- ბათ, მეოცე საუკუნის გენიოსი ორმაგად გენიოსია...

დადგა წელი 1999-ე და ამ მაგიურ ცხრიანებს მალე შეცვლის წული, რომელშიც მარადისობაა ჩატეული... მიქ- რიან წამები, წუთები, დღეები... ტრიალებს დედამინა ისე ისე, როგორც მრავალი მილიონი წლის წინ... სულს ლაფავს XX საუკუნე და ამ მაგიური დასასრულის მოლოდინში ფუს- ფუსებს დედამინა თავისი ექვსი მილიარდით, მასით, აღ-

რევითა თუ ინდივიდუალიზმით... სასიკვდილო სარეცელ- ზე წევს XX საუკუნე... მალე სულს განუტევებს ეს ვეშაპი და სიცოცხლეს ახალ ერას აჩუქებს. წამით შიში მიპყრობს ამ უსაზღვროების წინაშე – მე, მთელის ერთ პატარა ატომს, ერთ ექვსმემილიარდელს...

მომწუსხავია უსაზღვროება, ფეთქავს ყოველი ნერვი, ყოველი ძარღვი. ყოველ წამს სიახლე მოაქვს... XX საუ- კუნე გიჟური ტემპით როკავს და მეც ვტრიალებ ციბრუ- ტივით; ძნელია, არ ამოვარდე ამ საერთო ფერხულიდან, არადა, იგი სულ უფრო ჩქარდება, იძაბება...

ანდამატია XXI საუკუნე, ასე რომ გვიზიდავს და მეც ირონიულ – სატირული ხედვით თითქოს ახალ აღმოჩე- ნას ვაკეთებ: არსებობს უფრო დიდი მიზიდულობა, ვიდ- რე მზისა და დედამინისა – ეს არის დრო. მიჭირს გარკვე- ვა, რა არის სინამდვილე და რა ფანტაზია... და უნებურად XIX საუკუნის ლალადისი სწვდება ჩემს სმენას:

„ჩვენ უნდა ჩვენი ვუპათ მყოობადი, ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს!“

მხოლოდ ახლა ვხვდები, რა დრო გასულა...

„წინამურში რომ მოკლეს ილია, მაშინ ეპოქა გათავდა

ცოდნა უძლეველი განძია არსე- ბობისათვის, ბასრი ხმალი მოგე- რიებისათვის.

ცოდნა იმითაა კიდევ კარგი, რომ იმან უფროს-უმცროსობა არ იცის... ყველას ერთნაირად დაამ- შვენებს ხოლმე, ოღონდ კი კაცი გულმონდომილი და მონადირეუ- ლი მივიდეს ცოდნის კარამდის.

2 ცოდნა ხომ ხერხია, მაგრამ თვითონ, თავისთავადაც სიმდიდ- რე არის, მერე იმისთანა, რომ კა- ცი საცა წავა, თან მისდევს უხარ- ჯოდ და უბარგოდ, ვერცა ვინ მოჰ-

პარავს, ვერც ვინ წინ გადუდგება. ეხლანდელ დროში ცოდნა ყველა- ფერია: ფულზედაც უფრო დიდი ბა- ზარი აქვს, ხმალზედაც უფრო მე- ტადა სჭრის და ზარბაზანზედაც უფრო ძლიერია.

ცოდნა ანთებულ სანთელსა ჰგავს: ერთ სანთელზე რომ ათას სხვა სანთელს მოკიდო, სანთელს იმით არც ალი დააკლდება, არც სი- ნათლე, არც სიცხოველე, პირიქით, იმატებს კიდევ, რადგანაც ერთის მაგიერ ათასი სხვა სანთელი იმას- თან ერთად დაიწყებს ლაპლაპს.

ილია ჭავჭავაძე

მაგრამ მარტო წვრთნა რას იზამს, თუ ბუნებამც არ უშველა.

აკაკი წერეთელი

არას გარგებს სწავლულება, თუ არა იქმ ბრძენთა თქმულსა.

ცემა გმართებს გამზრდელისა, რა ყრმა ნახო ავად ზრდილი.

შოთა რუსთაველი

ისმინე, სწავლის მძებნელო! მოჰყევ დავითის მცნებასა,

დიდი!" გათავდა? გათავდა?! გათავდა! სახეშეცვლილი
სამყაროსა და მის ერთ პანანინა ნაწილში, საქართველო-
ში. ალბათ, გათავდა... საშინელი სიტყვაა „გათავდა“, ეს ხომ
რალაცის არადქმნას, გაქრობას, გაუჩინარებას ნიშნავს...
ეს როგორ? თუმცა XX საუკუნის შვილი ვერაფერმა ვერ
უნდა გამაკვიროვოს, მაგრამ... სწორედ ეს „მაგრამაა“ ყვე-
ლაფერი... და მე ვხვდები, სანამ იარსებებს თუნდაც ერთი
„მაგრამ“, ექვს მილიარდს აღრევა არ უნერია.

და ისევ „მაგრამ“, და ისევ „გათავდა“... თუმცა იქვე არ
არის: „ფანტასტიური გამოჩნდა ხიდი“? ამით ყველაფერია
ნათქვამი... ესე იგი, არაფერი გათავებულა, არამედ სხვადქ-
მნილა, ფერი უცვლია... საქართველო ისევ საქართველოა,
ქართველები ისევ ქართველები ვართ... მაგრამ, აი, ისევ
„მაგრამ“ ყოვლისმთქმელი და არაფრისმთქმელი. ვინ უნდა
დაძლიოს იგი, ეს გაორების ნისლი?

და აი, ცხოვრების ასპარეზზე გამოდის ახალი თაობა,
ახალი თავისთავად ნიშნავს ძველის უარყოფას, ამადაც
უნოდებენ მას ახალს. თუმცა, სრული უარყოფა როდია
იგი, არამედ სახესხვაობაა, ახალი ეპოქის ელემენტებით
გაჯერებული ჰიბრიდია, რომელსაც სიცოცხლე ისევ
ძველმა მისცა... ვხვდები, რომ განახლებაშია ცხოვრების
არსი, უფრო მეტიც, თავად სიცოცხლეც განახლებაა და
მეტი არაფერი. სიცოცხლის საზრისის პოვნა თითქოს ძნე-
ლია, მაგრამ, თურმე, ადვილი ყოფილა, ესაა, რომ თავად
ჩვენ ვართულებთ ყველაფერს... ალბათ, მესია სჭირდება
ჩვენს ეპოქას, რომ მიძინებული ადამიანები გამოაღვიძოს,
გართულებული ყოფა გაგვიმარტივოს, თუ არა ეს, XIX სა-
უკუნის ღაღადისი არას გვარგებს. იქნებ დიდი ილიასათ-
ვის ჩირქის მოცხებად ჩამითვალთ ეს სიტყვები, მაგრამ
მე უფრო იმ „ფანტასტიურ ხიდზე“ გავლის სურვილი
მაქვს... და ალბათ, გავივლი კიდეც...

მანამ კი XX საუკუნის აჩქარებულ ტემპში ვიკარგები
და ხელის ჩასაჭიდს ვეძებ, რომ როგორმე ექვსმა მილი-
არდმა არ ჩამნთქას... არ მინდა მერქვას „პატრიოტი“; არ
მინდა, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვიყვირო: სამშობლო მიყ-
ვარს-მეთქი! არც გალაკტიონის სიტყვებს გავიმეორებ.
„მშობლიური ჩემო მინავ, შენს საყვარელ სახელს ვფი-
ცავ...“; არამედ, ერთი ფილმის გმირივით, თვალს მოვაკ-

ლებ ამ მინას და გამიხარდება თუ ვინმე მეტყვის: „აი, ბალ-
ლო, ეს არის შენი სამშობლო!“

ვაი, რომ მესია არა ვარ და ჩემს შესაძლებლობებს ბევ-
რად აღემატება ქადაგება; თანაც კარგად მახსოვს: „ნუ
მრავალნი ჰმოძღვრიდეთ!..“ და მაინც, ვინა ვარ? წესიე-
რი, რიგითი ატომივით რატომ ჩემს ორბიტას არ ვუბრუნ-
დები! ალბათ, მოახლოებული XXI საუკუნის ბრალია. ალ-
ბათ, იმიტომაც, რომ უმოქმედობა არ შემძლია...

მაგრამ, რა მერე? ამ გაცოფებულ სრბოლაში მაინც ვე-
რაფერს გავხვდები. მაშ, რა? პასიურობა და უძრაობა? იქ-
ნებ თავი მოვიტყუოთ და დაგვყვით „ბინდისფერი სოფ-
ლის“ უკულმა ტრიალს?

არა და არა!
იქნებ, გამიჩნდეს კითხვა: „რამ შემქმნა ადამიანად,
რატომ არ მოვედ წვიმად?“

არა და არა!
იქნებ სინანულიც გამოვთქვა: „არ ჩანდა შენაპირი,
ვერ ვნახე ვერაფერი...“?

არა და არა!
მე მჯერა ოცდამეერთესი, მჯერა: „ყოველ ადამიანში
მზეა, ოღონდ აცადე, გამოანათოს!“

მანამდე კი ციბრუტივით ვიტრიალებ ორბიტიდან
ამოსროლილი, ოღონდ ისე, რომ თავბრუ არ დამესხას და
უქმი ყიალიც არ გამომივიდეს.

ექვსი მილიარდი ჩემთან ერთად შეხვდება საუკუნეს,
რიგით ოცდამეერთეს. ექვსი მილიარდი ადამიანი დედამი-
ნასთან ერთად იბრუნებს მზის ირგვლივ... და იშვება ახა-
ლი ერა... „მყოობადი“ გახდება „ანმყო“, ალბათ, უკეთე-
სიც... გვეყო პესიმიზმი და „შავი ხილვები“, რითაც ასე იყო
დამძიმებული XX საუკუნე. შეეკმნათ XXI საუკუნე ისეთი,
როგორიც გვინდა, ჩვენვე ვშვათ ჩვენი „მყოობადი“!

იქნებ ვინმეს ძნელ საქმედ მოეჩვენოს?
აბა, რას ამბობთ?!

ექვსი მილიარდი რას არ შეძლებს?
ჰოდა, ჩვენი ჯერია: „ბედი ცდაა, გამარჯვება, ღმერ-
თსა უნდეს, მო-ცა-გხვდების!“

გვფარავდეს ღმერთი!
ამენ!

დავით გააუნია

ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი,
თუ ეძებ გემოვნებასა.

სწავლა სიკვდიმდე შენია,
მუდამ შენთანა მყოფელი;
მას გეცილების ვერავინ
არ არის გასაყოფელი...
სხვას ყველას მახე უგია,
თავისა გასაყოფელი.

ცოდნა თან დასდევს მცოდნელსა,
რაზომსაც დაეტარების,
აქვს უხილავი საუნჯე,
ხელი არ შეეკარების;

არც ცხადით ძალით წაერთმის,
არც ძალვით მოიპარების,
ჭკუვა უხმარ არს ბრიყვთათვის,
ჭკვა ცოდნით მოიხმარების!

თუ კაცსა ცოდნა არა აქვს,
გასტანჯავს წუთისოფელი.

სწავლის ძირი მწარე არის,
კენწეროში გატკბილდების!

სჯობს ყოლა უწვრთის ძაღლისა,
უწვრთელი შვილის ყოლასა.

დავით გურამიშვილი


ავი და კარგი გარჩევით,
ვხედავ რომ ახლოს მიწყვია.
მინდა და სწავლის სიმოკლით
ცალ-ცალკე ვერ გამიყვია.

ყრმა სწავლაში მომშვიდდების,
რკინა ცეცხლში გარბილდების,
უსწავლელი ვაჟიკაცი
სიბერის დროს გაწბილდების.

საქართველოს
გარეგნული
პოლიტიკა

21.364

თაობა მოდის



თაობა მოდის!

რაოდენ ტევადი და ბევრისმომცველია ეს ორსიტყვიანი ფრაზა, განახლებისა და სახეცვლილების სიმბოლოდ რომ აღიქმება, სიცოცხლის არსისა და ცხოვრების საზრისის მარადიულობაზე რომ მიგვანიშნებს, მომავლის რწმენასა და იმედს რომ გვიღვივებს, უკეთესი მერმისისაკენ რომ გვახედებს.

ეს თაობა ჩვენი ანწყობა, ჩვენი ზვალინდელი დღეა, ჩვენი მომავალია და ჩვენი წარსულიცაა ამავდროულად. რადგანაც ახალი მარტოდენ ძველის უარყოფას, მის უგულვებლყოფას როდი ნიშნავს, არამედ ახალი ძველის სახეცვლილებაა, მისი განახლებაა და სწორედ ამ განახლებასა და სახეცვლილებაშია ცხოვრების, მარადიულობის არსი, მისი უსასრულობა...

თაობებს ინდივიდები ქმნიან. და ამ ინდივიდუალიზმის წარმოქმნასა და დამკვიდრებაში არც ისე ადვილია საკუთარი „მეს“ პოვნა. მიუხედავად ამ სიძნელეებისა, ეს „მე“ მაინც გამოიკვეთება ცხოვრების რთული დინამიკიდან და გამორჩეული სახითა და არსით მოგვევლინება.

საბედნიეროდ, ასეთი რჩეულები მრავლად არიან და ინდივიდთა მყარ და ურყევ ერთობლიობას წარმოქმნიან, რომელიც შემდგომ ახალი თაობის ამპლუაში განაგრძობს სიცოცხლესა და მოქმედებას.

რუბრიკა – „თაობა მოდის!“ სწორედ ახალ თაობათა ასეთი ინდივიდების გამოვლენასა და წარმოჩენას ისახავს მიზნად. თვალ-ყური მივაღვენთ მათ სახელებს.

გვახსოვდეს, როგორც ჩვენი ამჟამინდელი გმირი ამბობს: „წინ XXI საუკუნეა“ – მათი საუკუნე!

ნიკა გვარამია: არ ვიქნები მართალი, თუ ვიტყვი, გაიცანით-მეთქი, რადგან მას კარგად იცნობენ სატელევიზიო გადაცემა „ინტელექტკლუბის“ მოყვარულები და ასეთთა რიცხვი საკმაოდ ბევრია. მან თავისი ინტელექტუალური მონაცემებით, განათლებისა და ერუდიციის ფართო სპექტრით, ინდივიდუალიზმითა და ანალიტიკური აზროვნების გამორჩეული უნარით, არა მარტო მიიპყრო მაყურებლის ყურადღება, ბევრ მათგანს შეაყვარა კიდევ თავი. და როცა ნიკამ სხვადასხვა მიზეზთა გამო შეწყვიტა თამაშებში მონაწილეობა (შემდგომში ის ამ გადაცემის რედაქტორად მოგვევლინა გიორგი მოსიძესთან ერთად) ბევრ ჩვენგანს ძალიან დაწყვიტა გული. თუმცა ეს მისი ერთგვარი ჰობი ანუ ძალადაცვება. უფრო სერიოზული არჩევანი კარგა ხნის წინ გააკეთა, როცა თავის სპეციალობად მართლმსაჯულების საპატიო სამსახური აირჩია.

მანამდე კი მცირე დოსიე მისი ბიოგრაფიიდან:

დაიბადა 1975 წელს, სოხუმში. სწავლობდა სოხუმის XI საშუალო სკოლაში მე-11 კლასამდე. დაამთავრა თბილისის 57-ე საშუალო სკოლა, 1998 წელს თსუ იურიდიული ფაკულტეტი და იმა-

ვეწელს ჩაირიცხა უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასპირანტურაში კონსტიტუციური სამართლის სპეციალობით.

დედა – ქეთევან ხუხუა პროფესიით ინჟინერ-ტექნოლოგია, ხოლო მამა – ანზორ გვარამია – ფილოლოგი და იურისტი.

დანარჩენზე კი იმ კითხვა- პასუხიდან შევიტყობთ, რომელსაც აქვე შემოგთავაზებთ:

– „ჩვენ ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ“ – ამბობდა ეგზიუბერი; „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების“... ამავე აზრს განავრცობდა „ფიქრი მტკვრის პირას“ უკვდავი შემოქმედი. რა დააჩნდა შენს სულს ცხოვლად, აგერ, სულ ახლახან ჩავლილი შენი ბავშვური სამყაროდან?

– ბავშვობის როლი განუზომლად დიდია ყველა ადამიანის ცხოვრებაში. პრაქტიკულად, დროის ამ მონაკვეთში ხდება ადამიანის, ასე ვთქვათ, „დაპროექტება“ ანუ ფორმირება. მთელი ცხოვრების მანძილზე (მხედველობაში მაქვს ბავშვობის შემდგომი პერიოდი) იგი ხსნის საკუთარ თავს, ანუ ავლენს იმ თვისებებს, რაც მასში ბავშვობის დროს ჩამოყალიბდა. ძირითადი უნარ-ჩვევების გამოუმუშავება სწორედ ბავშვობაში ხდება, იმიტომ, რომ ადამიანი ამ დროს (პირდაპირი გაგებით) ისრუტავს ყოველივეს გარე სამყაროსაგან და შემდგომ აყალიბებს ფასეულობათა საკუთარ სისტემას. ამიტომაც დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოს, მიკროკოსმოსს, სადაც ბავშვი ვითარდება: უპირველეს ყოვლისა ოჯახს, შემდგომ უკვე – სკოლას, ქუჩასა და სხვა ფაქტორებს.

რაც დრო გადის, ვრწმუნდები, რომ ოჯახის როლი ადამიანის ცხოვრებაში განუზომლად დიდია. ოჯახური აღზრდის დეფიციტი ყველგან და ყოველთვის ვლინდება, როგორ კარგად და გულმოდგინედ არ ინილებოდეს და იჩქმალბოდეს, განსაკუთრებით – ექსტრემალური სიტუაციების დროს. ამის „თვალსაჩინო“ მაგალითს ხშირად ვხედავთ პირდაპირი ეთერით ტელევიზორის ეკრანიდან, რაც რბილად რომ ვთქვათ აღზრდის დეფიციტითაა გამოწვეული.

პირადად მე ისეთი რამ, რაც ჩემს ბავშვობას „ცხოვლად“ დამჩნეოდა, არ მაგონდება. მქონდა ჩვეულებრივი და ნორმალური ბავშვობა და, როგორც ვიგონებ, ცოტა ზედმეტად განებივრებულიც, როგორც დედისერთა შვილის მშობლებს ჩვევით ხოლმე.

– ნიკა, ალბათ, დამეთანხმები, რომ „ინტელექტკლუბმა“ შენ და შენს თანამოაზრეებს საკმაო პოპულარობა შეგძინათ, მეორე მხრივ, თქვენ გახდით ამ საინტერესო და ინტელექტუალური გადაცემის პოპულარობის მიზეზი. როგორ დაინყო ეს ყველაფერი?

- „ინტელექტულები ძალიან კარგი წამოწყებაა, რომელიც მთლიანად გიორგი მოსიძეს უნდა მივანეროთ. რაც შეეხება თვით გადაცემას, ვფიქრობ ერთ-ერთი ყველაზე ნათელი წერტილია სატელევიზიო გადაცემებს შორის, რაც უპირველესად მოთამაშეების, კრუპიეს, შემოქმედებითი ჯგუფისა და კოკა ყანდიაშვილის პირადი დამსახურებაა.

ამ თამაშებმა ბევრი მეგობარი შემძინა, არა ერთი და ორი ნიჭიერი ახალგაზრდა წარმოაჩინა. თუმცა აქვე უნდა ვთქვა, რომ მასში მონაწილეობა არასოდეს ყოფილა ჩემი თვითმიზანი: თამაშებში ყველა პრიზი და ჯილდო მოვიგე და როდესაც შევატყე ჩემი გატაცება მთლიანად რეალიზებულია - თამაში შევწყვიტე. ბოლო ჩანერებზე გადაცემის მთავარი რედაქტორი ვიყავი, რაც გადაცემის კითხვებით უზრუნველყოფას გულისხმობს. ამ ეტაპზე ამან უფრო დამაინტერესა, ვიდრე თამაშმა. ისე თამაში ჩემთვის მხოლოდ გატაცებაა, მიზანი, ბუნებრივია, სხვაა.

- რამ განაპირობა შენი პროფესიის არჩევანი?

- პროფესიით მე იურისტი ვარ. თსუ იურიდიული ფაკულტეტის ასპირანტი კონსტიტუციური სამართლის სპეციალობით. გულახდილად გითხრათ, არჩევანი უბრალოდ შევაჩერე იმაზე, რაც ჩემს მშობლებს სურდათ და ყველაზე პოპულარული იყო. მოხდა ისე, რომ ჩავაბარე და ჩავირიცხე ძალიან გამომართლა - არჩეული პროფესია მომეწონა. საერთოდ კი ვიტყვი, ეს არასწორი ნაბიჯი იყო. როცა პროფესიას ირჩევ, იმდენად მნიშვნელოვან სამომავლო გათვლას აკეთებ, რომ არავის და არაფერს ანგარიში არ უნდა გაუწიო და არჩევანი შენი სურვილისა და მისწრაფებისამებრ უნდა გააკეთო. მე გამომართლა და არ დავსჯილვარ, მაგრამ ხომ იყო იმის ალბათობა (თანაც ძალიან დიდი) არ გამმართლებოდა?

- დღეს იურისპრუდენციაში ერთგვარი „გადატრიალება“ ხდება. მონაწილეობს თუ არა რაიმე კუთხით ამ მიმართულებით მიმდინარე რეფორმის სრულყოფასა და დამკვიდრებაში?

- პირველ რიგში მე ვთვლი, რომ საკონსტიტუციო სასამართლო დიდი მონაპოვარია სამართლებრივი სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესში. რაც შეეხება თვით რეფორმას, რის შემუშავებასა და ფორმირებაში მე მონაწილეობა არ მიმიღია, რადგან მაშინ მხოლოდ მეორე კურსის სტუდენტი ვიყავი. ერთს მაინც ვიტყვი: რეფორმის ტემპები ნაჩქარევად მიმდინარეობს და ვიმობ. პოზიტიური ძვრები გამოიწვიოს ამ სისტემაში.

- როგორ გეხსება შენი პროფესია XXI საუკუნის გადასახედთან?

- რაოდენობრივი ზრდის მაჩვენებელი უნდა შემცირდეს და ხარისხობრივი გაიზარდოს. რაც მთავარია, უნდა დაიხვეწოს და ამალდეს პროფესიონალიზმის დონე - აი, რა არის მთავარი.

- რა აზრისა ხარ დღევანდელ ახალგაზრდობაზე. რა პარალელს გაავლებდი ძველსა და ახალ თაობას შორის?

- პარალელის გავლება შემძილია, მაგრამ მეტად პირობითს ჩემს აზრს მოგახსენებთ - უნდა გამოგიტყდეთ, ჩვენი თაობა წინა თაობებზე მაღლა დგას, გნებავთ განათლებით, განვითარებით, მსოფლმხედველობრივი „სიჭრელით“, გნებავთ, დამოუკიდებელი ცხოვრებისეული მოთხოვნილებით (პირად თუ სახელმწიფოებრივ კონტექსტში) მჯერა, რომ ჩვენი თაობა ბევრად უფრო ფასეულს, ღირებულს შექმნის, ვიდრე ძველი. სხვათა შორის, ბოლო დროს ერთი ტენდენცია შეიმჩნევა; ყოველი შემდგომი თაობა სულ უფრო უკეთესია. ნელს მაგალითად უშუალო კონტაქტი (ისევე „ინტელექტულების“ მეშვეობით) მქონდა 15-17 წლის ბავშვებთან. გამაოგნა მათთან ურთიერთობამ. არ მეგონა, თუ ასე მრავალმხრივ განვითარებული ბავშვები არსებობდნენ. ეს ფანტასტიკური ტენდენციაა. ასე რომ, მომდევნო თაობა - უკვე ჩემსაზე უკეთესია. ეს კი პროგრესირებას ნიშნავს.

- დღეს აგრევიად მოზღვაებული ინფორმაციის პირობებში, ხომ არ დაკარგა წიგნი თავისი ფუნქცია? პირადად შენ რა სახის ლიტერატურას ან პრესას ანიჭებ უპირატესობას?

- წიგნს თავისი ფუნქცია რაღა თქმა უნდა, არ დაუკარგავს,

და არც არასდროს დაკარგავს. წიგნის ჩანაცვლება საინფორმაციო საშუალებებით სრულიად წარმოუდგენელია. მე არ ვეთანხმები იმ აზრს, რომ დღეს ნაკლებს კითხულობენ, ვიდრე წინათ. დღეს უფრო ნაკლებს კითხულობს, მაგრამ უფრო ხარისხიანად. უთავბოლო კითხვა სულაც არაა სასარგებლო. მხატვრული ლიტერატურა უნდა იკითხო გამორჩევით და განწყობილებისამებრ. მნიშვნელობა აქვს გემოვნების მომენტსაც. მე, მაგალითად, პირველივე წინადადებიდან არ მომეწონა რობაქიძე - უდიდესი ქართველი მწერალი. ვერ წავიკითხე და არც მრცხვენია ამის გამო.

რაც შეეხება პროფესიულ ლიტერატურას, აქ საქმე სხვაგვარადაა - რაც მეტს ნაიკითხავ, უკეთესია.

რაც შეეხება ჩემს საყვარელ ლიტერატურას, ძალიან მიყვარს ნოველები, მოთხრობები. ჩემთვის კარგი ნოველი უფრო მეტის მთქმელია, ვიდრე სქელტანიანი რომანი. ძალიან მიყვარს აკუტაგავა, გამსახურდიას ნოველები. საყვარელი მწერალი მაინც მარკესია.

პოეზიას რაც შეეხება, ქართული პოეზია, ვგონებ, ერთ-ერთი საუკეთესოა. ძალიან მიყვარს გალაკტიონი. განსაკუთრებით ერთი ლექსი: „სარკოფაგიდან დგება მუშია, რა სიჩუმეა, ჰაერი ლურჯი აბრეშუმი“... ეს უკვე მუსიკაა.

რაც შეეხება პრესას, დიდი მოყვარული არა ვარ. ვკითხულობ, რა თქმა უნდა, ინფორმაციას ვიღებ, ვამჯობინებ ანალიტიკურ სტატიებს, რომლებიც ჩვენს პრესაში, სამწუხაროდ, დიდი იშვიათობაა.

- შენ თაობას მძიმედ შეეხო „მსახერალი ხელი“. შენთვის, როგორც დროებით ფუძემოძლილი კუთხის შვილისათვის, ალბათ, განსაკუთრებით მტკივნეულია გარდასული დღეთა მოგონება. როგორ გეხსება ხვალიანდელი დღე?

- ძალიან რთულია პასუხის გაცემა. მიმიძის ამ თემაზე საუბარი. მხოლოდ ერთს ვიტყვი: მთავარია, სურვილი გაჩნდეს დაბრუნებისა და საქართველოს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნების შესაძლებლობა უახლოეს მომავალში ექნება.

- ბოლო წლების გარემოებათა გამო ბევრმა დატოვა საქართველო. მათ შორის მეტი წილი ახალგაზრდობაა. გულდასაწყვეტია, რომ ბევრი მათგანი „დალაგებულ“ საქართველოს ელოდება. რას იტყვი, ნიკა, მართლა ასე გაუსაძლისია ჩვენს დღევანდელ პირობებში ცხოვრება და ადგილის პოვნა?

- დღევანდელ საქართველოში ადგილის პოვნა მართლაც ძნელია. მე მესმის იმ ხალხისაც, ვინც წავიდა და „ლოდინის პოლიტიკა“ ამჯობინა. ყველას არ შეუძლია და (არც მოეთხოვება) საერთო საქმეზე ზრუნვა. სახელმწიფო აღმშენებლობა გამორჩეულთა (კარგია, თუ დადებითად გამოჩნულია) ხვედრია. ობივტელს ეს არ მოეთხოვება. ის თვითონ ითხოვს, რომ დაასაქმონ, ცხოვრების ნორმალური პირობები შეუქმნან და თუ ეს არ ხერხდება, მაშინ ეძებს გზას თვითგადარჩენისათვის. მით უფრო პრობლემურია ეს საკითხი ახალგაზრდისათვის, რომელსაც გამძაფრებული აქვს თვითდამკვიდრების სურვილი და როცა ამას აქ ვერ ახერხებს, მაშინ საკუთარი თავის რეალიზებას უცხოეთში ცდილობს. მე პირადად ამაში ტრაგიკულს ვერაფერს ვხედავ. მით უფრო, რომ დარწმუნებული ვარ, ეს ხალხი აუცილებლად დაბრუნდება და ქვეყანას დიდ სარგებელს მოუტანს.


- რას უსურვებდი ახალ თაობას, შენს თანატოლებს?

- ვუსურვებდი, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავის პოვნას, ბედნიერებას როგორც საზოგადოებრივ, ასევე პირად ცხოვრებაში, რაც საუკეთესო სტიმულია და ზრდის თვითრეალიზაციის, პროფესიონალიზმისაკენ სწრაფვას.

პრობლემა ძალიან ბევრია, მათი დაძლევა რთულია, მაგრამ შესაძლებელი.

წიგნი XXI საუკუნეა, ჩვენი თაობის საუკუნე!

ოთარ ლითანისვილი



1998 წლის 15 თებერვალს ასეთი შინაარსის დეპეშა მიიღო ოთარ ლითანიშვილის ოჯახმა:

ჩემო ძვირფასო ოთარ

იშვიათად თუ შევხვდრივარ ადამიანს, რომელიც ბუნებამ იმდენი უნიკალური თვისებით დააჯილდოვა, როგორც შენ. ბრწყინვალე ერუდიცია, შესანიშნავი მხატვარი და არქიტექტორი, გამორჩეული მუსიკალური გემოვნება, ბოლო წლების საქართველოში განსაკუთრებული მნიშვნელობის სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა, განუმეორებელი მეგობრობა, რამდენი ერთი ჩამოვთვალო.

თუ კი რამ ჩვენ დედაქალაქში მიმზიდველი და განუყოფელია, ყველაფერმა შენს თბილისურ კოლორიტში მოიყარა თავი.

ისიც მახსოვს, როგორ აიხსი იარაღი და ქვეყნის მთლიანობისათვის ბრძოლაში ჩაები. არ დამევიწყდება შენი და რამაზ ჩხიკვაძის სტუმრობა მოსკოვში, მოთხოვნით — დაებრუნებუდიყავი სამშობლოში.

დღეს დიდი სიამოვნებით მოვაწერ ხელს ბრძანებულებას ოთარ ლითანიშვილის „გორგასლის ორდენით“ დაჯილდოების შესახებ.

გილოცავ.

შენი ელშარდ შემარდნაძე

დეპეშა დაწერილია თვითონ პრეზიდენტის ხელით. ტექსტი დაცულია აბსოლუტურ-ი სიზუსტით და მისი ორიგინალი, როგორც ძვირფასი რელიქვია, ინახება ადრესატის ოჯახში...

ყარაჩოხელი გარეგნულად წარმოსადეგი პიროვნებაა, მხარბეჭიანი, ბრვე და დარბაისელი, გულმართალი და პატიოსანი რაინდი...

ეს სიტყვები ჩემი არ არის, იოსებ გრიშაშვილის „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოქემიდანაა“ ამოწერილი.

ასე მგონია, ძველი თბილისისა და თბილისური ყოფის მეხოტბე პოეტსა და მკვლევარს, როცა ასე სახიერად წერდა ყარაჩოხელზე, რასაკვირველია, თვითონ ოთარ ლითანიშვილი არა და იმისთანა ვაჟკაცები კი ნამდვილად ედგა თვალწინ.

ყარაჩოხული მიხვრა-მოხვრა, მტკიცე და შთამბეჭდავი, ალალი და გულიდან ამოსული ხმა, ამ ბოლო ხანებში ცოტა ჩუმი და ჩურჩულისნაირი, ათას კაცში გამოარჩევს მას.

კარგად იცნობენ ოთარ ლითანიშვილს — თბილისის საპატიო მოქალაქეს, ჩვენი მოქალაქეები, მით უმეტეს აქ, თბილისში.

ამ ვიწრო ქუჩებში, ამ ფოლორცებში გაიარა მისმა ცხოვრებამ, ამ ქიმიკომპტერულ და ირიბად გაწოლილ სახლებშია, ასე რომ ამშვენებს თბილისის იერსახეს.

ძველი თბილისის ტრადიციებზე გაზრდილი და შემდეგ ქალაქის მთავარი მხატვარი, ამ ნარიყალას ძველი ბურჯებიდან წამოვიდა, უამრავ ლეგენდებს რომ ინახავს თავის ნანგრევებში.

იყო თბილისის მერიც და ეს იმ დროს, როცა ძალიან უჭირდა საქარ-

თველოს, მის დედაქალაქს. მისი პროფესიული თვალი და ხელი არც მაშინ მოჰკლებია მშობლიურ უბნებს.

— როცა მის ქალაქს ბრძოლაში უხმეს, ოთარ ლითანიშვილი, დროული და დადლილი კაცი, არც დაფიქრებულა, ისე შეკრიბა თავისი დიდი სამძო და ტყვიის წვიმას შეუშვირა ჭაღარა თავი, — ეს სიტყვებიც მე არ მითქვამს, მისმა მეგობრებმა თქვეს — ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილმა ოსტატებმა, სიცოცხლეშივე მსოფლიო აღიარება რომ მოიპოვეს და უკვდავი გახადეს თავიანთი სახელები.

ალაღად და ქვეყნის გასაგონად თქვეს ამ ძვირფასმა ადამიანებმა ყოველივე ეს თავიანთ წერილში, რომელიც „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა.

თქვეს, რომ უყვართ ოთარ ლითანიშვილი — კაცური კაცი, ნაღდი მხატვარი, ნაღდი პოეტიც, ნაღდი მამულიშვილი, ნაღდი თამადა, ნაღდი ჯარისკაცი, ყველგან და ყველაფერში ნაღდი, ერთგული, მოყვასი...

მოდინდა გვერდი აუარე ახლა ასეთ სასიამოვნო „დოკუმენტს“. ყველა-

ფერს რომ თავი დავანებოთ, მის ავტორებს ხომ ნახევარსაუკუნოვანი მეგობრობა აკავშირებთ მასთან... ნახევარსაუკუნოვანი კი არა, გაცილებით უფრო მეტი... ახალგაზრდობა ერთად გაუტარებიათ და სიჭარმაგეში ერთ უღელს სწევენ.

ასე რომ, ერთიმეორეს სულიანხორციანად იცნობენ და მათ სიტყვას ნამდვილად დაუჯერება. და იცით, ამას ვინ ამბობს? ვინ აწერს ხელს ამ წერილს? ყველა სახელოვანი და გამოჩენილი პიროვნება, ისინი რომლებმაც გვირგვინი დაადგეს მეოცე საუკუნის ლიტერატურას, ხელოვნებას, და ამჟამად შედიან მეოცდაერთე საუკუნეში. მარტო მათი გვარ-სახელების ჩამოთვლა კმარა. აი, რამდენიმე მათგანი: სოფი კოჭიაურელი, ელგუჯა ამაშუკელი, ჭაბუა ამირეჯიბი, გოგი გეგეჭკორი, ჯანსუღ კახიძე, ბიძინა კვერნაძე, გიგა ლორთქიფანიძე, კოტე მახარაძე, გურამ საღარაძე, ელდარ შენგელაია, ჯანსუღ ჩარკვიანი, რამაზ ჩხიკვაძე, თამაზ წიფწივაძე...

შეიძლება არ ვიცი — არცოდნა არცოდნააო, უთქვამთ და გვეპატიება.



ისე კი თბილისის თითოეული ქუჩა და ფოლორცი მისი ხელშენავლება და ნაბიჯ-ნაბიჯ აზომილი. თითოეულ პროსპექტსა და მოედანზე უფიქრია. თითოეული სახლის აივანიდან თითო-თითოჯერ მაინც გადმოუხედია.

თბილისურ გამორჩეულ კოლორიტსა და ხუროთმოძღვრებას, მისი ხელის მაღლიც სცხია.

და ის, როგორც გულწრფელად თქვა ამას წინათ ერთმა კეთილშობილმა პიროვნებამ, უბედნიერესი კაცია თბილისელთაგან ამდენი რომ შეძლო.

არც ერთხელ „თბილისობა“ უიმი-სოდ არ ჩატარებულა. ყველანაირ თბილისურ შეხვედრებში მოთავეთა შორის ყოფილა. გონივრულად და უნიღბოდ წასძლოლია ერს წინ, სადაც ეს საჭირო იყო.

მისი კაცობისა და მამულიშვილობის დამადასტურებლად მართო ის ხალხმრავალი მიტინგიც კმარა, თბილისში ახალ მოედანზე რომ გაიმართა.

ისტორიაში შევა ეს მიტინგი, ორი საპირისპირო მხარის ეს შეხვედრა, თავისი მნიშვნელობითა და გრანდიოზულობით, იმით, რომ მან, ამ ცხელ გულზე, ერთად მოუყარა თავი თბილისელებს, მთელ საქართველოს, შემტრწუნებულ და აფორიაქებულ ხალხს.

სახიფათო გამოცდა გაიარა იმ დღეს ძმათა შორის ჩამოვარდნილმა კინკლაობამ და აშკარად ხელშესახები გახდა შერიგება.

სწორედ იმ შეხვედრაზე ითქვა, უნიღბოდ და დაუფარავად, რომ საჭიროა ერთმანეთთან კაცურად დგომა, არა გათიშვა და ღალატი.

თოფისწამლის სუნი ტრიალებდა პაერში. ჩვეულებრივად, როგორც ყოველთვის, თავის სკამზე იჯდა სახელმწიფოს ხელმძღვანელი და ღირსეულად ეჭირა თავი. არ ყოფილა ეს ჩვეული „მიტინგობანა“, წარა-მარა რომ

ტარდებოდა თბილისში, მთავრობის სახლის წინ.

ეს იყო უკიდურესად მძიმე ვასაჭირში მყოფი დაბნეული ხალხის გამოფხიზლება.

და კაცმა არ იცის, ვინ საიდან გამოისროდა ტყვიას იმისკენ, ვისაც ეს გრანდიოზული შეხვედრა-შერიგება მიჰყავდა.

რაც მართალი, მართალია, ნამდვილად ივაჟკაცა მაშინ, ეჭვიანობისა და გათიშულობის, შელახული სახელისა და უნდობლობის დღეებში თბილისის მერმა...

მაგრამ მე აქ ცოტა უკან დაბრუნება მომიხდება. მინდა გავიხსენო ის წლები, საოცრად სანდო და სანაქებო, ბატონ ოთარის „ქუთათურ ტურნესთან“ რომაა დაკავშირებული.

ომი ახალი დამთავრებული გახლდათ. ქვეყანა წელში სწორდებოდა. ქუთაისსაც დაეტყო სასიკეთო ძვრები. განსაკუთრებით გამოცოცხლდა სპორტული ცხოვრება, ქალაქის ცენტრალური სტადიონი ბევრი საინტერესო ასპარეზობის მომსწრე გახდა.

ეს ის დროა, როცა უკვე ჩამცხრალია საარაკო გივი კილაძის სპორტული კარიერა – ბურთს ვერავინ გააგორებს მწვანე მინდორზე და ვერავინ დასვამს ცენტრში, შიგ უშა წერტილში.

ოდესღაც დინამოელთა სახელგანთქმული გუნდი, იმდენად საგრძნობლად შესუსტებული და ფორმადაკარგული, შეივსო ძლიერი მოთამაშეებით, მათ შორის თბილისიდან მოწვეული საუკეთესო ფეხბურთელებით.

ხალხი ისევ მიაწყდა სტადიონს და დილიდან საღამომდე მოედანზე ტრიალებდა.

სწორედ აქ, სათამაშო მინდორზე, გამუდმებულ წრიალსა და ფუსფუსში, გავიცანი თბილისიდან საგანგებოდ ჩა-

მოყვანილი ჭაბუკი კაცი, რომელიც მთასავით იდგა ქუთაისელთა კარში და დინჯად, აუღელვებლად გაჰყურებდა თამაშს.

მაგრამ უნდა გენახათ, როგორ ამორავდებოდა ეს „მთა“, კართან შექმნილი ყოველი სახიფათო მდგომარეობის დროს. თვალის დახამხამებაში, ერთბაშად და უეცრად შეიცვლებოდა ხოლმე და ქარივით დააცხრებოდა მოწყვეტილ დარტყმულ ტყვიასავით გაჭვდილ ბურთს.

შემდეგ მისმა ნახატებმაც მიიპყრო საზოგადოების ყურადღება და მისი „მეგობრული შარჟები“ ცალკე წიგნდაც გამოიცა (საქალაქო გაზეთის რედაქციამ გამოსცა).

მე მაშინ რედაქციაში ვმუშაობდი და გაზეთის რედაქტორთან ერთად, მის გამოცემაზე მომიხდა მუშაობა. პატარა თუ დიდი, წიგნი წიგნია და განსაკუთრებულ მზრუნველობასა და ყურადღებას მოითხოვს.

ვერ ვიტყვი, მის მოლოდინში მთელი ქალაქი ფეხზე იდგა-მეთქი, მაგრამ ამ პატარა, ცინცხალმა წიგნმა რომ რალაცნაირი სიცოცხლე და ხალისი შეიტანა საზოგადოებაში, ეს ცხადია.

მთელი ტირაჟი მოკლე დროში გაიყიდა. დაიწერა რეცენზიები. დამამახსოვრდა, „ახალგაზრდა კომუნისტში“ დაბეჭდილი რეცენზია. ზოგმა ეს თქვა, ზოგმა ის. წიგნი კი უდავოდ დარჩა მისი ავტორის ბიოგრაფიაში. დარჩა ისე, როგორც ქუთაისური წლების ლამაზი სახსოვარი და მოსაგონარი.


აგერ, ამას წინათ, ისევ გადავფურცლე „მეგობრული შარჟები“ – ხალასი იუმორით სავსე ეს მომცრო კრებული, რომელიც მის ავტორს შეიძლება არც კი ახსოვდეს, მაგრამ მას გარკვეული მხატვრული ღირებულება ახლაც გააჩნია.

ულალატო კაცია ოთარ ლითანიშვილი, როგორც ვხედავთ, ადრეც უთქვამთ ეს და ამბობენ ახლაც.

ღმერთმა ქნას და ხვალის კაცებსაც ასევე ეთქვათ და ამ საზომით აეზომოთ მისი ნამოღვაწარი – მრავალმხრივი შემოქმედება.

ჩვენ კი, დღეის დღეში ჩამხედვარ ხალხს, სრულიადაც არ გვაწყენს ის, რომ უფრო უკეთ ვიცოდეთ თანამედროვეთა ცხოვრება, მათ შორის ოთარ ლითანიშვილისაც, რომელსაც სულ ახლახან დაბადებიდან სამოცდათხუთმეტი წელი შეუსრულდა.

ვასილ გვეტაძე.



ყოველმა კაცმა თავის სამოვლაროში უნდა იცხოვროს

ფრიდონ თოდუა - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა აკადემიის ნევრო-კორექსიონდენტის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, პროფესორი, თბილისის საპატრიო მოქალაქე.

რამოდენიმე წლის წინათ მას უფრო საზღვარგარეთ იცნობდნენ, ვიდრე საქართველოში, რადგან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 25 წელზე მეტი ვისუნევსკის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტში მოღვაწეობდა. აქ ჩამოყალიბდა როგორც ექიმი, როგორც პროფესიონალი. სწორედ აქ გაიარა მან მეტად რთული გზა, რიგითი ექიმიდან მსოფლიოში აღიარებულ პროფესორამდე, საბჭოთა კავშირში პირველი კომპიუტერული ტომოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელამდე, რომელიც სწორედ მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით შეიქმნა.

დღეისათვის ცხრა წლის წინათ ბატონ ფრიდონ თოდუას თაოსნობით შექმნილი სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის ინსტიტუტის უფრო „თოდუას ინსტიტუტად“ იცნობენ მთელ კავკასიაში.

ვსხედვართ ბატონი ფრიდონის კაბინეტში და ვსაუბრობთ, ყოველ მის სიტყვასა და მოსაზრებაში, ფართო ერუდიციის მქონე, ქვეყნისა და მშობლიური ერის მომავალზე ღრმად ჩაფიქრებული კაცის პორტრეტი იხატება. მრავლისმეტყველია თვით ინტერვიუ, რომელიც ფრიდონ თოდუას მრწამსს შეესაბამება. სამედიცინო დანესებულებაში, მიაჩნია მას, იდეალური სისუფთავე უნდა იყოს, ექიმი კი ყოველთვის მონესრებულად, მობილიზებული ავადმყოფის მოსასმენად.

აღბათ ამიტომაცაა ლამაზად და მოხდენილად მონყობილი ინსტიტუტის დირექტორის კაბინეტი, ტელეეკრანის საშუალებით მას შეუძლია ნებისმიერ ოპერაციას, სამედიცინო მანიპულაციას ან გამოკვლევას ადევნოს თვალყური, რომელიც ამ დროს ინსტიტუტში მიმდინარეობს.

თვის ვგრძნობდი. ეროვნულმა მოძრაობამ რომ იმძლავრა, საქართველოს მოვამურე. ძალზე რთული დრო იყო ჩვენი ქვეყნისათვის ყველაფერი ისევე თავიდან დავიწყე. ექიმობასთან ერთად მშენებლობის, ბუღალტერიის შესწავლაც მომიხდა.

მე კვლავაც ხშირად დავდივარ საზღვარგარეთ, ხშირად ვარ რუსეთშიც, იქ ქართველ მედიკოსთა დიდ პოტენციალია დაგროვილი. გული მტკივა, რომ მრავალი ნიჭიერი ქართველი ექიმი გერმანიაში, ამერიკაში და სხვა ქვეყნებში მიღის სამუშაოდ. მჯერა და ცხოვრებამაც ასე გვიჩვენა - მხოლოდ მშობლიურ მიწაზე შეგიძლია კაცს მთლიანად გამოავლინოს შენის შესაძლებლობები.

პატრიოტიზმი დიდებული გრძნობაა. სწორედ პატრიოტობა შთაგვგონებს კაცს კეთილშობილ საქმეებზე. საზღვარგარეთ ყოფნისას ნებისმიერ ქვეყანაში, გვცხადებ, აიღეთ ამერიკა, გერმანია... ყველა მოქალაქეს აქვს სახლში ქვეყნის დროშა, საოცარი სიამაყე აღებუქდებათ სახეზე თავისი სამშობლოს ჰიმნის შესრულებისას. მე მინდა ყოველი ქართველისთვისაც საქართველოს ჰიმნი ყველაზე საყვარელი მელოდია იყოს.

ბატონ ფრიდონს ჰყავს მეუღლე და ქალიშვილი, ორივენი ექიმები არიან, სიძე და შვილიშვილი. მთელი საუბრის მანძილზე იგი ხშირად იხსენებს თავისი ოჯახის წევრებს, ბედნიერია, რომ ქალიშვილი აქ თბილისში გათხოვდა და მეუღლაც ქართველი ჰყავს.

ჯანსაღი მოქალაქე, ჯანსაღი ერი

- სახელმწიფოსათვის უპირველესი საზრუნავი ხალხის ჯანმრთელობა უნდა იყოს - ასე ფიქრობს ბატონი ფრიდონი - უდავოა, სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს მედიცინაზე, უნდა აფინანსებდეს მას. მსოფლიო პრაქტიკა ასეთია, რაც უფრო ცივილიზებულია სახელმწიფო, მით უფრო მეტ თანხას გაიღებს ჯანდაცვის საჭიროებისათვის. ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე სამედიცინო რეფორმა საჭირო და აუცილებელია, რადგან ჩვენ თანდათან გადავდი-

ვართ კაპიტალისტური ცხოვრების სტილზე. სისტემაზე, რომლისთვისაც ვიბრძოლეთ და მოვიპოვეთ, მას კი თავისი კანონები აქვს და ამას ვერსად გაექცევი. თუმცა არ ვიცი, რამდენად ვიყავით მზად ყოველივე ამისათვის. იმ გაჭირვების ფონზე, რომელიც დღეს საქართველოშია, მასაც უძნელდება გამონახოს სახსრები მკურნალობისათვის. მაგრამ უფასო სახელმწიფო მედიცინა წარსულს ჩაბარდა. რეალურად კი რომ დავფიქრდეთ, სამედიცინო დახმარება არასოდეს ყოფილა უფასო. პატარა ქვეყნისათვის, რომელსაც თავიდან უზღებდა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღდგენა, უფასო სახელმწიფო ჯანდაცვა მიუღწეველი ფუფუნებაა.

რაც შეეხება მეორე უკიდურესობას - კერძო, ფასიან სამედიცინო მოსახურეობას - ეს, ცხადია, ჩვენთვის სიახლეა და შესაძლოა, წინ გადადგმული ნაბიჯიცაა, მაგრამ საყოველთაო ეკონომიკური სიძნელეების ფონზე, როგორც ხედავთ, რამდენადმე არარეალურია.

სანამ არ მომძლავრდება ქვეყნის სახალხო მეურნეობა, გაჭირდება სადაზღვევო მედიცინის მთელი დატვირთვით ამუშავება. ასე რომ, დაცული უნდა იქნეს „ოქროს შუალედი“ - სამედიცინო დახმარე-

მკვლელობის

ბის ეს სამი სახე თანაბარი უფლებებით უნდა არსებობდეს. სადაზღვევო მედიცინისა და კერძო კლინიკების პარალელურად აუცილებელია უფასო სამედიცინო დახმარების არსებობა სოციალურად დაუცველთათვის, როგორც ეს მსოფლიო ნებისმიერ ქვეყანაშია.

ევროპაში ერთ-ერთი შედარებით ღარიბი პორტუგალიაც კი თავისი 5 მილიონიანი მოსახლეობით ერთ სულ მოსახლეზე 1000 დოლარს გამოყოფს მედიცინის საჭიროებისათვის. მჯერა, დროთა განმავლობაში საქართველო შეძლებს სრულყოფის ეს სისტემას, მაქსიმალურად დააფინანსოს დარგი. თუ სახელმწიფოს ვერსააღი მოსახლეობა არ ეყოლება, ის ჯერასოდეს გაძლიერდება, რადგან ჯანმრთელობის შენარჩუნება უფრო იაფი ჯდება და უფრო გამართლებულია მორალურად, ვიდრე უკვე დაავადებული ავადმყოფის მკურნალობა.

- თქვენს ინსტიტუტში მკურნალობა საკმაოდ ძვირია და ბევრისათვის მიუწვდომელი. შევხედე ბატონ ფრიდონს. - დიახ, მიპასუხა მან წარბმულხრულად... და ისეთი არგუმენტები მომიტანა, არამცთუ დავეთანხმე, ვუთანაგრძნე კიდევ. - 5 წელია, თქვა მან, - სახელმწიფოსაგან ფინანსური დახმარება არ მიგვიღია, სამაგიეროდ ჩვენი დანესებულება მსხვილ გადახედვითა რიცხვშია. მედიცინა ხომ ისევე იბეგრება, როგორც ჩვეულებრივი სამრეწველო საწარმოები - ესეც ჩვენი ცხოვრების პარადოქსია - ვცდილობთ შევამციროთ სამედიცინო მოსახურეობის ღირე-

ბულება და მედიცინას ვებგრაფთ, რო-
გორც მრეწველობას. გადასახადების თან-
ხა კი ისევე პაციენტის ჯიბეს აწვება. შეგიძ-
ლიათ მიპასუხოთ, რატომ უნდა გადაიხა-
დოს სამედიცინო ორგანიზაციამ დასაქმე-
ბის ფონდის, საგზაო გადასახადი, სამე-
ნარმო გადასახადი, ქონების გადასახადი,
იმ ქონებაზე, რომელიც, ფაქტურად სა-
ხელმწიფო საკუთრება ან საიჯარო კონ-
ტრაქტით სულაც სალიზინგო კომპანიის
კუთვნილებაშია. ამას დაუმატეთ საშე-
მოსავლო, სოციალური დაზღვევა, „სამე-
დიცინო ფონდი“. არ შეიძლება სამედიცი-
ნო დაწესებულებებს დაუნესდეთ მოგები-
დან გადასახადი, რადგან გამოკვლევების
ფასი ჩვენთან ძირითადად თვითღირებუ-
ლების ტოლფასია და თუ სამედიცინო
პერსონალის ხელფასს, აპარატურის
ამორტიზაციის, სახარჯო მასალის ფასის
გარდა რჩება თანხა, ეს თანხა მხოლოდ და
მხოლოდ ისევე სამედიცინო დახმარების
სრულყოფას, ახალი თანამედროვე აპარა-
ტურის შეძენას, მოკლედ, მედიცინის გან-
ვითარებას უნდა მოხმარდეს.

თანამედროვე სამედიცინო აპარატურ-
რას ჩვენ მსოფლიო ბაზრის ფასებით ვი-
ძენთ, გამოკვლევები კი, სულ მცირე, 10-
15-ჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე ანალო-

ვცა. ეს იმას ნიშნავს, რომ აპარატის ღი-
რებულება მილიონ შვიდასი ათასი დოლა-
რი შვიდი წლის განმავლობაში უნდა გადა-
უხადოს ინსტიტუტმა სალიზინგო კომპა-
ნიას.

საერთოდაც, მინდა აღვნიშნო, რომ
საქართველოს პრეზიდენტის უშუალო
თანადგომამ და ხელშეწყობამ უდიდესი
როლი ითამაშა ჩვენი ინსტიტუტის განვი-
თარებასა და სრულყოფაში.

როგორც იხრომა, ისა იცხოვრავ

ამ დღეზით ცხოვრობს „თოდუას ინ-
სტიტუტის“ კოლექტივი. – მე მკაცრი
ხელმძღვანელი ვარ, ვცდილობ, ყველა პი-
რობა შევუქმნა ექიმს და მისგანაც მო-
ვითხოვ სრულად დაიხარჯოს. მე არ მაინ-
ტერესებს ეს ექიმი ვისი შვილია, ჩემთვის
მთავარია, კარგად იმუშაოს, იზრდებოდეს
პროფესიულად, იყოს თანამედროვე
მსოფლიო მედიცინის მიღწევების კურსში.

მრავალჯერ მითქვამს და კიდევ ერ-
თხელ უნდა გავიმეორო: ექიმობა განსა-
კუთრებული პროფესიაა. ექიმს სხვა ადა-
მიანის სიცოცხლე აბარია, ეს უდიდესი პა-
სუხისმგებლობაა, ამიტომაც ექიმობა ხან-
გრძლივ სწავლას, თავდაუზოგავ შრომას,

ქველმოქმედი ბუნების გამოა, რომ სულ
ახლახან ფრიდონ თოდუას მაღალ რევა-
ლიებს კიდევ ერთი საპატიო ტიტული შე-
ემატა – „მალტის ორდენის რაინდის“ წო-
დება.

მალტის ორდენის ანუ წმინდა იოანე
იერუსალიმელის სუვერენული ორდენი თა-
ვის ათსაუკუნოვანი ტრადიციების ერ-
თგულია. ქრისტიანულ რელიგიაზე დამყა-
რებული, იგი ეხმარება ყველა შეჭირვებულს
რწმენისა და ეროვნებისაგან განურჩევლად.
მსოფლიოში არის უფასო საავადმყოფოე-
ბის და თავშესაფრების უდიდესი ქსელი,
რომელიც „სენტ ჯონის“ ანუ წმინდა იოანე
ნათლისმცემლის სახელს უკავშირდება.

ყველას როდი შეუძლია გახდეს ამ ძლი-
ერი საქველმოქმედო რელიგიური ორგანი-
ზაციის წევრი. პატივი მალტის ორდენის რა-
ინდობისა დიდი გამოცდის შედეგია. ოდით-
გან, იმისათვის რომ მოხვედრილიყო ორ-
დენში, კანდიდატს უნდა დაემტკიცებინა
თავის უმნიშვნელობა, კეთილშობილობა, და
ქრისტიანობისათვის თავდადება. ბატონი
ფრიდონი ამ ჯილდოს დიდ პატივად მიიჩ-
ნევს და ამავე დროს დიდ მოვალეობადაც...

ყველაფერთან ერთად ბატონ ფრი-
დონს არ ღალატობს იუმორის გრძნობა და
დროდადრო უმნიშვნელოვანეს საკითხებ-
ზე გაიხუმრებს, მაგრამ ნათქვამი მკაცრი
რეალობაა.

საუბარში დრო სწრაფად გარბის, მედ-
პერსონალი ლელავს: სადღაც გამოცდე-
ბია, სადღაც კონსილიუმი იკრიბება,
სადღაც გამოკვლევა მიმდინარეობს. ბა-
ტონ ფრიდონს ყველგან ელიან, მისი ყო-
ველი ნუთი წინასწარ არის დაგეგმილი და
მეტად ძვირად ფასობს. ის ყველგან საჭი-
როა, სადაც ავადმყოფს უჭირს და მჯერა,
მალტის ორდენის რაინდი ყოველთვის იქ
დადგება, სადაც ქვეყნისა და ხალხის სამ-
სახური მოითხოვს.

ლამარა მამუა,

საპ. დამსახურებული ჟურნალისტი

ორდენის რაინდი

გიური კვლევებისა საზღვარგარეთ.

და მიუხედავად ამისა, თქვენ რომ ნა-
ხოთ, რამდენი მოდის ჩვენთან თავისი
სატკივარით... მოჰყავთ ახალგაზრდები,
პატარა ბავშვები უმძიმესი დაავადებე-
ბით, ცნობილი ადამიანები, ინტელიგენცი-
ის თვალსაჩინო წარმომადგენლები. მო-
გეხსენებთ, როგორია დღეს მათი მატერი-
ალური მდგომარეობა, განა შემიძლია,
მათთვის სულ მცირე შეღავათებზე უარის
თქმა.

ჩვენს ინსტიტუტში კი, – სიამაყით აღ-
ნიშნავს ბატონი ფრიდონი – პაციენტებს
პრაქტიკულად ყველანაირი სახის გამოკ-
ვლევას ვთავაზობთ. ფაქტობრივად არ
არსებობს ნებისმიერი, მსოფლიოს ნამყვა-
ნი კლინიკების სტანდარტების გამოკვლე-
ვა თუ მკურნალობა, რომელიც ჩვენთან
ვერ შესრულდეს. უფრო მეტიც – ჩვენ ტე-
ლემედიცინის საშუალებით ჩართული
ვართ საერთაშორისო საინფორმაციო სა-
მედიცინო სისტემაში და საჭიროების შემ-
თხვევაში შეგვიძლია მოვინვიოთ კონსი-
ლიუმი. ჩავატაროთ კონსულტაცია მსოფ-
ლიოს ნებისმიერი კლინიკის წარმომად-
გენლების მოწვევით, მივიღოთ ინფორმა-
ცია ამა თუ იმ დაავადების მკურნალობის
საჭიროების შესაძლებლობისა და ღირე-
ბულების შესახებ.

ჩვენი ინსტიტუტის სიამაყე მაგნი-
ტურ-რეზონანსული ტომოგრაფი მსოფ-
ლიოში ცნობილმა სიმენსის ფირმამ სა-
ქართველოს პრეზიდენტის შუამდგომლო-
ბით სალიზინგო კონტრაქტით გადმოგ-

ნებისყოფას და განსაკუთრებულ ტა-
ლანტს მოითხოვს.

საუბარს ხშირად გვანყვეტინებენ, შე-
მოაქვთ ტომოგრაფები, რენტგენის ფირე-
ბი, სხვადასხვა სამედიცინო დოკუმენტა-
ცია. ბატონი ფრიდონი გვიბოდიშებს, ათ-
ვალეირებს მათ და თავის აზრს გამოთ-
ქვამს. მისი თანამშრომლები აღტაცებას
ვერ მაღავენ ამ „მკაცრი“ მაგრამ სამარ-
თლიანი ადამიანის მიმართ, რომლის გუ-
ლი „უმალ მოღება“, როცა საქმე შეჭირ-
ვებულ ადამიანს ეხება.

ალბათ, სწორედ მისი ღმობიერი და



ია ჩემ წინ იჯდა. დაღლილი სახე ჰქონდა
- მეც დაღლილი ვიყავი და, ალბათ, ამის გამო
ვლუმდით ორივენი.

ბოლოს იგი წამოდგა და ფანჯარასთან მი-
ვიდა. დიდხანს იყურებოდა ეზოში. მერე შემობ-
რუნდა და თქვა:

- გაზაფხულიც გვეწვია.
- არაფერი მითქვამს.
- არადა არ მიყვარს წლის ეს დრო!
- რატომ?
- არ ვიცი!
- მაშ რა გიყვარს? - ვკითხე ნაძალადევი
ღიმილით.

- თოვლი! თოვლიანი ზამთარი!
არაფერი მითქვამს.

- რასაცოდავები ვართ, არა? - მკითხა უცებ.
სიჩუმე...

- მაგრამ ჩვენში ხომ ზამთარი ზამთარს
არა ჰგავს! - თქვა.

ერთხანს ვლუმდით.
- ყველა დროს თავისი სილამაზე აქვს, -
ვთქვი ბოლოს.

გაეცინა:
- ეგ ბანალურად გამოგივიდა.

სიგარეტს მოუუკიდე.
- ესე იგი, გინდა სულ ზამთარი იყოს? -
ვკითხე.

არაფერი უთქვამს.
- რომელი საათია? - იკითხა უცებ.

ვუთხარი...
- ჩემი წასვლის დროა! - დაფაცურდა.

კარებამდე მიუაცილე. ზღურბლითან შედგა...
თითქოს რალაცის თქმა უნდოდა, მაგრამ გადაი-
ფიქრა და თვალს მიეფარა. შუბებით ამოვისუნთქე.

ის ღამე ძილ-ღვიძილში გავატარე. უცნა-
ური სიზმარი ვნახე. რა სიზმარი იყო აღარ მახ-
სოვს. მთავარი ის იყო, რომ როცა გავიღვიძე,
ისევ იმ სიზმარზე ვფიქრობდი.

მინდოდა გამეხსენებინა, მაგრამ ვერ ვინ-
სენებდი. ბოლოს, საწოლიდან წელათრეული
წამოვდექი. ხელ-პირი დავიბანე და მაგიდას მი-
ვუჯექი.

დიდხანს ვწერდი. ბოლოს, ნაწერი გადა-
ვათვალე. არ მომეწონა. დაგჭმუჭნე და კა-
ლათაში მოვისროლე.

ფანჯარასთან მივედი...
ეზოში მდგარი აკაციის ხეები თეთრად ყვა-
ოდნენ.

უკან მოვბრუნდი. ჩავიციე, კარებთან მი-
ვედი, გავაღე და კიბეებზე დავუშვი.

ნელა მიუყვებოდი ქუჩას. ირგვლივ არა-
ვინ იყო. ციოდა.

ციოდა, მაგრამ ამას ყურადღებას არ ვაქ-
ცევდი.
ერთ ადგილას შევჩერდი...

ერთ მაღალ გამხდარ კაცს ხალხი შემოხ-
ვეოდა. კაცი ხელებს იქნევდა და ყვიროდა:

- გარდაიცვალა, ბატონებო ის, გარდაიც-
ვალა!
- ვინ გარდაიცვალა? - კითხა ვიღაცამ.

კაცი დუმდა... მერე თავი ასწია, ხელი მაღ-
ლა აიშვირა და ჩახუნჩილი ხმით თქვა:

- მშვენეირება!
ვიღაცამ გაიცინა.

- ჰო, თქვენ გეცინებათ! - თქვა კაცმა -
მაგრამ მე რა ვქნა, მე?
- შინ წადი და გამოიძინე! - თქვა ვიღაც
დაბალმა, მელიოტმა კაცმა. მაღალმა კაცმა რა-
ტომღაც მე მომაპყრო მხერა. - თქვენ არ გჯე-
რათ? - მკითხა.

დავიბენი.
- რისი? - ვკითხე ბოლოს.



- რომ... რომ მშვენეირება გარდაიცვალა.
არაფერი მითქვამს. კაცი ნელა დაეშვა
მუხლებზე.

- დამიჯერეთ, ხალხო! - თქვა ხრიალით.
- ჰო, ვთქვით გარდაიცვალა, - თქვა ვიღა-
ცამ, - ჩვენ რა ვქნათ?

- უნდა ვიგლოვოთ, ვიგლოვოთ! - იყვირა
და რამდენიმეჯერ დაკრა შუბლი მიწას.

მივედი და წამოვაყენე. გიჟივით შემხედა...
- წამოდი! - თქვა.

- სად?
- გავეცალოთ აქაურობას... აქ სული მეხუ-
თება.

ხელკავი გამიკეთა, სწრაფი ნაბიჯით გამა-
ცალა იქაურობას. სასაუნძმესთან შედგა.

- შევიდეთ! - თქვა.
რატომღაც დავმორჩილდი... არაფი მო-
ითხოვა.
- შენ გივი გოგონივარ, არა? - მკითხა.

ნაძალადევად გავუღვიძე.
- მშვენეირების შესანდობარი უნდა დაე-
ლო! - თქვა, ჭიქა დასცალა და მიბრძანა: - და-
ლიე!

დავლიე.
- საოცარია! - აღმოხდა უცებ.

- რა არის საოცარი?
- მე მშვენეირებას ღმერთთან ვაიგივე-
ებდი, - თქვა, - თურმე როგორ ვცდებოდი!

არაფერი მითქვამს.
- ღმერთი! - თქვა უცებ ეს ერთი სიტყვა,
ჭიქა კვლავ აივსო და გადაკრა.

- წავიდეთ, - ვუთხარი, როცა შევატყვე-
რომ დათვრა.

- სად?
- არ ვიცი... თავი ჩაქინდრა.

- არა, არ არის ღმერთი გულმოწყალები, -
თქვა.
- რატომ?

ქმედება იყო...

- მაშინ მშვენიერების სიკვდილს არ დაუშვებდა.

- კი მაგრამ, რა იცი შენ მშვენიერების გარდაცვალების შესახებ?

იგი აენტო:

- არ გჯერა?

-!?...

- მე თვითონ ვიხილე იგი... ოქროსკულულებიანი, უზალო... რა დამაიწყებს მისი თვალების შუქს!

- სად წავიდა მერე? - კითხვა.

ხელი ჩაიქნია: - გაქრა... გაუჩინარდა!

- იქნებ არ გარდაცვლილა?

- გარდაიცვალა! - თქვა ჯიუტად.

ისევ არყის ბოთლს მისწვდა.

- ნულარ დალე!

ჭიქით ხელში გაშეშდა.

- კი მაგრამ... - თქვა სლოკინით.

ანგარიში მოვითხოვე. გადავიხადა და გარეთ გამოვედი. ბარბაცით მივიღიოდი შინისაკენ.

„მშვენიერება გარდაიცვალა“ - რატომღაც ამეკვიატა ეს სიტყვები. მერე თანდათან სიბრაზემ შემიპყრო. „ვივინდარა“ - გავიფიქრე კაცზე, რომლის სახელი არც კი ვიცოდი.

არე-მიდამოს მოვავლე თვალი. ყველაფერი უჩვეულოდ ყვავდა. უცნო ეჭვი დამეუფლა: იქნებ რას გულისხმობდა მშვენიერების გარდაცვალებაში?

როგორც იქნა, სახლამდე მივალწვი... კიბეები ავიარე, კარი გავაღე და შინ შევედი. დათრგუნვილად ვგრძნობდი თავს. „ვინ იყო ნეტა?“ - ვფიქრობდი.

კარზე კაკუნმა გამომაფხიზლა. კარი გავაღე... ია იყო. შინ შევუხეხი.

- შენ რა, მთვრალი ხარ? - მკითხა. სულელივით გავიღიმე:

- ჰო, ცოტა დავლი!

არაფერი უთქვამს.

- ერთი უჩვეულო ტიპი გავიცანი - ვერ მოვითმინე ბოლოს.

- რა იმ ტიპმა?

ერთხანს ვღუმიღღი.

- მშვენიერება გარდაიცვალაო, ამტკიცებდა!

იას ოდნავ გაეღიმა.

- მერე?

- ის რომ, - ენა დამება - მშვენიერების გარდაცვალება ღმერთის გარდაცვალებას ნიშნავს! ია ღუმიღღი.

- დაანებე ამაზე ფიქრს თავი - თქვა ბოლოს. - ხომ იცი რომ... აღარ დაამთავრა.

- რა ვიცი?

- რომ მშვენიერება უკვდავია!

- რა ვიცი, ისე ამტკიცებდა, რომ...

ქალმა ხელი ჩაიქნია:

- მოდი, ჩემთან დაჯექი!

მივედი და მის გვერდით მოვთავსდი.

ჩემი ხელი ხელში აიღო...

- ნურაფერ ცუდზე ნუ ფიქრებ, - თქვა, - რამდენი უცნაური კაცი რაღაცას იტყვის, ყველაფერს ხომ არ მიატკევე ყურადღებას!

ხელი ფრთხილად გავინთავისუფლე და წამოვდექი. იამ თვალი გამომაყოლა. მის წინ გავჩერდი:

- ვინ იყო ნეტა?

- ნუ ფიქრობ ამაზე!

...

...

...

...

...

...

ფანჯარასთან მივედი... გარეთ გავიხედე. მზე ჩაღივდა. ყველაფერი სისხლისფრად იყო შეღებილი. უცნო... ელდანაკრავით შევკრთი: უღამაზესი, ოქროსკულულებიანი ქალწული დავლანდე, მზის სხივებში გახვეული. იგი მიღიმოდა და თავისაკენ მიხმობდა.

ავცახცახდი. ოფლმა დამასხა. დიდხანს ვიდექი გაბრუებული. ზმანება გაქრა.

იასკენ მოვბრუნდი - თავჩაქინდრული იჯდა.

არ ვიცოდი რა მექნა. იამ შემხედა.

- რა მოგივიდა? - მკითხა.

- რა?

- რა ვიცი, ფერი არ გადავეს!

უცნო საშინლად მომინდა მარტო ყოფნა.

ეტყობა, იამ ეს იგრძნო (არ ვიცი როგორ)... უხმოდ წამოვდექი. კარებამდე მივაცილე.

- ზვალ მოვიდე? - მკითხა. თავი დაუქუჩიე.

თვალს მიეფარა.

ისევ ფანჯარასთან მივედი. მზე ჩასულიყო...

გარეთ კი ვიღაც ჩურჩულებდა: - მოდი! მოდი!

გვიან დამეძინა.

წინ მშვენიერების ხატი მედგა.

- ჩემში არს არის ცხოვრებისა! - ჩურჩულებდა, - მომენდე!

- მაშ, რატომ თქვეს, რომ შენ გარდაიცვალე?

- ვინც ეს თქვა, მისთვის, ალბათ, გარდაცვალებულე. ისე კი, მე უკვდავი ვარ!

- არ ვიცი! - ვთქვი ჩურჩულით.

ის სულ ახლოს მოვიდა ჩემთან.

ხელი გავიწოლე მისკენ.

უმაღლესი დამშორდა.

- მე ვარ ანი და ჰოე ცხოვრებისა, - თქვა - მე რომ არ ვარსებობდე, ადამიანებს ძალიან გაუჭირდებოდათ.

- ვიცი!

ბოლოს მშვენიერების ხატი გაქრა და მართლად ჩურჩი. გამეღვიძა...

გული უცნაური სიხარულით მქონდა საესე.

წამოვდექი. ჩავიცი და გარეთ გამოვედი.

„იასთან წავალ!“ - გავიფიქრე.

კარზე დავაკაკუნე...

- ვინ არის? - შემომესმა ყრუ ხმა.

- მე ვარ! კარი გაიღო. ზღურბლზე მოდი-მარი ია იდგა.

- მგონი, ძალიან ადრე მოვედი! - მოვეუბოდიშე.

უხმოდ გატრიალდა. უკან გავყვევი.

- რა გახარებული სახე გაქვს! - მითხრა, როცა დავსხედით.

ერთხანს ვღუმიღღი: - ის არ გარდაცვლილა!

- ვთქვი ბოლოს ჩურჩულით.

დაბნეული შემომხედა:

- ვინ ის?

- ის... ჩემი სულის მეუფე, ჩემი ღვთაება.

- მაინც, ვინ?

- მშვენიერება!

ქალს სახე შეეცვალა.

ერთხანს უხმოდ იჯდა...

- ამის სათქმელად მოხვედი? - მკითხა ბოლოს.

- ჰო!

წამოვდექი და ოთახში სიარულს მოჰყვა.

- გიხარია? - შედგა ჩემ წინ. თავი დაუქუჩიე.

- რა ბავშვი ხარ, ღმერთო, რა ბავშვი! - თქვა ღიმილით. ვღუმიღღი.

- მაინც როგორია? - მკითხა.

- ვინ?

- მშვენიერება!

- ის თვით სრულყოფილებაა...

- სულ ეს არის?

- განა ეს ცოტაა?

მცირე ხანს ვღუმიღღი.

- ახლა რას აპირებ? - მკითხა.

- არაფერს... ისე კი...

- ისე რა?

- კიდევ მინდა ვიხილო. სახე მოექუფრა.

- ეს საშინია!

- საშინო? რატომ?

- გუშინ ვგრძნობ, ასე!

- შეუძლებელია!

- რა არის შეუძლებელი?

- რომ მისმა ხილვამ რაიმე ვნება მოუტანოს ჩემს სულს.

იასთან დიდხანს აღარ დავრჩენილვარ. დავემშვიდობე და შინ წავიდე.

დიდხანს დავხეხტებოდი ქუჩებში...

როცა გზაჯვარედინთან მივედი, შევნიშნე

- ქუჩაში ტანსაცმელმეოფლეთილი მთვრალი

კაცი ეგდო.

ახლოს მივედი. შევეკრთი! გუშინ ნანახი კაცი იყო, მშვენიერების გარდაცვალებაზე რომ საუბრობდა. მიუახლოვდი და მხარზე ხელი დავავლე:

- ადექი!

ამღვრეული თვალებით ამომხედა.

- ადგომა რომ შემეძლოს...

მხარში შევუღდე და წამოვყევი.

- საიდანღაც მეცნობა! - თქვა.

არაფერი მიპასუხია.

- აჰ, - თქვა უცნო, - ჩვენ ხომ გუშინ შევხვდით ერთმანეთს.

ისევ სიჩუმე.

- ჩემი თავი მეზიზღება! - თქვა უცნო.

ერთხანს ჩუმი მივიღიოდი.

- ხელი გამიშვი! - თქვა ბოლოს.

ხელი გავუშვი.

- ის მიხმობს, გესმის? - თქვა.

- ვინ ის?

- ის გარდაცვლილი მშვენიერება.

ულიმადოდ გავიღიმე.

- მშვენიერება არ მომკვდარა! - ვთქვი უცნო მტკიცედ.

დაკვირვებით შემხედა.

- ჩემთვის გარდაიცვალა - თქვა.

- ჩემთვის კი არა, გესმის, არა! - დავუყვირე.

მხარებში ხელები ჩავავლე და შევანჯღრიე.

თავი ჩაჰკიდა.

- ბედნიერი ყოფილხარ! - თქვა. ერთხანს ასე ვიდექით.

- მე წავალ! თქვა ხრიალით.

ჩუმი ვიყავი. იგი გზას გაუყვა. მე კი ვიდექი და თან გული მწყდებოდა, თან უზომოდ მიხაროდა რაღაც.

ირგვლივ ყველაფერი ყვავდა. გაზაფხული იყო.

საბჭოთა



ჩვენს ოჯახში ყველა მღეროდა. დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, ღვთისგან მომადლებულ ნიჭს თავისებურად აქსოვდა მრავალსახიერ, ხალხურ სასიმღერო ხელოვნებას.

– მაგათ საბუდარში გამოჩეკილი ყვინჩილაც კი მრავალჟამიერს მღერი-სო! – ხუმრობდა ხოლმე მამალაანთ ქერივის ბიჭი სოფლის სადალაქოში და ეს არ იყო უბირი, უკუდო ხუმრობა.

მამაჩემს ბუნებრივად დახვნილი, ლამაზი ტემბრის ხმა ჰქონდა, ბევრი ძველი უნიკალური სიმღერაც იცოდა. ეს სიმღერები დედას ლევანასგან ჰქონდა ნასწავლი.

ადრე დაობლებული მამაჩემი შილ-დაში გაიზარდა უფროსი დის ოჯახში. ეს ოჯახი და დედას ლევანას ოჯახი კარის მეზობლები იყვნენ. მართალია, დედას ლევანა თვრამეტი წლით იყო მამაზე უფროსი, მაგრამ მათ ღვიძლ ძმებზე თუ უყვარდათ ერთმანეთი.

გალმა მხარის სოფლები – შილდა, ყვარელი, ენისელი, გრემი, ართანა ხალხური სიმღერების ბუდედ ითვლებოდა. ვის არ სმენია ტიცვიან ტაბიძის პოეტური ამოძახილი – შილდაში მღერის დედას ლევანა და ართანაში ყარა-ლაშვილი!

მამას გუშინდელი დღესავით ახსოვდა ზაქარია ფალიაშვილის ამ სოფლებში ყოფნა. პირველად, თურმე სიმღერების ჩამწერ აპარატს ახლო არავინ გაეკარა. შე დალოცვილო შენა, უღვინოდ სიმღერა სად გაგონილაო? კომპოზიტორს ამაზე გულიანად უცი-ნია. ბოლოს უთქვამს – გადამეტებით არ ვიტყვი და ამისთანა მომღერლებს მე ჯერ არსად შევხვედრივარო!

მამაჩემი ამ მომღერლების მიმდევარი იყო.

ჩვენც, შვილები, არ ვიყავით ამ მხრივ ხელმოცარულნი. ერთი უფროსი ძმა კომპოზიტორ ნიკო სულხანიშვილის მოსწავლეთუ გუნდის სოლისტი გახლდათ. მეორე – მიხეილ კავსაძის გუნდში მღეროდა. შემდეგ ორი ძმა თბილისის კონსერვატორიაში პროფესორ ვრონსკის კლასში ირიცხებოდა.

მაგრამ მამა, რატომღაც, უკმაყოფილო იყო. ჭირვეულობდა. ზოგჯერ როცა შეზარხობდებოდა და ქეიფის იშტაზე იდგა, სინანულით გვეტყოდა ხოლმე არც ერთს ბიძათქვენის ფოლადი არ გამოგყვითო! არ ვიცი, რას ფიქრობდნენ, რას განიცდიდნენ ამ დროს ჩემი ძმები, მე კი, თვალიდან არ მშორდებოდა ჩვენს საოჯახო ალბომში ჩაკრული ფოტოსურათი, რომელზედაც გამოსახული იყო ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი წარმოსადეგი შესახედაობის ვაჟკაცი. მის მოკლე, „ყარაბანდულ“, გულისპირამოქარგულ ახალუხს საოცრად შეენოდა მოზარნიშე-ლი, ბურთულეებიანი ვერცხლის ქამარი. მოდური, ქალაქური ქუდი ეხურა. „შევროს“ მაღალყელიანი „შიბლეტები“ ეცვა. მარცხენა ფეხი საფლავის ქვაზე ედგა. ნაღვლიანად იღიმებოდა.

ეს იყო და ეს, რაც ჩვენი უცნობი, თვალით უნახავი ბიძის შესახებ ვიცოდით.

...1872 წლის თებერვლის უკუნი ლამეა. აყლაყუდა ლონგინოზს, სოფელში რომ გრძელკანჭება ლონგიას ეძახიან, ნანატრი ბიჭი შეეძინა. გაიზარა ოჯახმა. მამა კი, ბედნიერი მამა, არსად ჩანს. სად არი?

ღმერთმა რომ ადამიანი შექმნა, შარა გზაზე გაიყვანა. პირჯვარი გადასახა და უთხრა: ნადი, კეთილო სულო, ოფლითა პირითა შენისათა სჭამდეო პურსა შენსას!

გრძელკანჭება ლონგია ასე სჭამს პურს. ხნავს კიდეც. თესავს კიდეც. მკის კიდეც. თან სოფლის ღვინით ამარაგებს ჩულურეთის, რიყის დაბახანების სამიკიტნოებს ქალაქში. ახლაც იქ არის. ყვეარი ურმით ღვინო აქვს წაღებული.

ლონგიამ ბიჭი კვირაცხოვლის საყდარში მონათლა. მღვდელმა სახელად იოსები ჩაუნერა, მაგრამ მოფერებით ბავშვს სოსიკა შეარქვეს. თერთმეტი წლის სოსიკა მამამ თბილისში ჩაიყვანა. რაიმე სარფიან ხელობას ვასწავლიო. ჩულურეთში ხომ მას პაპა იასეს ნაანდერძევი ოროთახიანი ბინა ჰქონდა!

კენკენა, ქალაქურ ტანსაცმელში გამოკოპნიავებული სოსიკა ხტუნვა-ხტუნვით მიჰყვება მამას. აი, თურმე, როგორი ყოფილა თბილისი!

ვორონცოვის ძეგლს რომ მიუახლოვდნენ, ბიჭი გაოცებული შედგა.

– ეხო ბაყბაყმდევია მამი, ნუცა ბე-ბია რო მიაბობდა ხოლმე! – შეჰყურებდა მტრედების სკორით დანინ-წკლულ ძეგლს.

ნაშუადღევს ლონგია, პირობის თანახმად, ყარამან ლლონტს მიჰგვარა ბიჭი სამიკიტნოში.

გილდი მიკიტანი მხიარულ გუნებაზე დახვდა მათ. ეტყობოდა, ლაზათიანად იყო ნაკრავი.

ყარამან ლლონტის სამიკიტნო ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, ხიდისყურში მდებარეობდა. შესასვლელი მოედნიდან ჰქონდა. ჩასცდებოდით თუ არა მარმარილოს კიბის ხუთიოდე საფეხურს, ფართო, მაღალჭერიან სარდაფში ამოჰყოფდით თავს. ეს გახლდათ სამიკიტნოს მთავარი სასტუმრო დარბაზი.

ლონგია კმაყოფილი გამოვიდა სამიკიტნოდან. „ბიჭი ბევრ რამეს ისწავლის აქ. გაიზრდება. დავაჟაკცდება. თუ ღმერთმა ინება, მიკიტნის ყულაბასაც გამოჰკრავს ხელს“, ფიქრობდა და ნორმალურად თვლიდა, რომ წლების მანძილზე მის შვილს „ხელის ბიჭის“ სახელი უნდა ეტარებინა.

სახარე ხბოს სასკორავში ეტყობაო! სოსიკას ადრევე შეეტყო, რომ ის სავაჭრო – სააღებმომცემო საქმეებისათვის არ იყო დაბადებული. მას მხოლოდ დამკვრელები, მომღერლები, მუსიკოსები იზიდავდნენ.

ლონგიას იმედი გაუცრუვდა. – ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილიაო! – შესძახებდა ხოლმე ჯავრმორეული და ამითლა იქარვებდა დარდს.

ნინოობის დღეს სამიკიტნო მეინახეებით გაიჭედა. კახურმა რომ იძალა, შვინდისფერ ჩოხაში გამოწყობილი ყარამანი სასტუმრო დარბაზში გავიდა

– ასი წლის სიცოცხლე ყარამანს! – ფეხზე წამოდგა გრძელი სუფრის თამადა.

მერიქიფემ ღვინით სავსე ჭინჭილა მიაგება.

ყარამანმა ორივე ხელი ჩაავლო თიხის „სამ ტუჩიან“ სასმისს. მაღლა ასწია. სუფრა დალოცა.

ამღერდა ჭინჭილა.

გიმრისფერ საფერავს კურკურით შეჰქონდა ადამიანის სულში მზის მცხუნვარება. მზე კისკასობდა, მზე ბრწყინავდა, მზე იცინოდა.

პრეზიდენტ, პრეზიდენტ!

ჭინჭილა რომ ჩამოინრიტა და ყარამანმა ღრმად ამოისუნთქა, დარბაზის ბოლოში, კედელთან ატუზულ სოსიკას მოჰკრა თვალი. ბიჭი მონუსხული, გათანგული მისჩერებოდა შავჩოხიანთა ქეიფს. ღრუბელივით იწოვდა მათ სიმღერებს, მუნასიბებით შემკობილ სადღეგრძელოებს.

სამიკიტნოს გოროზი მფლობელი ჩააფიქრა ამ სურათმა. თვითონ უებბრო მომღერალმა, მეთარე-მეჩონგურემ, კარგად იცის შავჩოხიანთა გუნდურ-პოპური, მრავალხმიანი თუ შიქსტურ-ბაიათური სიმღერების ფასი. მაგრამ ალაზნის ნაპირიდან მერცხლის ბარტყივით მოფრენილ ამ ოტროველთა ბიჭს რაღა დაემართა, რამ მოხიბლა, რამ მოაჯადოვა?!

ეს კითხვა დიდხანს არ განშორებია ყარამანს.

წლები წლებს მიჰყვა. სოსიკამ თვრამეტს გააბიჯა. მერე, არ იკითხავთ ვის ჰგავს, როგორია? – მაღალი. მხარბეჭიანი. პირმშვენიერი. ჩუღურეთის გაუტეხელი მოკრივეა, ფალავანი, მომღვინი, მომღერალი...

იმ დროს ჩვენი ქვეყანა ვინ იცის მერამდენედ, უცხოური, განსაკუთრებით აღმოსავლური მუსიკის ძლიერ გავლენას განიცდიდა.

ქართველები ხომ ყოველგვარ უცხოურს ქორივით აცხრებიან!

ჩვენი დამკვრელი მუსიკოსებიც ვირტუოზულად დაეუფლნენ სპარსულ, თურქულ, არაბულ საკრავებს, ჰანგებს, სიმღერებს. თუმცა, მაღლობა ღმერთს, ხელშეუხებლად, უცვლელად, დოგმატურად ბევრი არაფერი გადმოუღიათ. უცხოურ ჰანგებსა და საკრავებს ისინი თავისებურად გარდაქმნიდნენ, ასხვაფერებდნენ, აუმჯობესებდნენ, ჩვენებურ, ეროვნულ ხიბლსა და სისადავეს მატებდნენ.

ეს იყო ჭეშმარიტად ხალხური, ბუნებრივი ძიება, კვლევა, მიგნება, რასაც ის მოჰყვა შედეგად, რომ ჩვენს დედაქალაქში აღმოცენდა, დამკვიდრდა სავსებით თავისებური, ორიგინალური ქალაქური მუსიკა.

ამ მუსიკის ემზი და სილბო დედის რძეკვით შეირგო სოსიკამ. ქალაქის დამკვირვებელ-მუსიკოსთა ამქრის მხცოვანმა ოსტატმა სინო ხაშურელმა რომ მის სიმღერებსა და დაკვრას მოუსმინა, საჯაროდ აღიარა – ამ ჭაბუკის ხმა



და თითები სულკურთხეულ ნაჯაფას მაგონებსო!

ეს დღე სოსიკას მეორე ნათლობად იქცა. მას სამუდამოდ შემორჩა ეს უცნაური ფსევდონიმი – ნაჯაფა.

ზარივით წკრიალა ხმითა და ბუნებრივი არტისტობით დაჯილდოებული ნაჯაფა ღრმად ჩაეფლო ქალაქის ბოჰემურულ ცხოვრებაში.

...დათა ზუბიაშვილის დასტა მეფის ნაცვლის სასახლეშია გამოძახილი. დათასთან ერთად აქ არიან ნაჯაფა და სერგო ვახტანგოვიც.

სახელმწიფო დეპარტამენტის უფროსმა მრგვალი მაგიდიდან ცისფერი კონვერტი აიღო.

– ამ წერილში, – მაღლა ასწია, – დიდი რუსი იმპერატორის ხელმოწერილი საბუთია. სანკტ-პეტერბურგში გინვევთ. გახსოვდეთ, ქედმოდრეკილი უნდა დაემხოთ მის წინაშე. თქვენი მდაბიური ხელობით იქ, იმპერიის გულში, უნდა წარმოაჩინოთ კავკასია!

გენერალმა წერილი დასტის წინამძღოლს გაუწოდა.

დათა ზუბიაშვილი არ შერხეულა. გაფითრებული იდგა. ტუჩები უთრთოდა.

ადიუტანტმა შენიშნა ეს. სწრაფად სტაცა ხელი წერილს, ჩოხის უბეში ჩაუცურა მას და, როგორც შეუძლვა, ისე გამოუძღვა სამივეს კაბინეტიდან.

...სანკტ-პეტერბურგი!

უზარმაზარი, თაღებიანი დარბაზი, სადაც რუსეთის დედოფალს დაბადების დღის ზეიმს უხდიან, ოქრო-ვერცხლში ცურავს. უმაღლესი რანგის სტუმრებთან ერთად აქ, თავი მოუყრით მილეთის მუსიკოსებს, მუსიკოსთა ამ ზღვაურში დათა ზუბიაშვილის დასტა ობოლ კნუტივით მოჩანს.

ნაჯაფა ჩაფიქრებული ზის. იმ სიმღერას იმეორებს გულში, გრიგოლ ორბელიანის ლექსზე რომ შექმნა. ეს ჰანგი მოეწონა ზუბიაშვილს. ნაღდი ქართულიაო, თქვა და დოლის, დუდუკის, სალამურის ხმებზე გაანყო.

ბოლო არ უჩანს მისალმებებს, სიმღერებს, ცეკვებს, გრაციოზულ გამოსვლებს.

და აი, გატყდა ნავსი. კაფანდრა მასეტრომ თავისი ჯადოსნური ჯოხით, რაღაც იეროგლიფი მოუხაზა ჰაერში დასტას.

დათა წამოდგა.

აკენესდა დუდუკი. აღუღუნდა სალამური. ამ ხმებს აბრეშუმით ჩაენა ნაჯაფას ხვერდოვანი კრინი, მისი დოლის მსუბუქი, ძლივს გასაგონი დაფდაფი. ეს ხმები თანდათან მომძლავრდა, მოლონიერდა. სულში ჩამწვდომ მელიდიად იქცა.

იმპერატორმა თავი ასწია. ბოლო აკოდი რომ ჩათავდა, დარბაზის სიღრმეში ყრუდ გაისმა – „ბრავო გრუზია, ბრავო!“

ნაჯაფა ყურს არ უჯერებდა. მას თვალწინ წარმოუდგა თბილისი. მეფის ნაცვალის სასახლე. გაახსენდა ბებრუხუნა გენერლის გესლიანი სიტყვები...

მეორე დღეს, დილით, დასტა ნევის ნაპირზე გავიდა. დამკვრელები პეტრე დიდის ძეგლთან ჩამოსხდნენ თუჯის გრძელ მერხზე.

– გამიგონია, პეტრე დიდს ქართველები უყვარდაო! – ჩილაპარაკა დათამ.

ნაჯაფამ და სერგომ კვერი დაუკრეს. – ჰოდა, დილის საარი შევანიოთ!

ზურნის ხმა ცაში აიჭრა. თოლიასავით გადაეველო ნევის ტალღებს. სადღაც შორს, ფინეთის ყურეში ჩაიძირა.

სალამო ხანს იმპერატორმა დასტა სასახლეში იხმო. შეაქო. დათა ზუბიაშვილს ბრილიანტებით მოჭედული ოქროს ბეჭედი გადასცა საჩუქრად, სერგო ვახტანგოვსა და ნაჯაფას – ოქროს საათები.

თბილისში ჩამოსულ დასტას ახალი ტურნე ელოდა. ბაქოში ინვეცდნენ საძველისო ზეიმზე.

ნიკოლოზ საჭავჭავაძის პოეტიკური საზოგადოებრივი აზროვნების სახეობები

ქართული კლასიკური პოეზიის გიგანტის ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება ფართოდ და მრავალმხრივ აისახა მუსიკალურ ხელოვნებაში, მასვე მიეძღვნა არაერთი სიმღერა, გუნდი, რომანსი, აგრეთვე ოპერა და ორატორია. ნიშანდობლივია ისიც, რომ პოეტის ლექსმა თვით ხალხურ მუსიკაშიც შეაღწია, რაც იშვიათობაა, თანაც თავდაპირველად სწორედ იქ კი ვა გამოძახილი, შემდეგ კი პროფესიულ მუსიკაში გაიშალა ფესვი – ერთსადაიმთხვე ტექსტზე რამდენიმე ავტორის მუსიკალური ნაწარმოები მოგვეპოვება.

კომპოზიტორთა სწრაფვა მარტოსულის უხადო პოეტური სამყაროსადმი, მისი განსაკუთრებული მწარე ბედითაცაა განპირობებული, რამაც აიძულა ჭაბუკი- ბარათაშვილი მიეტოვებინა სამშობლო და განეგადა გადახვეწილიყო (სამუშაოს შოვნის მიზნით), სადაც აღესრულა კიდევ „მეგობართა და ნათესავთმოკლებული“...

მიუხედავად სულით ობლობისა, განუხორციელებელი სურვილებისა და ეროვნული სინამდვილიდან მომდინარე სულიერი ტკივილისა, ბარათაშვილის ლექსებში სოფლის სამღურავთან ერთად ისმის საწყურისოსთან, ბედთან ჭიდილიც. იმედეგაცრეხებაცა და ღრმა რწმენაც, რომანტიკული ლტოლვა, თავისუფლებისაკენ დაუოკებელი სწრაფვა... ყოველივე აირეკლა ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებშიც, რაც კიდევ უფრო გაძლიერებულია მუსიკის ენით – პოეზიის მგრძობიარე სიცოცხლეთ...

ქართული მუსიკის ბერძნულზე ზაქარია ფალიაშვილმა პირველმა მიმართა ბარათაშვილის პოეზიას პროფესიულ მუსიკაში, ოპერაში „დაისი“ (1923წ.), კიაზოს არიაში „სული ბორბოლი“, რომლის ინტონაციურ წყაროდ გამოყენებულია ამავე სახელწოდების აღმოსავლური შტოს ქართული ქალაქური (ძველი თბილისური) ხალხური სიმღერის თემატური მარცვალი, არნახული გარდასახვა-განვითარება რომ განიცადა. არია უბრალოდ გადმოცემის ოპერის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის – კიაზოს სულიერ დრამას, გამოწვეულს რწმენის ნგრევისა და იმედეგაცრეხებით. მძიმე სულიერი განწყობილება, გარდა პანგისა, ხასგასმულია საორკესტრო თანხლებამაც – კენვისსმაგვარი დაღმავალი სვლის სეკუნდური გეგმისხლეებით, წითელ ზოლად რომ გასდევს მთელ არიას. პოეტური ტექსტიდან გამომდინარე, შეიგრძნობა შინაგანი სითბოც და ვაკაცური სულიც. ორი გენიალური ხელოვანის – ბარათაშვილისა და ფალიაშვილის შემოქმედებით შეხვედრა გამარჯვებით დავევირვინდ – კომპოზიტორმა კიაზოს არიის სახით ერთგვარი ძეგლი დაუდგა პოეტს, ხალხურ წყაროს კი მარადიული სიცოცხლე მიანიჭა.

ხ. ფალიაშვილის გარდა, „ქართველი ბაირონის“ შემოქმედებას უფროსი თაობის კლასიკოს კომპოზიტორთაცან დიმიტრი არაყიშვილმაც მიმართა – დაწერა რომანსი „საყურე“, ორი ხმისათვის (ფორტეპიანოს თანხლებით) დაამუშავა ქართული ქალაქური ხალხური სიმღერა „მობრის არაგვი“, აღმოცენებული ბარათაშვილის ტექსტზე „ბედი ქართლისა“.

იმავე ტექსტზე სიმღერა დაწერა ნიკო შარაბიძემ, ხოლო ნიკოლოზ გუდიაშვილმა – აკაპელა გუნდი.

ნ. ბარათაშვილის ლექსი „ჩონგურს“ საფუძვლად უდევს არჩილ ჩიმაკაძის, ალექსი მაჭავარიანის და ვაჟა აზარაშვილის ამავე სახელწოდების სიმღერები. ჩონგური აქ გაიკვივებულია სამშობლოს მხატვრულ სახესთან: „პოი,

ჩონგური, ნეტავი ოდეს ხმა მხიარული შენგან მესმოდეს, რომ უკუმყრიდეს მე სევედიანსა გონისა სენი“... – ჟღერს დიდი ემოციური ძალით თემა-მელოდია. მთელი სისასვით რომ გვაგრძობინებს ტატო ბარათაშვილის სულიერ განწყობილებას, მის განცდებს... ნაწარმოებთა ეროვნული კოლორიტი გაძლიერებულია თანხლებებში ხალხური საკრავის – ჩონგურის ჟღერადობის იმიტაციით, მისთვის დამახასიათებელი აკორდიკითა და რიტმებით.

სინამდვილის ტრაგიკული განცდა, ასახული პოეტის ლექსში „ცრუო სოფელი“, წარმოჩენილია გრივოდ კოვლამის, ვივი ციციშვილისა და ალექსანდრე შავერზაშვილის ამავე სახელწოდების რომანსებში, რაც შესაბამისად ხაზგასმულია თემატური მასალით, პირქუში აკორდული ფაქტური, წყვეტილი რიტმული პულსით და საერთო განწყობილებით – ამ განცდის გადმოცემას რომ ემსახურება.

სინამდვილეში შეხლა, ბრძოლა „შავ ყორანთან“, კამათი „იღუმად ხმასთან“, ესოდენ დამახასიათებელი ბარათაშვილისათვის, თავის საბოლოოდაღწევებს „მერანში“ პოეზებს. ამ პოეტურ შედეგებს არა ერთმა კომპოზიტორმა მიმართა. კერძოდ, „ხმა იღუმალს“ – ოთარ თაქთაქიშვილმა, ალექსი მაჭავარიანმა, ალექსანდრე შავერზაშვილმა, „მერანს“ – ოთაქთაქიშვილმა, მერან გავნიძემ, ა. შავერზაშვილმა. ა. მაჭავარიანის რომანსი „ხმა იღუმალი“ კომპოზიტორის ვოკალური ციკლის ერთ-ერთი ნაწილია. ამავე ციკლში შედის: „სული ობოლი“, „ჩონგურს“, „საყურე“, „თავად ბარათაშვილის აზარტეშაზედ“ და „ცისა ფერს“. ეს უკანასკნელი 1947 წელსაა შექმნილი რუსთაველის თეატრის საექსტრალისათვის – „ნიკოლოზ ბარათაშვილი“. „ცისა ფერს“ გამორჩეულია როგორც ბარათაშვილის, ისე მაჭავარიანის შემოქმედებაში და საერთოდ, მთელ ქართულ პოეტურსა და მუსიკალურ სატრფიალო ლირიკაში. იგივე ითქმის პოეტის ლექსზე აღმოცენებულ ა. ჩიმაკაძის რომანსზე „შენი დალაღნი“. ისინი ეროვნული და ვოკალური ლირიკის კლასიკური ნიმუშებია, ჟანრის შედეგები. მათში ჭეშმარიტი ოსტატობითაა მუსიკა და პოეზია შერწყმულ- შედუღებული. გვხვობავს ნაწარმოებთა სულიერი სიფაქიზე, მდიდარი შინაგანი ბუნება, რომანტიკულ განცდათა აღწევება... ფაქიზი ლირიზმიდან – განცდათა აღტკინებამდე – ასეთია მათი მხატვრული სამყარო, პოეტურ-მუსიკალური განსხეულება. მათ ბევრი აქვთ საერთო, „ნათესაური“. ეს ეხება ხასიათსა და ჰარმონიულ ერთიანობას, მელოსის სიწმინდეს, ჰაეროვნებას, აზრის ათრობილებულ დინებას, მუსიკის სუნთქვას, ლა-

კონიზმს, ფაქტურის სიმუხუნს, რაც პირველქმნილ ფერთა გამით ადავსებს, ქალური სინაზითა და კდემამოსილებით მსჭვალავს. აკი ქალს – გენიალური ბარათაშვილის საწუკვარ არსებას, ღვთაებრივი სილამაზის ეკატერინე ჭავჭავაძეს უძღვნა ისინი.

ა. მაჭავარიანის ამ რომანსისაგან განსხვავებით, ციკლში შემავალი დანარჩენი ხუთი რომანსი დაწერილია თანამედროვე მუსიკალური ენით, ლირიკულ-ფსიქოლოგიური რომანსებით. კომპოზიტორის მუსიკალური ლექსიკა გამძაფრებულია, მიმართავს რეჩიტაციას, ქრომატიზმს (ქრომატულ გამასაც კი რომანსში „საყურე“), მელიზმატიკას, კლასტერს, აქცენტებს, მუსიკალური მასალის სეკვენციურ განვითარებას... ადგილი აქვს თავშეკავებული ლირიკის, დრამატიზირებული რეჩიტატივისა და ვოკალის რთული ინტონაციური სიმდიდრის შერწყმას, რითაც ერთგვარად ვაჟა-ფშაველას სიტყვებზე შექმნილ ამავე ავტორის „ხუთი მონოლოგის“ ხაზს ავრცელებს.

სიყვარულის მარადიულობის გრძობას ბარათაშვილის არაერთი ლექსი მიეძღვნა. პოეტს ამ გრძობისადმი საკუთარი აზრი გააჩნია – სასიყვარულო ნეტარება მხოლოდ მონათესავე, ამაღლებულ სულითან შეიძლება მიიღწევა. – „თუთი უკვდავება მშენიერსა სულში მღვთმარებს!“ – აცხადებს იგი და მყარად ღვას ამ აზრზე, „არ სლევს ჟამთაცვლას“... ეს ზეამაღლებული დამოკიდებულება და მოწინააღმდეგე სიყვარულისადმი აშკარაა ვივი ციციშვილის რომანსშიც – „ეკატერინე ჭავჭავაძე“ – „ხმით მშვენიერით, ტბილი სიმღერით, ჰაეროვანო, სულს ეფინებ“... – ჟღერს ათრობილებული დაღაიონით თემატური მელოდია, სადაც ერთსადაიმთხვე სიტყვებზე დამყარებული ინტონაციების მრავალგზის განმეორებით („ჰაეროვანო, ჰაეროვანო...“) განმტკიცებულია ნაწარმოების დღეაზრი, იგივე ხელს უწყობს პოეტის ტრფიალის დახასიათებას, რომანსში აშკარაა არობიულობისაკენ, ფორმის მასშტაბების გაზრდისაკენ, სამნაწილიანობის გარღვევისაკენ სწრაფვაც.

ლექსი „შევიშრობ ცრემლსა“ მუსიკის ენით ამტკიცებულს ია კარგარეთელმა, სანდრო მირიანაშვილმა და არჩილ ჩიმაკაძემ. მასში ნატიფი პოეტური სტრიქონებით მოცემული ფიქრები სამშობლოსა და სათავყვანებელ არსებაზე, სალოცავ ხატად რომ მიუჩნევიან, სიცოცხლის ჩამავალი სხივებით იზოსება; მძიმე სულიერი განწყობილება, ფარული გრძობის მთელი სიმშვენიერე, ანრმად მუსიკის შინაგანი სამყაროსი, დანადგმესაწყვის მუსიკალურ ხორცშესხმას პოეზებს – მუსიკა აღსავსეა სევდით, შინაგანი დამაბულობით, რომან-

PIPI კოეტი ხუმორუს



ერთმა ბრიყვმა ასე სჭეკა:
მე არ ვიცი ცეკა-მეკა,
ცეკა-მეკა არ არისო
ჩემთვის მედინა და მეკა.

არაფინ გაცემეს ჯვარზე
მხოლოდ იმის გამო,
რომ არ იცი მარქსი,
რომ არ იცი კამო.
ვის არ უყვარს დღეუ
და ლაქვარდი ღამე,
მხოლოდ სისულელე
არ წამოგცდეს რამე.

ერთმა მასებთან კავშირი
და მეგობრობა ურჩია,
მეორემ გულდანახშირი
მარქსის ტომები ურჩია.
რომ არ მიიღო არცერთი,
ერთხმად იძახეს: ურჩია!

ბრიყვო, ხმა გაკმიდე,
ნუ მიცქერ აღმაცერ.
რაც გულით არ მინდა,
ერთ სტრიქონს არ დაგწერ.

საქმეს უსაქმობა სჯობს
და გმირობას — ლაჩრობა,
პოეზიის სუნთქვას სპობს
პოეზიით ვაჭრობა.

ურემს გერჩიოს „ფიატი“,
რომ შექმნა რამე დიადი.

ეს გულბაათ ჭავჭავიძე
ოთხ ინდაურს ჭამს — ჭამახე.

თითზე ვითვლიდით ნამდვილ პოეტს,
ეხლა კი გვყავს მილიონი,
არ არიან ილიანი,
გავგიძმრავლდნენ ალიონი.

ირაკლის, გოგლას და სერგის
გარდა აქ, ჩემო ძამია,
აჩქარებითა სოფელი
არაფის მოუჭამია.

რაკი დაგვისვეს
წინ ჭილიაია,
უნდა ავიდოთ
ჭინჭილიაია.

ქიზიყელ მეწისქვილესა
შანშიაშვილსა სანდროსა
ზოგი ეძახის ალექსას
და ზოგი ალუხანდროსა.
ლექსებსაცა წერს, დრამებსაც,
მინდაც დიდს იღებს ამ დროსა,
ზაფხულზე ქიზიყს მგალობლობს,
თბილისში — დაიხამოროსა...

ტიკული მგრძობიარებით, ეროვნული ჰარმონიული საფუძვლით. ამასთანავე, მირიანაშვილის სიმღერაში აღმოსავლური კოლორიტიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავისებური სურნელებაც ისმის, რაც სრულებითაც არ არღვევს მის ქართულ ბუნებას, არამედ კომპოზიტორის საკუთარ ხელწერაზე მეტყველებს, მისი ხელწერიდან მოდის.

ამაღლებული განწყობილებითაა აღსავსე ვაჟა ახარაშვილის სიმღერა „ჩემი ლოცვა“ ბარათაშვილისავე ლექსზე. ვოკალის ლოცვის-მაგვარი, სევდიანი კანტილენა ერთ სუნთქვაზე ვითარდება, და დიდი ემოციური ძალით ხსნის ლექსის შინაარსს — მუსიკა ერთსადაიმევე დროს მშვიდიც არის და დაძაბულიც, ლირიკულიც და დრამატულიც, გამსჭვალული შინაგანი ექსპრესიით.

იგივე შეინიშნება ბიძინა კვერნაძის ამავე სახელწოდების ერთნაწილიან ვოკალურ-სიმფონიურ პოემაში („ჩემი ლოცვა“, შერეული გუნდისა და ორკესტრისათვის), რომელშიც ქორალური საწყისი კიდევ უფრო გამოკვეთილია გუნდის გამჭვირვალე ხმოვანებით. ვოკალს ორკესტრი ორგანულად ერწყმის და მეტ სითბოსა და გამომსახველობას, ტემბრულ მრავალფეროვნებას ანიჭებს ნაწარმოებს.

შოთა მილორაავს „სიმღერა ბარათაშვილზე“ (გუნდისათვის, ჩოჩხუაშვილის თანხლებით) პირველი მიმართვაა, ოდა, ზოტბა გენიალური პოეტისადმი, მისი დიდებული ქნარისადმი. ამ მარტივი კუბლეტური ფორმის სიმღერაშიც საუცხოოდ გამოიკვეთა მელოდიურობა, ლირიკული მძვინვარება, ხალასი ეროვნული კოლორიტი, ხაზგასმული ჩოჩხუაშვილის აკომპანემენტი.

ოთარ თაქთაქიშვილის ორატორია „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ (1970 წ.) პირველი მსხვილი ფორმის ნაწარმოებია მიძღვნილი გენიალური პოეტისადმი. ემყარება ბარათაშვილის ხუთ ლექსს („ვპოევე ტამარი“, „ხმა იდუმალი“, „ალ. ჭავჭავაძესთან“, „შემიღამება მთაწმინდაზე“, „მერანა“), ხუთნაწილიანია. უზვადაა დატვირთული მისი მხატვრულ-ემოციური და შინაარსობრივი მხარე. ტექსტის გადმოცემა, თხრობა თვით პოეტის პირით ხდება. ამავე პრინციპს ემყარება თაქთაქიშვილისავე ორატორია „რუსთაველის ნაკვალევზე“ (1964 წ.) — შთაგონებული ირაკლი აბაშიძის ბრწყინვალე ლექსითა ციკლით „პალესტინა, პალესტინა“.

ორატორია „ნ. ბარათაშვილი“ კარგად წარმოსახავს პოეტის მდიდარ სულიერ სამყაროს, მის ამაღლებულ პოეტური ღირსების მთელ სიმშვენიერეს... აგებულია ისე, რომ თითოეული ნაწილი ცალკე დამოკიდებულ ორგანიზმსაც წარმოადგენს და ერთ მთლიანობასაც. ნაწარმოები წარმატებით შესრულდა გერმანიაში და ჩეხოსლოვაკიაშიც.

რაც შეეხება ბარათაშვილისადმი მიძღვნილ კიდევ უფრო დიდი, მონუმენტური ფორმის ქმნილებას — ფელიქს დლონტის ოპერას „იბერიელები“ („ნიკოლოზ ბარათაშვილი“), იგი სცენური სიცოცხლის მოლოდინშია, გამორჩეულია ახალი მუსიკალური ენით, საოპერო დრამატურგიის ახალი ტიპით. ოპერაში პოეტის მხატვრული სახე, მისი პიროვნება ნაჩვენებია მრავალგვარ ვითარებაში: ბედთან, საყვარელ არსებთან, სამყაროსთან, ერის ისტორიასთან, „იდუმალ ხმასთან“ დამოკიდებულებაში.

ბარათაშვილის ტექსტზე სიმღერები და რომანსები შექმნილი აქვთ აგრეთვე გომარ სიხარულიძეს, ვიორჯი ჩლაიძეს, რუსუდან იონაძეს და სხვებს.

როგორც ვხედავთ, ბარათაშვილი მუსიკაში უღრესად საინტერესოდ და მრავალმხრივ

აისახა. აღინიშნება ჟანრული სიმდიდრე, სტილისტური მრავალფეროვნება, პოეტური და მუსიკალური ტექსტების ორგანული მთლიანობა. ნაწარმოებთა შინაარსი მდიდარია, თუმცა მათი გმირი მუდამ ერთია — პოეტი თავის შინაგანი სულიერი სამყაროთი, ფიქრებითა და გრძობებით...

მელოდია ყოველთვის წამყვანია, ვხვდებით სევდიან კანტილენას, ამაღლებულ ლირიკას, რომანტიკულ, ლოცვისმაგვარ ინტონაციებს, ქორალურ საწყისს, რეჩიტატივს (მღერადსა თუ დრამატულს). რომანტიკულობის ხაზგასმის მიზნით კომპოზიტორები აწარმოებენ მუსიკის ლირიკული საწყისის თანდათანობით დრამატიზირებას, იყენებენ ჰარმონიულ მათორსაც — ესოდენ აუცილებელს რომანტიკოსში — პოეტის შემოქმედებისა და პიროვნების წარმოსახვისათვის. იშვიათად, მაგრამ მაინც მიმართავენ ბერწერით ელემენტებს. (მერანის ჭენება, ეკლესიის ზარების რეკვა...), აღმოსავლურ კოლორიტს (მელიზმაცია). აღინიშნება ფორმის მასშტაბების გაზრდისკენ, სამნაწილიანობის ვარდევნიკენ, არიასა და არიოზულობისკენ სწრაფვა, რადგან მარტივი ორ-სამნაწილიანი და კუბლეტური ფორმები ზოგჯერ ვეღარ იტევს ბარათაშვილის სულიერი სამყაროს წარმომსახვე კიდევანს.

აღინიშნება ასევე რომანსით გატაცება, თუმცა საკამარისად გვხვდება სხვა ჟანრებიც: სიმღერა, გუნდი, მონოლოგი, ვოკალური ციკლი, პოემა, ოპერა, ორატორია... კომპოზიტორთა რომანსით გატაცება საესეებით ბუნებრივია, რადგან იგი დამახასიათებელი იყო ბარათაშვილის სტილისტურ ეპოქისათვის, არისტოკრატიული სალონური მუსიკისათვის, სწორედ შინაურ სალონებში დაიბადა ქართული პროფესიული მუსიკის პირველი ნიმუშები — ლირიკულ-ელეგიური ხასიათის სიმღერები ე. წ. საყოფაცხოვრებო ტიპის რომანსები.

ამრიგად, ბარათაშვილის პოეზიაზე დაფუძნებული მუსიკალური ნაწარმოებების უძლიერეს მხარეს წარმოადგენს მელოდია — აღუსილი პოეტური ლირიკით, რომანტიკულობით, დრამატული სიმძაფრითა და ბუნებრიობით, პარმონია — აღსავსე ფერთა სიუხვითა და სიმდიდრით, პოლიფონია — ქართულ მრავალხმიანობაში გადგმული ფესვებით.

პოეტის შემოქმედებით გატაცება, მუსიკის გარდა, მხატვრობაშიც შეინიშნება — სახალხო მხატვარმა ლადო გუდიაშვილმა მისი ღრმად-შესატყვისი, შესანიშნავი პორტრეტი შექმნა, ახალგაზრდა მაღალნიჭიერმა მხატვარმა ბადრი სამუშია-იორამაშვილმა კი თავის კერპს ოთხი ნამუშევარი უძღვნა: „ბარათაშვილი, ბარათაშვილი...“, „ქველი თბილისი“, „ანჩისხატის სამრეკო“, „ბარათაშვილი და...მე“, საკუთარი შრიფტით შესრულებული პოეტის ლექსების ფრაგმენტები, რომლებშიც მშვენივრად ჩანს პოეტის სამყარო, მისდამი სიყვარული... ნ. ბარათაშვილის სახლ-მუხეუმის სალონის სამხატვრო ხელმძღვანელის, მხატვარ ირაკლი აზიშვილის სიტყვებით თუ ვიტყვი: — ბადრი სამუშიას ნამუშევრებში აშკარაა მისი უზადო ხელოვნება, დიდ პოეტთან სულიერი სიახლოვე, მისკენ სწრაფვა, სამყაროს მისეული ახლებური ხედვა და მწარე ბედიც...

მკითხველს ვთავაზობთ ბადრი სამუშიას ნამუშევრების ილუსტრაციებს.

მთერ ღონღარიძე, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი



... ტელეფონის ზარმა მაღაყა — რენომ თქვენი ნახვა ისურვავო. მივჭრებივარ. რენო მძიმე ავადმყოფია. ეს კარგად ვიცი, მაგრამ ამაზე ფიქრს ახლოსაც არ ვიკარებ. მე მიმიხარია იმ რენოსთან, სულ რომ იწვის, სულ რომ ფეთქავს, ირგვლივ ხალხისა და მომხიბლობის ადრექვევს, სიკეთის ფერებში ხედავს სამყაროს და ვერ წარმოუდგენია ქვეყნად არსებობა დროსტრებისა, მაშინაც კი, როცა ეს ბოროტება, შეიარაღებული, მის ვეგერტორს ღაბავს. რენოსთან, ვისი უსაზღვროდ პოეტური ფერწერული ტილოებიც ფიქრთა კორიანტელსა და განცდათა უსასრულობაში ძირავე მხილველს...

მე რენოსთან მივიქცარი, რენო თაბუკაშვილმა რომ მიმიყვანა და მითხრა: ქეთო, ნუ ღელავ, ისეთი მხატვარი მოგიყვანე, მთელ ჩვენს კაბინეტს გადაგვიხატავსო... ეს „იშვიათი მხატვარი“ — შავვერმანი ბიჭუნა, შემქმნელი მალაი „შეფასებთ, იდეა დარცხენილი, არ იცოდ სად წაღო ხელი და თავაქინდელი „შებლქვემოდან გამოქურდული მუხტი თაფლისფერი მომწვანო თავსადავით მე-კითხებოდა — შექმნებო განა? დავალება, მართლაც, რთული იყო. პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მსგევერებს თავის დროზე შრობილითი ენისა და ლიტერატურის კაბინეტის კეთილმოწყობა დაგვიანებოდათ. ომმა კი ამის განხორციელებას იმედი მთლიანად ვადაწურა. ის ისე გამოიფურებოდა სხვა, მშვენივრად ნაამაგარი სასწავლო კაბინეტების მშკრივში, ვითარცა ზღაპარში ღარიბი, ობოლი ბავშვი, ფანჯრიდან რომ თვალცრემლიანი შესცქერის მიდრეულად მორთულ-მოკაშვით მხიარული ბავშვებით გარშემორტყმულ ნაძვის ხეს.

ნორჩმა მხატვრებმა იტვირთეს ამ საქმის თაოსნობა. და განა მარტო ნორჩმა მხატვრებმა? ამორავდნენ, დატრიალდნენ ყველანი. თვითონ რენო თაბუკაშვილმაც, აღიარებულმა ნორჩმა პოეტმა, მოულოდნელად შექმნა შამაშქვედავით სურათი — დავით გურამიშვილის ტყვეობიანი გამოაზრდა. ხშირად ვფიქრობ, ხშირ არ იყო სამშობლოდან გადახვეწილი გურამიშვილის ტრაგიკული ბედი საწყისი იმ დიდ ეროვნული საქმიანობის, რომელსაც რენო თაბუკაშვილი ასეთი რთულნებით აწვდის? ვინ იცის, იქნებ სწორედ გურამიშვილის ქირა და „ქართლის ქირა“ და-ანეთს რჩეული ქართველი ბავშვის გულში ის მალაღ გრძნობა, რომლის ძალითაც დღეს იგი გასაოცარი თავგანწირვით უტოცხლებს და უბრუნებს სამშობლოს სამ-შობლოდაკარგულ სახელოვან შვილებს და ერის მადლობას იქის.

და აი, ამ რენომ მიიყვანა ჩემთან რენო თურქია. მოიყვანა, როგორც ნორჩი მხატვარი, ის კი სასახლეს ემსახურა, ვით დასრულებული ხელოვანი. საფრანგეთის ერთ-ერთი ჟურნალის რედაქტორმა, ვულისყურით რომ გაეცნო კაბინეტის ცხოვრებას, პარიზში დაბრუნებისათვის თავის ჟურნალში დაბეჭდა ის, რაც ჩვეთნან უფროსისა დიდელ ქაყაივლმა ვეითხრა — ბევრი სასწავლო დაწესებულება მი-ნახავს, ყველაზე საინტერესო თბილისის პიონერთა სასახლეა. გამორჩევი მომ-წონს ქართული ლიტერატურის კაბინეტი. წარმოიდგინეთ, ბავშვებს თვითონ და-უხატავთ მათი სათაყვანებელი მწერლების პორტრეტები. და მერე როგორ? ჩინებულად! ასეთ ლამაზ პორტრეტს სამყაროში პოეტის დაბადება სულაც არ გაგვი-ვირდება. ამიტომაც მრავლობენ აქ ისინი...

ბორის პასტერნაკი, ბატონმა გიორგი ლეონიძემ რომ ასტუტოდა ლიტერატურის კაბინეტი, დიდხანს იდგა რენოს შექმნილი სურათთან. ფიქრი მტკვრის პირას! და ბოლოს ძალიან იღვწაღდა თქვა: ახ, ვოტ კაკ ონ ღელაშ!

და თუ პიონერთა სასახლის მშობლიური ლიტერატურის კაბინეტი თავისი სილამაზით მრავალი წლის მანძილზე თავს აწონებდა შინაურის თუ უცხოელს, თუ ის უხვად იმსახურებდა ქება დიდებას, ეს ქება ერთ-ერთ პირველთაგანს რენოსაც ეკუთვნოდა.

ერთხელ რენომ ლიტერატურის კაბინეტში შიოდნის, შეიძლება ითქვას, შე-სანიშნავი პორტრეტი შემოარტყინა. ეს მისთვის არაფის დაუვალებია. აღდგე-ბით, თითქოს თავს იმართლებო, თქვა: „შილური მოგიყვანეთ. თავისუფლების გეოსანია. მე თავისუფლების მოთაყვანე ვარ ცხოვრებაშიც და ხელოვნებაშიც. ან კი ვინ გაპყო ისინი ერთმანეთისაგან! თავისუფლება და ისევე თავისუფლება არის სათავე ყველა მშობლიუნი!“

მე იმ რენოსთან მივიქცარი, ასე მწვავედ რომ უყვარს თავისუფლება. თავი-სუფლად, ლაღად რომ შემოიღობდა ხოლმე კარს სალაშქვად, რაიმე მღვდელ-არებაზე და საინტერესო რომ იწყებდა ლაპარაკს. ჯერ სულ ბავშვი ვლავსავით შემოიჭრებოდა ჩვენს ოჯახში, მხატვრების ცხოვრებაზე და მათ ნაღვაწზე დაწე-რილ წიგნებს დაგვილაგებდა მაგდაზე — წაიკითხეთო — გვიბრძანებდა. და ჩვენ ისეთ სახეს მივიღებდით, თითქოს პირველად გვხვდავით ამ წიგნებს, მაღლობას ვუხდიდით. განა შეიძლება, ცივი წყალი გადაგვესხა იმ აღტაცებული გრძნო-ბისთვის, რომ ის ჩვენ „გვანათლებდა“. ცოტა ხნის შემდეგ იწყებოდა „ახლად წა-კითხულის“ ირგვლივ სკა-ბაასი. კამათში ებმებოდა ჩვენი ოჯახის ყველა წევრი — ჩემი და-ძმა, ნუცა და ლევან ანანიასვილები, დედ-მამაც კი... რენო განსაკუთრე-ბით დიდგვად, სიტყვა რაფაელს რომ მისწევდებოდა. მას მტკიცებულად უყვარდა ეს ხელოვანი (რაფაელისადმი სიყვარული რენოს ბოლომდე შერჩა).

რატომაც სულ მწვენივრებდა, რომ რენო ჰგავდა რაფაელს. მათ სულიერი წე-ობაში, სულიერ სიფაქიზეში, იყო რაღაც ვაჟკაცური. ისეთი, რასაც იტვივ, უნდა იგრძნო, განიცადო. პატარა რენოს პეიზაჟები (ის მათ დროდარდო ჩვენი ბინის „სა-ლონში“ გამოამწერებოდა ხოლმე. ხუმრობით „რენოს გამოფენას“ ვუბნდით), იზო-დადა ჩვენი ოჯახის, განსაკუთრებით ჩემი დის — ნუცის უფროსი მეგობარს, გამორ-ჩეული დაკონცერტის მქონე ადამიანს, ყველასათვის სათაყვანო გვირგვინი ქაქობდა. ერთ-ერთი ასეთი „რენოს გამოფენის“ დაფარეობის შემდეგ, ბატონმა გერონტიმ დი-მილით შთაბეჭდილებათა წიგნი მიითხოვა, თან დასძინა — საკვირველი ბავშვი! უნ-ველთადა გრძნობს ფერს. აი, ამ პეიზაჟში, შხით მოოქროვილ ტყის პეიზაჟზე მიგვი-თითა, სადაც, სადღაც შორის, შორის, გაუბედავი სწიფითით, როგორც იმედო, აღიშნე-ბოდა უსახელო უცხო ყვავილი. მე მის მომავალს ვხედავო.

მე იმ რენოსთან მივიღვივარ, საგურამოში ჩასვლისთანავე ილიას სახლის ხატვა რომ დაიწყო. ბავშვები დაბრუნდნენ, ილიას დალონებულ სახლს ათვალიერებ-დნენ. კოცნიდნენ ბებერ კაკლის ხეს, ეალერსებოდნენ ბილას წყაროს, მკითხებო-

დნენ — სად დაუღვამს ილიას ფეხი, სად ჩამოძვარა, სად ჩასძინებია?... თითოე-ული მათგანი თავისებურად გამოხატავდა ერის დიდი მამისადმი სიყვარულს, მუხ-ლისმოდრეკას მის წინაშე. რენო კი ხატავდა ილიას სახლს... ხატავდა ფუნჯით კი არა, გულით, სულით, მთელი თავისი არსებით... არნახული გატაცებით, არნახუ-ლი მდომებებით.

ჩვენგან შორს ქულა, ქველა და ელავა ომი. გამწვრებით იბრძოდნენ ქა-რ-თველი ვაჟკაცები, ომისფრად შეფერილიყო აქაც ყველაფერი. სწორედ ასეთ დროს ვინდომით იმ დიდი მეტროპოლის კარმიდამოში ყოფნა, ათეული წლები რომ ომობ-და საქართველოს უფრედვსაყოფად. გვეძინა იმ ოთახებში, სადაც მისი მაღალი სული ტრიალებდა, გვეამაყებოდა, რომ მის ფეხნავალ იატაკზე უბრალოდ მო-ფინდული თივაზე რიგითი ჯარისკაცებით ვიწვეით და დიდხობამდის ვფიქრობ-დით, ალბათ, ყველანი ერთ ტყვილიან საფეხურალზე, მარად უპასუხოდ დარჩე-ნილ შეკითხვებზე.

ჩემი მეხსიერება ფერუცვლელად ინახავს იმდროინდელ თეთრ-უძილო და-მეს. ავღეჭი. მძინარ ბავშვებს გადავხედავ. რენო და გურამ ასათიანი არ ჩანდნენ. ვლაველი. გარეთ გამოვდი. ილიას კაკლის ხის ძირში, მიწაზე რენო ჩამოძვარ-ნიყო. საგურამოს მთავრე ალერსით დაპნათოდა ბავშვის კეთილშობილ ფიქრი-ან სახეს და ხის ტოტებში იღვწაღდა შებარული სხივებით ფანტასტიკულად ჩრდილებს მის ფერხითი აფენდა. რენო მოლოცვებს ჰგავდა. შეიძლება, მართლაც ლოცვობდა. იმ ვერცხლისფერ ღამეს აქ ყველაფერი თავისთავად ლოცვას ჰგავდა, ლოცვას ცამდე აღწევებულს. უსიტყვოდ შემოვბრუნდი. გურამი სადღა? ხის კბიტი მეორე სართულზე ავიბრუნე. ფართო მაშაპაური აივანის მოპირის-პირს მისეკონობილი მკერდზე მკლავებდალქობილი ძველი ორგის რაინდივით იდგა გურამი (რაინდელი იერი გურამს ბოლომდე შერჩა. იერი კი არა, ის ნამ-დვილი რაინდი იყო ცხოვრებაშიც, თავის უსაზღვროდ ორიგინალურ, სულიერი სიბრძნით განათლებულ შემოქმედებაშიც, თუგინდ სიკვდილშიც...) იდგა გურამი და ისფრად მონახვე ქართლის მშვენიერ ველებს მონუსხულივით გაპყვებდა. გაპყვებდა და ფიქრობდა... განა ცოტა ექნებოდა საფეხური ბავშვს, რომელ-მაც სულ მალე თბილისში დაბრუნების შემდეგ მომიტანა დიდი განცდით დაწე-რილი ლექსი, რომლის ორი სტრიქონი წარსულში აღიარებ ჩამოჩნა სხონაში:

ბევრჯერ იყო თაქრთველო დაჭრილი... მაგრამ მუხლზე დაჩოქილი არისდროს!

დღესაც მტკიცედ არ ვიცი, მომესმა თუ არა შორეულ ტბილსედიანი სიმ-ღერა მელურისა. არა, ნამდვილად ისმობდა იგი, რადგან გურამმა გამოიხედა, სუ-ლაღაც არ ვაევირვა ჩემი იქ ყოფნა, თავზე ხელი გადაისვა და თითქოს თავისთვის თქვა — რა ღამეა, ომერთო, რა ღამეა! თანაც ეს ურმული, ასე რომ მაგონებს იმას...

ლიამ, მწუხრის წყნარი ჩამოახა საგურამოს იმ უჩვეულო ღამეს და მზე ისეთი ელვარებით შემოაბრძანდა ილიას სამეფოში, თითქოს ქვეყანა მხოლოდ სი-ხარულისა და მშვენიერებისათვის ყოფილიყოს შექმნილი. თითქოს საგურამოს იმ ნათელ ოცნება-ღამეთა წყებაში მარადიულ შავ ღამეს არ მოჩანდა უფროსი სისხლით დალახებული, ერთი უღმერთო, ღვთის რისხვა ცოცხელი და...

მას შემდეგ წლებმა დაუთვლილი სიმძლავრით ჩაიკრიალეს, თქვეს თავისი სათქმელი და ბევრიც უთქმელად დატოვეს... იმ ღამის სუნთქვა დღესაც ხშირად მაგონებს ხოლმე თავის თავს და მიკვირს, ვით შესძლო რენომ იმ ღამისეული კაქ-ლის ხის ჩრდილების ილიას სახლის ამ მშთი განათებულ პეიზაჟში ჩაყვებოდა.

მე იმ რენოსთან მივიღვივარ, მივიღვივარ კი არა, უკვე მისი ბინის კარს ვაღებ. შევიღვივარ რენოს ოთახში, რენოს საწოლს ვუახლოვდები. ის დიმილიდა და გახა-რებული მხვდებდა. ბავშვითი მეფერება, მეალერსება. მიმტკიცებს, რომ მასზე ძვიო-ერ არაფის ვეგაფებოვარ, რომ არსად, არასდროს ცილია პირველობას, არაფის არო-დენ ვასკიბრება. ჩემ სიყვარულში კი ქვეყანას უტახტებს შეჭიბრს. პირველობას არაფის დაუთმობს. კვლავაც დაბატავს მბირდება მისი „სულის მეცენატი“. მე ვე-ხუმრები, ათი წლის შემდეგ დამხატე, უფრო კარგი ვიქნები-მეთქი. ასე წლის შემ-დეგაც დაგხატავთ, მაინც დასახატე იქნებითო. ვიკითხე, მომავალზე ვფიქრობთ.

მე კარგად ვიცი, რა მიხარია. ის, რომ ისეთ რენოს ვხედავ, როგორთანაც მო-მიხარავდა. რა უხარია რენოს? მიხედვ. უხარია თავისი ბავშვობა. აგი უმოსვლის-თანავე მიიხარა: თქვენს დანახვაზე ბავშვობა დამიბრუნდა, თქვენ ვეგერი გატა-რებული ბედნიერი ბავშვობაო. აი, ეს ბავშვობა უხარია რენოს, ბავშვობა, რომე-ლიც ჩემთან ერთად შემოვიდა მასთან, მისი ოთახის ჩაქუფრულობა ფუნჯის ერთი მოსმით აფრიალა, აანბინა. დაღის ეს ბავშვობა რენოს თვალწინ, რენოს ოთახში და იმეორებს წაისსულ. რენო მღუმარედ იფურება ოთახის სიღრმეში და ხედავს, როგორ დარბობს ბავშვები — გოგონები და ბიჭუნები. ხმაურობენ, ხმაურობენ, ხმაურობენ... მათ ახალივით ყველაფერი. შეჭარბია ერთმანეთს, შეჭარბია მწესს, მთავარს. მათთვის ბნელი ღამეც კი დღის ნათელია გამოიწყობილი. მართვენ სა-ღამოებს, შეხებდრებებს, დისპუტებს. კამათობენ, ბობოქრობენ, თავისუფლობენ...

რენოს ოთახი სდუმს სხვაგვარი დიმილით, უცხო დიმილით. რენო იბეო-რებს ბავშვობას. სასახლის ერთ ღამეს .. შხით, პოეზიით და სასახლის ბაღში რენო იმეორებს ბიჭების ყულრტულით აყრიამულელებული ოთახის კედლებს დიდებულ ქართველ მწერალთა პორტრეტებით ავლავარებს. რენოს ოთახი თილისმა ფერე-ბით იესება. მათში რენოს სულის ფერებცაა გარეული. საღდაც უსასრულოდ რევე ზარები... ციდან მოფარფარებენ ისფერები ყვავილები... და ეს ფერები, ფე-რებში გადასვლილი რენოს სულა, ეს ისფერი ყვავილები, ზარების გუგუნისა და აყრიამულელებულ ბავშვებს აყოლილნი, მღერინან, მღერინან, უმღერინან რენოს უწე-ველთ. მისთვის არავგონილ ღვთიურ სიმღერას...


...ოთახიდან ფეხსაკრეფით გამოიფურავ... რატომ დგას კართან ასე მოწყვენი ირემი-ქალი? რას მწუხარებს, ნეტავ? რად მიყურებენ უძირო სველით მისი დიდ-რონი, წყლიანი თვალები?

რენო ხომ ბავშვობას იმეორებს. ჯერ სულ ბავშვია. მას კიდევ გრძელი, აღმართ-დღემართებითი სახვე გზა აქვს სავალი. გზა ნათელი, დიდი ხელოვნებისა... და რა ხელი აქვს მასთან სიკვდილს!




რენო თურქია. იყალთო.

21.364



რენო თურქია. პეიზაჟი.

საქართველოს
მემორიალი



რენო თურქია. შოთა რუსთაველის პორტრეტი.

პრეზუსტონს ჭეჭი...

მახათას მთიდან, სადაც გეოლოგიურ პრაქტიკას გავდიოდით, უკან ვბრუნდებოდით. როცა გავივაკეთ წინ მიმავალმა ჩვენმა სტუდენტმა ქალიშვილებმა მოულოდნელად წივილ-კივილი ატყეს, თან გაჰკიოდნენ გველი, გველიო. იმ ადგილას რომ მივედით, სადაც სავარაუდოთ გველი უნდა ყოფილიყო, ხელმძღვანელმა შეგვაჩერა და გველის მოსაკლავად მომარჯვებული ქვეები გადაგვაყრევინა, რადგან გველბოკერა აღმოჩნდა, რომელიც ჯოხივით გაშეშებულიყო. ჩვენმა ხელმძღვანელმა მისი მოკვლა დაგვიშალა და გვიჩინა რომელიმე ჩვენთაგანს ბიოლოგიის კათედრაზე მიეყვანა. ივანე ბერიტაშვილი ხომ უზომოდ დაგვიმადლიერებდა. იქაურობას ყველა უხმოდ გაეცალა. მე ვიკისრე გველბოკერას წაყვანა კათედრაზე.

სანამ უნივერსიტეტის პირველ კორპუსამდე მივიდოდით, გზაში ერთგვარ სიამაყეს ვგრძნობდით, მიხაროდა, რომ ამ „ბედნიერი“ შემთხვევის წყალობით პირისპირ შევხვდებოდით დიდ მეცნიერს ივანე ბერიტაშვილს, ვისზედაც მისი მონაფე ქუჯი ძიძიშვილი თავის შესანიშნავი მონოგრაფიის „ქართული ფიზიოლოგიის დედაბოძის“ დასასრულს წერს: „არ გადაშენდება ჩვენი ერი, ჩვენი ქვეყანა, თუ კვლავაც გვეყოლებიან ივანე ბერიტაშვილის დარნი. ალალი და გულმართალნი, პირდაპირნი და უშუალონი, უმნიკვლონი და პრინციპულინი... არ გადაშენდება ჩვენი შთამომავლობა თუ კვლავაც დაიზრდებიან მისებრ გამრჯელნი და ნიადაგ მშრომელნი, მისებრ ქედუხრელნი და უდრეკნი ნების ადამიანები, რომლებიც თაობიდან თაობას გადასცემენ ამბავს, რომ იყო ამა სოფლად კაცი, ვისაც მეცნიერებით ედგა სული, ვინც ერისა და კაცობრიობის საკეთილდღეოდ იღვწოდა და რომ ეს კაცი იყო ივანე ბერიტაშვილი“.

ბიოლოგიის კორპუსის მეორე სართულზე იყო ბერიტაშვილის სა-

მუშაო კაბინეტი. ელექტროზარის ღილაკს ხელით ფრთხილად შევეხე. თქვენ წარმოიდგინეთ, კარი თვით ბატონმა ივანემ გამოალო. უცებ დავიბენი, მაგრამ ისე უბრალოდ მომმართა „მოზრდანიტო“, დიდ მეცნიერთან შეხვედრის ვნებათაღელვამ გამიარა. კაბინეტში ორი სხვა თანამშრომელიც იყო, შემომხედეს თუ არა, შეცბუნდნენ და განზე გადგნენ.

ბატონ ივანეს არ გამოპარვია მათი შეშფოთება. მიგვიხმო თავის სამუშაო მაგიდასთან და ემოციების გარეშე მიმართა: „შეგეშინდათ?“ მცირე პაუზის შემდეგ კი დასძინა: „რატომ არ ეშინია ჩვენს სტუმარს, ხელში ლამაზი მტრედით რომ უჭირავს ანკარა? ახლავე აგისხნით: ამ ქვეწარმავალს ანკარა ანუ გველბოკერა ეწოდება. როგორც ხედავთ, ტანი მთლიანად ქერცლებით აქვს დაფარული. თავი ტანიდან არ არის გამოყოფილი, როგორც სხვა ქვეწარმავლებს, არის ცილინდრული, ვინროვდება ბოლოში, თვალეები აქვს პატარა და ვინრო, შეფერილობა სპილენძისფერი, შობს ცოცხლად შვილებს და რაც მთავარია შხამი არა აქვს. ამ ახალგაზრდას იმიტომ არ შეეშინდა, რომ ჰქონდა რწმენა, არ მოიშხამებოდა. ადამიანი რწმენის გარეშე წარმატებას ვერ მიაღწევს, რაგინდ შრომისმოყვანე და ნიჭიერი იყოს,“ - დააბოლოვა ბატონმა ივანემ. შემდეგ თანამშრომლებს დაავალა ჭურჭლის მოტანა ფიზიოლოგიური ხსნარით მის მუდმივ შესანახად, რომლის ეტიკეტზე მიაწერეს: „ანკარა - მახათას მთის ბინადარი“.

მანამდე თანამშრომლები თავის საქმეს აკეთებდნენ, მე ექსპონატებს ვათვალიერებდი. კარგად დამამახსოვრდა ცალფეხა მამალი და ორთავა ბატკანი.

წამოსვლისას უზომოდ კმაყოფილი დავემშვიდობე. კაბინეტში შებრუნებულ ბატონ ივანეს ერთხელ კიდევ შევხედე და მაშინდა



შევნიშნე თავზე ქუდი. უბრალო, ჩვეულებრივი, მოთელილი მატყლის შავი ქუდი (როგორიც ფოტოსურათზეა აღბეჭდილი), რომელსაც კახურს უწოდებენ.

კიბეებზე რომ ჩამოვდიოდი, გამახსენდა, რომ ასეთ ქუდს უნივერსიტეტში ბევრი მეცნიერი ატარებდა, რომელსაც „პროფესორის“ ქუდს უწოდებდნენ. ახლა მივხვდი, რომ ისინი ივანე ბერიტაშვილის მიბაძვით აკეთებდნენ ამას. ქუდი, რომელიც ბატონ ივანეს თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე ეხურა, ძალზე სიმბოლური იყო.

ამასთან დაკავშირებით ერთი მეტად საინტერესო შემთხვევაც (პრესიდან მომავონდა „პროფესორის ქუდის“ თაობაზე, რომელიც ბატონ ივანე ბერიტაშვილს გადახდა კანადაში მსოფლიო ფიზიოლოგთა ფორუმზე).

დიდი მეცნიერი ფორუმის მონაწილეთა ცენტრში აღმოჩნდა. პრიორიტეტს კი არავის უთმობდნენ თვით კანადელები. თურმე, ნუ იტყვი, საოცრად მოსწონებიათ მეცნიერის ქუდი და გადაუნყვეტიათ მისი „ხელში“ ჩაგდება. ამ საქმის მოგვარება კანადის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ითავა, ითავა და დაავგირგვინა კიდევ. თბილისში დაბრუნებული ბატონი ივანე ერთ ინტერვიუში იტყვის: - როგორ შეიძლებოდა არ მეჩუქებინა, თუნდაც არ მექონოდა პორთველში მეორე ქუდიო.

კანადელებმა დიდი მეცნიერის უზომო პატივისცემის გამოსახატავად, კანადის მეცნიერებათა აკადემიაში, საგანგებოდ გაკეთებული ვიტრინაში ძვირფას საჩუქარს მუდმივი ბინა მიუჩინეს.

დავით ყანდაშვილი

ახალი გერმანული ლიტერატურის კლასიკოსი, იოზეფ როთი, „რადეცკის მარშის“, „იობისა“ და მრავალი სხვა ბელეტრისტული შედევრის ავტორი, ამავე დროს იყო გამოჩენილი ჟურნალისტი. მას შტეფან ცვაიგი საკუთარ თავზე მაღლა აყენებდა. ჰაინრიხ ბიოლი და ჰერმან კესტენი ერთხმად მიიჩნევენ „იობს“ ერთ-ერთ ყველაზე უკეთეს წიგნად ორ მსოფლიო ომს შორის შექმნილ ბელეტრისტულ თხზულებათაგან.

დღეს ი. როთი სულ უფრო მეტ თაყვანისმცემელს იძენს გერმანულ ენაზე მკითხველთა შორის, ხოლო თარგმანების წყალობით იგი მრავალმა ხალხმა გაითავისა.

პირველი პოეტური და პუბლიცისტური თხზულებები პრადისა და ვენის პრესაში იოზეფ როთმა ჯერ კიდევ ბროდის (გალიცია) გიმნაზიის უფროს კლასებში სწავლისას გამოაქვეყნა. მას შემდეგ იგი, პროფესიონალი ჟურნალისტი, დიდი გაზეთების კორესპონდენტი, ათასფერისდარ მოგზაურობის შინს აყოლილი, კიდით კიდევ მოივლის ევროპას, ჰოლანდიიდან ვოლგისპირეთამდე, ჰამბურგიდან ვიდრე ტირანამდე. ძალიან დამახასიათებელია ფოტოსურათი, რომელზედაც იოზეფ როთი გამოსახულია რკინიგზის ბაქანზე, ჩემოდანზე ჩამომჯდარი. მიუხედავად ჯეროვანი აღიარებისა მას სიცოცხლეში საკუთარი კერა არ ღირსებია და, როგორც თავად ბრძანებს, ერთადერთი მისი სამშობლო ოდენ ენა იყო გერმანული.

ორიოდ წლის წინ გამოცემულ როთის თხზულებათა ექვსტომეულში სამი მოზრდილი ტომი მის ჟურნალისტურ მემკვიდრეობას მოიცავს პირველი პუბლიკაციებიდან მოკიდებული ვიდრე კარიერის მწვერვალამდე, როცა გერმანული პრესის მენეჯერები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სახელგანთქმული რეპორტიორისა და ფელეტონისტის გადასაბირებლად. გამომცემელთა ვარაუდით ეს მხოლოდ ნაწილია იოზეფ როთის პუბლიცისტური ნაშრომებისა.

იოზეფ როთის მეგობარი, მწერალი და ჟურნალისტი, ცნობილი ომ დელეტრი, ჰერმან კესტენი, ვინაც განუზომელი ამაგი დასდო მწერლის მემკვიდრეობის მოვლასა და გამოცემას, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, წერს:

„იოზეფ როთის გარდაცვალებიდან ოცდაათი წლის შემდეგ ყველაზე ცოცხლად ერთი რამ შემოინახა მეხსიერებამ, ჩემთვის უნიკალური ვით-

თარება. ქუჩაში კაფეს მაგიდას უუსხედვართ ორნი, ბერლინში ან პარიზში, ნიცაში, ოსტენდეში თუ ამსტერდამში და ვწერთ, შორეული ნაცნობიც რომ შემოვიდეს, წერას თავს ვანებებ და სხვა კაფეში მივდივარ.

ვერც როთი მუშაობდა სხვის თანდასწრებით, კაფეში შეინახებთან იგი საუბრობდა, როთი ალბათ ყველაზე მჭერმეტყველი კაცი იყო იმათგან, ვინაც მე შევხვედრივარ, ენაწყლიანი ვით სოკრატე, ანეკდოტებისა და მოხდენილ ზმა-ქცევათა გუდა, ვით მოხუცი ებრაელი, ადამიანთა მიმართ ცნობისწადილით აღსავსე. მისი ცნობისწადილი იმდენად დიდი იყო, რომ თანაგრძნობასა და სიმპატიასი გადაიზრდებოდა ხოლმე და ვინც მის გვერდით იჯდა და სვამდა, ყველას შთააგონებდა, მე თქვენი საუკეთესო მეგობარი ვარ, ხოლო თქვენ კი, - ჩემიო.

ხანდახან უქმად ვიჯექი ხოლმე როთის გვერდით, როცა იგი წერილებს წერდა. ერთს, ორს, ათ წერილს დაწერდა ერთიმეორის შემდეგ, წერილი ასოები გამოჰყავდა, სწრაფად, დახვეწილი ენით წერდა, შეუსვენებლივ, თითქოს კარნახს წერსო. გაწაფული სტილისტი, იგი ყოველ სიტყვას, ყოველ აზრსა და განცდას მისხალ - მისხალ, ოქროს სასწორზე წონიდა. ნაღდი სიტყვები იწერებოდა ფეხბურთის თავდამსხმელის სისწრაფით.

დაწერდა საქმიან წერილს, მერე სამიჯნუროს მიაყოლებდა, გამომცემელს მისწერდა, ავტორს, მკითხველს ან პოეტის ცოლს, პოლიტიკოსს, მტერსა და მოყვარეს, მონარქისტს, გინდ კომუნისტს, იმპერატორის ვაჟიშვილის ან რაბინის ძეს, გულის ტოლ ქალს და ექსორიის თანაზიარს, მთხოვნელებსა და მეცენატებს, თავის კუზიანებსა და მის უწმინდესობას, რომის პაპს. დროდადრო როთი ერთ რაიმე ნაწყვეტს წამიკითხავდა, სიხარულს გამიზიარებდა მიგნებული სხარტი ნათქვამის, ნატიფი ხატის, ზმისა თუ ირონიის გამო და იშვიათად რჩევასაც მკითხავდა ხოლმე.

ჭეშმარიტება როთის წერილებში ხშირად მოდიფიცირებულია და მოდიფიკაციაში ღაღადებს ჭეშმარიტება. თამამი ბუფონადის გვერდით ნახავთ მრისხანე მორალისტის პოლემიკას, დიდ პოეზიას და დიდ სიკეთეს.

ჟურნალისტური მოღვაწეობა ი. როთისათვის, ვინაც პოეტური ზეშთაგონება სიყრმიდან ჰქონდა მომადლებული, გარკვეულად წარმოადგენდა სამსახურებრივი მოვალეობის აღ-



იოზეფ

სრულებას, მუზა კალიოპეს ინსპირაცია კი გადმოიღვარა რომანებისა და მოთხრობების სახით. მსგავსად მრავალი სხვა ებრაელი მოღვაწისა ი. როთი იძულებული გახდა გერმანიიდან წასულიყო ფაშიზმის მიხაკისფერი საფრთხის გამო. 1933 წლიდან იგი საფრანგეთში ცხოვრობს, კვლავინდებურად მოგზაურობს, თუმცა ახლა უკვე შეზღუდული ამპლიტუდითა და არეალით. 1939 წელს იგი 45 წლის ასაკში გარდაიცვალა პარიზში და იქვე იქნა დაკრძალული.

1924 წელს ბენო ფონ რაიფენბერგისადმი მიწერილ წერილში ი. როთი წერს: „მე სახუმარო გლოსებს კი არ ვთხზავ, არამედ ვქმნი დროის სურათ-ხატებს“. როთ - ჟურნალისტს არ ახასიათებს ჟურნალისტების პროფესიულ დაავადებად ქცეული სენსაციების გამოდევნება, სენსაციას წარმოადენს დიდოსტატის კალმით თუ ყალბით დახატული პორტრეტები, იგი ეძიებს და ჰპოვებს მშვიდ კუნჭულს, ნატურ-მორტის მაგვარ სცენას, სათოფეზე უფროთხის ეგრეთწოდებულ ბომონდს, ამსხვრევს კლიშეებს და მომადლებული აქვს უნარი სიმრავლიდან იმგვარი შტრიხის გამოჩევისა, პუნატად რომ გადაიქცევა და დეტალების გამოდევნების გარეშე, ნაღდად, პოეტურად, რო-

თისეულად დაგვანახებებს მთელს. მისი ფელეტონი „ქალაქი ლემბერგი“ ასე იწყება: „დიდი კადნიერებაა, ხელი შეკმართო ქალაქის აღწერას. ქალაქებს მრავალი სახე გააჩნიათ, კაპრიზები, მიმართულებანი, ჭრელა-ჭრულები, მრუში იღუმალება, მხიარული საიდუმლონი. ბევრს რასმე გვაჩვენებს ქალაქი და ბევრსაც გვიმაღავს.“ და შემდეგ: „მე შემიძლია სახლები აღვწერო, ქუჩაბანდები, მოედნები, ეკლესიები, ფასადები, პორტალები, ოჯახები, სხვადასხვა არქიტექტურული სტილი, ბინადართა ჯგუფები, ხელისუფალნი და ძეგლები. მაგრამ ამგვარად ისევე ვერ მოვიხელთებ მისულ ფენომენს, როგორც გრადუსების მითითება ცელსიუსით ვერ შეგვიქმნის წარმოდგენას კონკრეტული ადგილის ტემპერატურაზე (ბერლინში კაცი უკვე პლუს 15

და საბჭოთა კავშირში, იმოგზაურა უკრაინასა, რუსეთსა და ამიერკავკასიაში. ეწვია თბილისსა და სოხუმსაც. იმდროინდელ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ჩვენ ვერ აღმოვაჩინეთ კვალი იოზეფ როთის ყოფნისა საქართველოში, ხოლო თვით როთი სტატიისაში: „ხალხების ლაბირინთი კავკასიაში“ თავის დაკვირვებებს უზიარებს მკითხველს კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს შესახებ:

...ცარისტულ მთავრობას ბევრი არაფერი გაეგებოდა კავკასიის თავისებურებისა. რუსი დიდმთავრები და თავადები ადგილობრივ მცხოვრებთ ველურებს უწოდებდნენ. ტფილისისა და ბაქოს ბიბლიოთეკებში რამოდენიმე მემუარული თხზულება წავიკითხე, რომელთა ავტორებს მაღალი თანამდებობები ეჭირათ კავკასიაში. მათი ყოველი მსჯელობა მეთვრამეტე საუ-

1864 წლის შემდეგაც არსებობდა, ამიტომ ძველი გლეხები გახიზნულიყვნენ სამრეწველო ცენტრებში. 1902 წელს ბათუმის გაფიცვის დროს ცხრამეტი გურული დახვრიტეს. მათმა სამშობლომ შური იძია, სამხედროებმა მთელი წელიწადი ვერაფერი გააწყვეს აჯანყებული გლეხების წინააღმდეგ, პოლიციელებს დევნიდნენ და ხოცავდნენ, მიიღეს საკუთარი კონსტიტუცია, სოციალიზაცია გაუკეთეს ქვეყნის მრავალ კუთხეს, ქალებს თანაბარი უფლებები მიანიჭეს, საჯარო კრებებზე კითხულობდნენ მარქსს და ყოველივე ამის წინააღმდეგ მთავარმართებლის ძალისხმევა უმწეო აღმოჩნდა. მხოლოდ 1905 წლის დეკემბერში ჯარის ნაწილებმა ჭეშმარიტად რუსული მანერით „დააწყნარეს“ ქვეყანა.

დღესდღეობით ქართული არისტოკრატის ნაწილი გაქცეულია, ნაწილი კი ნებმანებად გადაქცეული. ეროვნულ სამხედრო ფორმაში გადაქცეულ კოხტა მაკაკებს მონმარტზე შეხვდებით. რუსეთის ქალაქებში მათ სამოქალაქო ტანსაცმელი აცვიათ და წვრილვაჭრებს ევაჭრებიან. კავკასიელ არისტოკრატს შეეძლო ეცემა თავისი ამჟამინდელი პარტნიორი და ამისათვის არ დაისჯებოდა. ტფილისის ქუჩებში მოხდენილი გარეგნობის მამაკაცები მინსკიდან და საბერძნეთიდან ჩამოსულ ებრაელებს ეთათბირებიან. ხაზარები, ჰუნები, ბიზანტიელები, არაბები, თათრები, მონღოლები, სპარსელები, სელჯუკები ერთიმეორის შემდეგ იპყრობდნენ ტფილისის 1795 წლამდე. შემდეგ თავდასხმები შეჩერდა. 1923 წლიდან მოკიდებული გაბატონდნენ ნებმანები („ფრანკფუნტერ ალგემიან ცაიტუნგ“, 26. 10. 1926).

პირველად საქართველო, უფრო ზუსტად ქ. სოხუმი, როთის თხზულებებში მოხსენიებულია მწერლის არქივში დაცულ დოკუმენტში „რუსეთის დღიური“. ესაა ჩანაწერები თეზისების სახით უბის წიგნაკში, დღის განმავლობაში მიღებული შთაბეჭდილებების, გაზეთებისათვის საინტერესო სავარაუდო თემებისა და სხვათა შესახებ.

როთი უკრაინისში

გრადუსზე ითოშება). შენ უნდა გკონდეს უნარი სიტყვებით გადმოსცე ჰაერის ფერი, სურნელი და სიმკვრივე. არსებობს ქალაქები, საცა მჟავე კომბოსტოს სუნი ტრიალებს. აბა ამას ხომ ბაროკოც ვეღარას შევლის“.

ფრანგულ გარემოცვაში რომ აღმოჩნდება, ი. როთი წმინდა ადგილთა მომლოცველისდარ ტრანსში ვარდება და მისი კალამი ზევისი კვერთხივით ელვას აკვესებს ხოლმე, ხანაც უწყნარეს ტონებს გადმოსცემს.

იოზეფ როთის პოეტურ პროზას გამოცდილი ჟურნალისტის ხელი ატყვია. მის ფელეტონებსა და რეპორტაჟებში გაიფრქვება ხოლმე ბრწყინვალე ბელეტრისტული პასაჟი.

როთის, როგორც ჟურნალისტისა და ბელეტრისტის ტალანტი რომ ერთი ფენომენის ორგვარი (თუ უთვალავი) ემანაციაა, გახლავთ ის გარემოება, რომ იგი ძალიან ხშირად აქვეყნებდა გაზეთებში რეცენზიებს ლიტერატურის ახალ ამბებზე, თეატრზე და კინოზე. მისი მიუკერძოებლობის მოქალაქეობრივი სითამამის, საყოველთაოდ აღიარებული ავტორიტეტისათვის მწარე სიმართლის პირში თქმის ნიმუშია რეცენზია „რანერ მარია რილკეს“ ცხოვრება მარიამისა“.

1926 წელს იოზეფ როთი ჩამოვი-

კუნის ავადსახსენებელი ინგლისელი მოგზაურის, ჰანვეის დონეზეა წარმართული: ყალმუხების სახის ფორმა ჩინელებისას ჰგავს, ოღონდ ისინი უფრო თავხედები და ველურები არიან.

კულტურის ამგვარი წარმომადგენლები, რა თქმა უნდა, ვერავითარ რუსიფიკაციას ვერ განახორციელებენ... კომუნიზმმა მოახერხა ის, რაც აბსოლუტურმა მონარქიამ ვერ შეძლო და არც მონიღომა. ბაქოში შეწყდა სომეხთა დარბევა, ხოლო ბელორუსიასა და უკრაინაში – ებრაელთა პოგრომები. რამდენადაც ძველი მთავრობა სუსტი და მერყევი იყო კავკასიაში, იმდენად ძლიერია იქ ახალი მმართველობა. ტფილისში მე ვნახე ერთი ოფიცრის დაკრძალვის ცერემონიალი. სამხედროთა ასეულს წინ მიუძღოდა ქართულ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ორი ოცეული ბეწვის ქუდებით, ხმლებით, სავაზზე ქამრით, პისტოლეტებითა და ხანჯლებით. ამ ეროვნულ ნაწილში უმსახურია გარდაცვალებულს. ქართველთა ეროვნული ოცეულის წინ ფრიალებდა წითელი დროშა.

... საქართველოს დასავლეთ ნაწილში, გურიაში, – სხვათაშორის ამ ქვეყნის კულტურა ათასი წლით უხნესია ვიდრე რუსეთისა, – ბატონყმობის სასტიკმა სისტემამ, რომელიც იქ

დილაბინდი

ამღვრეულ ღრუბლებში ნაცრისფრად ინათა,
მტკვარგალმა მწვანედ ბრწყინავს ნათურები,
ახალ ნაწვიმარზე მიყვარდა წინათაც
გორები, ხელის მოსაფათურები.

თითქოს მდინარეში მკერდამდე შეველი,
ნუმც გამოგვლეოდეს დილის იდილია,
ალგებში ეხვევა ჩიტების ჟივილი,
უმათოდ ყოფნა ჩემი — სიკვდილია.

ვენახი ბაცოცხლდა

გამქრალა — ცა, ვარსკვლავებით
მოჭედილ-მოოჭვილი,
უწყინარ მზეზე გაბრწყინდა
ვაზის ფოთლები ჩვილი.

ვერ შეედრება ალვის ხე,
ვერც ველი საბალახო,
არ მოგებურდება ყურება,
გინდ ათასჯერაც ნახო.

ბუჩქაში ჩასვლა

აქ ვარ, დავხედე წინაპრის საფლავს,
აქ არის ჩემი ძირი და ნოგრო,
დაისი დგება, დაიწყებს ლაპლაპს
ალვის ხეებში ჩამდნარი ოქრო.

ეზოში გავლაც სადარდელს მისევს,
მომეჩვენება — ტირის კედელი,
არ გამიღია, დავტოვე ისე
მამიდის სახლი, გამოკეტილი.

სიბერეს რომ არ დანებდე,
ასე იოლი როდია,
სადაც მე ჩასვლა მიყვარდა,
ბათუმია და ფოთია,
გამედვიძება, ვისხენებ
ყმაწვილურ წანწალს, ფოთიალს,
სიცოცხლე, ვისთვის — ქორწილი
და ვისთვის ეშაფოთია.

ყველაფერი — ერთმა

ყველას ტანჯვა და ტკივილი
ტვინში როგორ დავიტიო?...
ხმა ჩამძახის, ამას გუბოვდა
მამა შენი, დავითო.

მოვთქვამ: სიბრალული როგორ
გაიღია, დაცოტავდა,
ადარავის აღარ ესმის
გულის გმინვა საცოდავთა.



ბაღნობის სურვილი

სადაფი არ დაგელევა,
ცაო, მოელვარე...
ზაფხულობით ჩასვლას მზისას
ელოდება მთვარე.

ცაცხვის სურნელს გადაივლებ,
შენ, სადამოს პირო...
კრუალების ჩუმ კენესაში
მინდა ჩავიძირო.

უბუნებობა

რა ვთქვა (გულთმისანი არ ვარ)
რა მოხდება გაისად,
შენმა საადრიო ბაღმა
წელს უშენოდ დაისხა.

თითქოს ყრუ სიზმარში ვარ და
ციხეს ვუვლი გარშემო,
მიზეზი ამ სატკივართა
შენ ხარ, მამიდაჩემო.

მარჯანიშვილის მოედანთან

თითქოს მომიადლერსა
შუქმა უნახესმა;
აქ ცხოვრობდა, აქ ენთო
ონიანი ესმა.

სული მისი სამოთხეში
დაფრინავდეს, ვინძლო,
მოვდექ, არ მავიწყდება
მისი სამასპინძლო.

წამში გაღნა სიწმინდე,
სად ვიყავი, სად ვარ...
ვეღარ ვნახავ კაი გოგოს —
პოეტსა და მხატვარს.

გზასაცდენილი

ყელამომშრალს, სულშეხუთულს,
წყაროს წყლისა მწადდა შესმა;
შუალამით, ცხელ ქალაქში,
მწყრის ქვითქვითი შემომესმა.

მავთული და რკინის ბოძი.
დაბლა დასცემს ან ის ან ეს...
აუარა პურის ყანას,
მთის ნიაგზე მოღალანეს.

ავატირე ლერწმის ღერო:
ბედო, რისთვის შემომწყერო...
რით გიშველო, შენ, ჩემსავით
დაბნეულო, ცალფა მწყერო?!



პერი გაბრიადის არქივიდან

როს გასართი გზის ოქსი

ქალბატონო ნანული, მანანა და ქეთინო!

25 აპრილს ჩემს პატარა შვილიშვილს 4 წელი შეუსრულდა და საჩუქრად წიგნი მივუტანე – „ნ. დუმბაძე „ლექსებით სავსე ხურჯინი“.

ამ დღიდან ჩვენს ოჯახში ყოველდღიური დღესასწაული და ზეიმი ჩასახლდა ჩემი ნათიასათვის. დადის წიგნით ხელში და სათითაოდ ყველას ეხვეწება: „ლესები წამიკითე, ლა! ბეველი, ბეველი ლესები!“ გვაკითხებს ყველას, დედას, მამას, უფროს ძმებს და ბებოს. ერთი კვირის შემდეგ კი თვით დაიწყო „კითხვა“, აღმოჩნდა, რომ უკვე ზეპირად იცის „დედიკომ და მამიკომ დამიტოვეს ქეთინო“, „ლალი, ლალი, ჩემო ლალი“, „მამალი“, „ფისო“, „ეჭიმი“, „სათვალე“, „საათი“, „გოჭები“, „კარადა“, „თოჯინა“, „დათუნა“, „კრუხი“ და სხვა მრავალი, ძალიან ბევრი.

გადაშლის წიგნს და ბავშვური ფურცულით კითხულობს ყველა ლექსს ზუსტად იმ გვერდზე, სადაც დაბეჭდილია. მართალია, უკვე თითქმის მთელი წიგნი ზეპირად იცის,

მაინც ჩვენი წაკითხულის მოსმენა უფრო სიამოვნებს და დაუსრულებლად გვაკითხებს და გვისმენს... ბავშვი თვითცნობიერად გრძნობს საოცარ უბრალოებას დიდი მწერლისას, რომელიც ბავშვის ფსიქიკის, ენის, ბუნების ასეთი ღრმა ცოდნით აქანდაკებდა საბავშვო პოეზიის ამ ბრწყინვალე ნიმუშებს.

ხედავთ? სიტყვები არ მყოფნის, რომ უბრალოდ აღვნიშნო სიდიადე მწერლის შემოქმედებისა და ამაღლებულ სტილზე გადავდივარ. თვით ბატონი ნოდარი კირა უბრალოდ და ყველასათვის გასაგებად გადმოგვცემდა ხოლმე სიბრძნით აღსავსე აზრებს. ამიტომ დამიხსოვრა ჩემმა ნათიამ მისი ამდენი ლექსი, თორემ ბავშვის ნიჭიერება აქ არაფერ შუაშია, მთავარი ნოდარ დუმბაძის განუმეორებელი უბრალოებაა.

მე არ ვიცი, შესაძლებელია, ამ ბარათით ტკივილსაც კი გაყენებთ, მაგრამ ჩემი სათაყვანებელი მწერლის 70 წლისთავზე, ამის შესაძლებლობა რომ მქონოდა, საჯაროდ გამოვხატავდი ჩემს უდიდეს პატივის-

ცემას და თაყვანისცემას მისი ხსოვნის წინაშე, აღვნიშნავდი, რომ მე, უბრალო, რიგით მკითხველს აუტანლად დამაკლდა მწერალი და ქართველი მოღვაწე ნოდარ დუმბაძე, ვიტყვი, რომ მისი სიცოცხლეში მიხაროდა პარასკევის დადგომა, „ლიტერატურულ საქართველოში“ რაიმეს მისასწავლითავე-მეთქი, ინტერესით ვფურცლავდი „ცისკრისა“ და „მნათობის“ ახალ ნომრებს, იქნებ ნ. დუმბაძის რაიმე იყოს-თქო გამოქვეყნებული, ინტერესით ვრთავდი რადიოსა და ტელევიზორს, იქნებ მისი გამოსვლა მოვისმინოთქო.

ახლა კი მე და ჩემი პატარა ნათია მუხლს ვიყრით დიდი ხსოვნის წინაშე და ბუნებას მადლობას ვწირავთ, რომ თუნდაც 5 წელი მაინც აცოცხლა და გვაჩუქა ასეთი მწერალი. თქვენ კი პატიებას გთხოვთ, სხვანაირად რომ ვერ მოვახერხებთ ჩვენი გრძნობის გამოსატყვევ და თქვენ გამოფოთებთ.

პატარა ნათია რუსაძე
და მისი ბებო ნათელა ვაჟაძე.
თბილისი, პავლოვის ქ. № 4 ა



ეზიისაგან, ვინაიდან ინგლისის დედაქალაქის დასაბომბად მიუძღოდა საჰაერო შენაერთს.

1940 შემოდგომა იდგა...

დიდი ბრიტანეთის ავიაციის მინისტრის მთავარი თანაშემწე ჯ. სპეიტი 1944 წელს წერდა: „ჩვენ, ინგლისელებმა, გერმანიაში ობიექტების დაბომბვა დავიწყეთ მანამდე, ვიდრე გერმანელები ბრიტანეთის კუნძულზე ობიექტების დაბომბვას შეუდგებოდნენ. ეს არის ისტორიული ფაქტი, რომელიც საჯაროდ აღიარებულია“.

სპეიტის აზრით, ჩერჩილის ხელთაგან ამუშავდა ის ამფეთქი მოწყობილობა, რომელმაც გამოიწვია გაპარტახებისა და ტერორიზმის ომი, არნახული თურქ-სელჯუკთა შემოსევის დროიდან.

დოსტოევსკის სახელგანთქმულ რომანის „ძმები კარამაზოვები“ ერთ-ერთ ეპიზოდში გრუშენკა უამბობს ალიოშა კარამაზოვს ჯერ კიდევ ბავშვობაში გაგონილ იგავს:

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ავზე უავესი დედაკაცი. ერთ მშვენიერ დღეს სული განუტევა. მისგან ერთი პანანკინტელა სიკეთეც კი არავის ახსოვდა. ამიტომაც ეშმაკებმა ხელი სტაცეს და მდულარე ტბაში მოისროლეს. მისი მფარველი ანგელოზი დგას და ფიქრობს: ამ დედაკაცის რომელი კეთილი საქმე გავიხსენო, რომ უფალს მოვახსენო? გაახსენდა და ეუბნება: ერთხელ, ამ დედაკაცმა ბოსტანში ხახვის ბოლქვი ამოგლიჯა მიწიდან და მათხოვარს უწყალობაო. მაშინ უბრძანებს უფალი მფარველ ანგელოზს: სწორედ ის ხახვის ბოლქვი აიღე და ტბაში ჩაგდებულს გაუნოდე, ხელი ჩასჭიდოს და თუკი ტბიდან ამოიყვან – დაე, სამოთხეში გაეშუროს და თუკი ხახვის ბოლქვი განყდება, ის დედაკაცი ტბაში დარჩესო...

დიახ, ერთი ხახვის ბოლქვი, რომელიც ავზე უავესმა დედაკაცმა მათხოვარს უწყალობა, უფლის თვალში ისეთ სიკეთედ ჩანდა, რომ ცოდვილს სამოთხეში გამწესებას უპირებდა.

ოდესღაც უთქვამთ: არ არსებობს ისეთი ცოდვა, უფლის წყალობას სძლევედესო.

მაგრამ ამქვეყნიური მსაჯულნი გაცილებით მკაცრნი და ულმობელნი არიან, ვიდრე გულმონყაღე უფალი.

1. დაკომენტარება

„ლა-მანში ბანაობდა მზის სხივებში. ნახი ცისფერი ზეცა და ლურჯი ზღვა ერთმანეთს შერწყმოდა პორნეზონტზე. ინგლისის სანაპიროს თხელი ნისლი ეფინა, ჩვენს ქვემოთ კი ხომალდები ტალღებს მიაპობდნენ და შორიდან სათამაშოებს წაგავდნენ“, – ეს ტექსტი, ერთი შეხედვით, შეიძლება მოგვიჩვენოს საჰაერო ექსკურსიის აღწერილობად, პოეტური სულის კაცს რომ შეუთხზავს.

სინამდვილეში კი მისი ავტორი გახლავთ ნაცისტური გერმანიის ავიაციის გენერალი ვერნერ კრაიპე, რომელიც იმ მომენტში, ალბათ, ძალზე შორს იქნებოდა პო-

1940 წლის 11 მაისს ინგლისელებმა დაბომბეს ქ. ფრაიბურგი; მერე – გერმანიის სხვა ქალაქებიც. ორი კვირის მანძილზე ექვსჯერ დაბომბეს ბერლინი.

და აი, 4 სექტემბერს ჰიტლერმა განაცხადა: „თუ კი ინგლისელები ამბობენ, რომ აპირებენ, მძლავრი დარტყმები მიაყენონ ჩვენს ქალაქებს, პასუხს გაცემთ იმით, რომ პირისაგან მიწისა აღვგვით მათს ქალაქებს“. ქაღილს ამაოდ არ ჩაუვლია. განსაკუთრებით გახმაურდა ამბავი ქალაქ კოვენტრისა. 14 ნოემბერს, ჰიტლერელთა 500 თვითმფრინავი თავს დაესხა კოვენტრის და 600 ტონა დიდი სიმძლავრის და ათასობით ცეცხლგამჩენი ბომბები დააყარა. ეს იყო ყველაზე გამანადგურებელი თავდასხმა, რომელიც კი ინგლისს განუცდია. ქალაქის ცენტრალური ნაწილი მთლიანად ნანგრევებად იქცა. 400 კაცი დაიღუპა და უფრო მეტი მძიმედ დაიჭრა.

გერმანიის რადიო გამოაცხადა, რომ ინგლისის ყველა ქალაქი „დაკოვენტრდება“.

ინგლისური ენის ლექსიკაში გაჩნდა ახალი სიტყვა „კოვენტრეტი“, რომელიც ნიშნავს უსახლვროდ გამანადგურებელ ავიადაბომბვას.

შემდგომში, გერმანელი მფრინავები „აკოვენტრებდნენ“ ლონდონს, ლივერპულს, მანჩესტერს, შეფილდს, გლაზგოს... მაგრამ საჰაერო ომი ინგლისის ცაში მაინც ვერ მოიგეს.

1940 წ. შემოდგომის ერთ დღეს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი ლონდონის დაბომბილ უბნებს ათვალიერებდა. ერთ-ერთი შეჩერებისას, მის მანქანას თითქმის ათასკაციანი ბრბო შემოურტყა. პრემიერ-მინისტრს მოუწოდებდნენ: ნაცისტებს სამაგიერო გადაუხადეთ! დაე, მაგათაც იწვინონ, რაც ჩვენ გამოვცადეთო.

ჩერჩილმა დაიფიცა, ნატვრას უექველად ავიხდნეთო. სიტყვა არ გაუტეხია. თავის ნიგში „მეორე მსოფლიო ომი“ გვაუწყებს: გერმანიის ქალაქების განუწყვეტელი, საშინელი დაბომბვით ნაცისტებს ვალი ათმაგად და ოცმაგადაც გადაუხადეთო.

2. კომენტარიდან დროზღენამდე

1946 წელს ნიურნბერგის პროცესზე, ამერიკელი ბრალმდებელი რობერტ ჯექსონი ნაცისტური გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარსარდლის – ჰერმან გერინგის დაკითხვის დროს, თურმე, სიფრთხილეს იჩენდა. რამდენიმე დღის განმავლობაში ბრალმდებელი, როგორც იტყვიან, „გამოშიგნა“, მაგრამ ერთხელაც კი არ შეეხო იმ ტოტალურ საჰაერო დაბომბვებს, გერმანელთა ავიაცია რომ აწარმოებდა.

ერთი საბჭოთა იურისტი დაინტერესდა, თუ რატომ იყო, რომ გერინგისადმი წაყენებულ აურაცხელ ბრალდებათა შორის ჯექსონს ერთხელაც არ წამოსცდენია ბრალდებამშვიდობიანი ქალაქების დაბომბვის თაობაზე.

ამერიკელ ბრალმდებელს უთქვამს: „ერთობ უხერხულია, ნიურნბერგში, სადაც ერთი შენობაც არ გადარჩენილა უვნებლად,

სსსპილ

გარდა იმ შენობისა, სადაც პროცესს ვატარებთ, გერმანელებს ბრაღი დავდოთ დაბომბვებში“.

ჯექსონის აზრით, ნაცისტთა უმძიმესი ბოროტმოქმედებანი მხოლოდ „სუფთა ხელელებს“ უნდა მოეთავსებინათ თემიდას სასწორზე. ინგლისელმა ბრალმდებელმა, ეტყობა, ვერ შეამჩნია ამერიკელი კოლეგის სიფრთხილე და გენერალ-პოლკოვნიკ ალფრედ იოდლს ჰკითხა: „როგორ ფიქრობთ, რამდენი ათასი მშვიდობიანი მცხოვრები დაიღუპა გერმანელთა მიერ ბელგრადის გაუფრთხილებლად დაბომბვისას?“

იოდლს არ დაუყოვნებია პასუხი: „მაგას ზუსტად ვერ გეტყვით. მაგრამ ფიქრობ, რომ იმის მეთაურობით კი არ იქნებოდა, რამდენიც თქვენ ამოუღიჭეთ დრეზდენში, როდესაც ომი უკვე მოგებული გქონდათ“. დრეზდენი დაბომბეს 1945 წლის 13 თებერვალს. ღამით ინგლისელთა 800 ბომბადმშენმა ქალაქის ცენტრს დააყარა 650 ათასი ცეცხლგამჩენი ბომბი.

14 თებერვალს, ამერიკელთა 1350 ბომბადმშენი თავს დაესხა დრეზდენს.

15 თებერვალს, კვლავ ამერიკელთა 1100 ბომბადმშენი ანადგურებდა ცეცხლში გახვეულ დრეზდენს. ქალაქი გადაჭედლილი იყო ალმოცავლეთიდან გამოქცეული ლტოლვილებით, რომლებიც წითელ არმიას უფრთხოდნენ და დასავლეთისაკენ მიისწრაფოდნენ ინგლისელ-ამერიკელთა ხელში თავშესაფრის საპოვნელად. დაღუპულთა რიცხვი 25 ათასს აღწევდა, 30 ათასიც დაჭრილი იყო.

ინგლისელი ისტორიკოსის ჯონ ფულერის სიტყვით, ასეთი საზარელი მუსრის გავლება ველური ჰუნების წინამძღოლს – ატილასაც კი სამარცხვინოდ მოეჩვენებოდა.

ჯ. ფულერი ირონიულად შენიშნავს: წითელი არმია 25 ათას მშვიდობიან მცხოვრებს სამ დღეში ვერაფრით ვერ გაუღებდა, ძალიანაც რომ მოუნდომებინაო.

სისასტიკე ბადებდა სისასტიკეს.

ნაცისტური გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის იოჰან ფონ რიბენტროპის მემუარებში ვკითხულობთ, რომ სწორედ დრეზდენის დაბომბვით გაცოფებულ ჰიტლერს გადაუწყვეტია, იმდენივე სამხედრო ტყვე დაეხვრიტა, რამდენი მცხოვრებიც დაიღუპა დრეზდენში. რიბენტროპი გვამცნობს, ძლივს გადავათქმევინეთო.

ჯ. ფულერს ფრიად უცნაურ გარემოებად ეჩვენება, რომ დაბრუნება პირველყოფილი ველურების დროინდელი ომების ნესთან განახორციელეს ინგლისმა და შეერთებულმა შტატებმა, ორმა დიდმა დემოკრატიულმა ქვეყანამ, და არა – გერმანიამ და რუსეთმა, ორმა დიდმა დესპოტურმა სახელმწიფომ.

ინგლისელი ისტორიკოსი ამგვარი პარადოქსის მიზეზად იმას კი არ მიიჩნევს, რომ ეს ორი უკანასკნელი უფრო ცივილიზებულ აღმოჩნდა, არამედ იმას, რომ ისინი, როგორც სამართლიანად ასკენის კაპიტანი ლიდელ

პოლკოვნიკი

პარტი, ომის საკითხებში უფრო საღად აზროვნებდნენ. ლ. ჰარტი წერს: „გერმანლები, რომლებმაც უკეთესად შეისწავლეს ომი, ვიდ-



რესხვანაღობთა უმეტესობამ, მიხვდნენ ქალაქებისა და მრეწველობის ნგრევის უარყოფით მხარეს და იმ ზიანს, რასაც ეს ნგრევა მიაყენებს ომის შემდგომ მდგომარეობას“.

ჯ. ფულერი, თავის მხრივ, დასძენს, რომ თითქმის იგივე შეიძლება ითქვას რუსების შესახებ. რასაკვირველია, ისინი ვერავითარ სარგებელს ვერ ხედავდნენ იმ ქალების ნგრევაში, რომელთა გაძარცვას იმედოვნებდნენო.

3. დუგლას ბიდიერის პროტეზები

ზემოხსენებული ვერნერ კრაიპე ამტკიცებს, რომ გერმანია-ინგლისის საჰაერო ომის დროს მონიხალმდევთა შორის ჭეშმარიტად რაინდული ურთიერთობა სუფევდა. გერმანელ გენერალს სანიშნოდ მოჰყავს ამბავი ერთი ინგლისელი მფრინავისა, დუგლას ბიდიერი რომ ერქვა. თურმე, ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე ბიდიერს ორივე ფეხის ამპუტაცია მოუწია, მაგრამ ეს უბედურება ვაჟკაცურად დაუძლევიდა. იგი მონაწილეობდა ომში, როგორც მფრინავი-გამანადგურებელი. ერთ-ერთ ბრძოლაში, გერმანელებს ჩამოუგდიათ ბიდიერის თვითმფრინავი. ინგლისელი მფრინავი არ დაღუპულა, მაგრამ თავისი ალუმინის პროტეზები დაემსგვრაო.

კრაიპე მოგვითხრობს, რომ იმავე საღამოს, პოლკოვნიკ გალანდის საჰაერო ესკადრის ოფიცერთა სასადილოში, ბიდიერს საპატიო შეხვედრა მოუწყეს. დატყვევებულმა მფრინავმა ჰკითხა მასპინძლებს, ხომ არ შეიძლება ინგლისიდან ჩემი სათადარიგო პროტეზები რამენაირად მომანვიდნინონ?

გალანდმა ეს ცნობა აცნობა სწორედ გენერალ კრაიპეს (მე-3 საჰაერო ფლოტის ოპერატიული განყოფილების უფროსს). კრაიპემ გალანდის შემონათვალი მოახსენა ფელდმარშალ შპერლეს, ვისი ნებართვითაც საერთაშორისო ტალღაზე, რომელითაც გადაიცემა ცნობები უბედურ შემთხვევათა დროს, ინგლისში რადიოგრამა აფრინეს. ორი დღეც არ იყო გასული, როდესაც მაიორ ბიდიერის პროტეზები პარამუტით დაეშვა გერმანელთა აეროდრომზე. ესეც შენი ხახვის ბოლქვი!

გერმანელი გენერლები თავიანთ მემუარებში დაჟინებით გვარწმუნებენ, რომ თუკი ვერმახტმა აღმოსავლეთის ფრონტზე სამხედრო ეთიკის ესა თუ ის დარღვევები დაუშვა, დასავლეთში ომი რაინდულ ფაშთა გლანტურობით მიმდინარეობდაო.

მაგრამ მათივე ნამოქმედარი პირწმინდად აბათილებს ამგვარ მტკიცებას.

ნიურნბერგის პროცესმა ნაცისტთა „რაინდობას“ ნიღაბი ჩამოგლიჯა. უამრავი მაგალითებიდან დავიმონწივთ საგანის კონცლაგერში მომხდარი ამბავი:

ტყვედ ჩავარდნილი ინგლისელი მფრინავები აუტანელ პირობებში იმყოფებოდნენ და გაქცევა განიზრახეს. ძალზე მოკლე დროში 99 გვირაბი გათხარეს. ეს იყო ტიტანური შრომა, რომელიც გასრულდა 1944 წ. მარტში. 80 მფრინავი გაიქცა კონცლაგერიდან. გერმანიაში საყოველთაო განგაში გამოცხადდა. ქვეყნის ყოველ კუთხე-კუნჭულში გაფაციცებით ეძებდნენ გაქცეულებს. საბოლოოდ ყველანი შეიპყრეს – სამი კაცის გამოკლებით.

გერმანიის შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსმა ვილჰელმ კეიტელმა თათბირი მოიწვია. მან განაცხადა, ინ-

გლისელი მფრინავები უნდა დაეხვრიტოთ. ერთმა გერმანელმა მოკრძალებით შეახსენა, ჟენევის კონვენცია ტყვეობიდან გაქცევას დასაშვებად მიიჩნევს და სისხლის სამართლის პასუხისგებას არ ითვალისწინებსო.

მაგრამ კეიტელმა იყვირა: „მიმიფურთხებია ჟენევის კონვენციისთვის! ჩვენ ამ საკითხზე ვიმსჯელებთ ფიურერის თანდასწრებით და ბრძანება არ შეიცვლება“.

ეს სიტყვები გაახსენეს კეიტელს ნიურნბერგში.

დუგლას ბიდიერის პროტეზები როგორ გააქარწყლებდა ამგვარ სისასტიკეს, რომელიც ნაცისტთა პრაქტიკაში გამოაკლისი როდი ყოფილა.

4. რომორ ბაღარა ლიპეცკი

ცნობილი საბჭოთა მწერალი იური ნავიგინი თავის დოკუმენტურ მოთხრობაში „ორი შეხვედრა“ მართლაც რომ ფანტასტიკურ ამბავს გადმოგვცემს.

თურმე, დიდი სამამულო ომის წლებში გერმანელთა ავიაციის თავდასხმებს სასწაულებრივ გადაურჩა მოსკოვიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით მდებარე საოლქო ქალაქი ლიპეცკი. მართალია, ჰიტლერის ჯარებს იქამდე არ მიუღწევიათ, მაგრამ თვითმფრინავები ლიპეცკზე შორსაც ატარებდნენ რეიდებს და დაუნდობლად ბომბავდნენ იმ ქალაქებსაც კი, სადაც არავითარი სამხედრო ინდუსტრია არ ჭაჭანებდა, ხოლო ლიპეცკი მძლავრი თავდაცვითი კომპლექსით იყო ცნობილი. მას როგორ გადაურჩა ეს ქალაქი?

საქმე ის გახლავთ, რომ ოციან წლებში საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის მჭიდრო კონტაქტები იყო დამყარებული. ნიეთელ არმიას გერმანელი სამხედრო მრჩეველები წვრთიდნენ, ხოლო გერმანელი მფრინავები თავიანთ ოსტატობას ხვენდნენ სწორედ ქალაქ ლიპეცკის ავიასასწავლებლებში. მათ შორის ყოფილა თვით გერინგიც, პირველი მსოფლიო ომის მონაწილე მფრინავი და შემდგომში – ნაცისტთა ავიაციის შეფი.

ავტორს რომ არ ალენიშნა, ეს მოთხრობა დოკუმენტური არისო, ესოდენ დაუჯერებელ ამბავს მისი უკიდვანო ფანტაზიის ნაყოფად ჩავთვლიდით. მაგრამ, მეორე მხრივ, როგორ გაბედვდა საბჭოთა მწერალი ამგვარ, შეიძლება ითქვას, მკრეხელობას. უეჭველია გათათხავდნენ და შეაჩვენებდნენ!

დიახ, დოკუმენტურ მოთხრობად გვაცნობს მწერალი თავის ნაწარმოებს და რა გაენწყობა, გვჯერა თუ არ გვჯერა, მაინც უნდა დავიჯეროთ.

ი. ნავიგინის მონათხრობი, ამას წინათ, ერთმა რუსულმა გაზეთმაც დაადასტურა. გამოქვეყნდა ცნობა, რომ ომის წლებში ქალაქ ლიპეცკში ცხოვრობდა ერთი რუსი ქალბატონი, რომელსაც, ათიოდე წლით ადრე, ლიპეცკის ავიასასწავლებელში სტაჟირებაზე მყოფ გერინგთან, მსურველ რომანი ჰქონია.

...არ ვიცი, ნიურნბერგში გაიხსენა თუ არა გერინგმა ლიპეცკის გადარჩენა, ხახვის ბოლქვად რომ გამოადგებოდა.

მაგრამ ერთი ლიპეცკი როგორ გადაწინადა ათასობით კოვენტრის!



გურამ კანკავა

სურამის შარაგზაზე

გიზიდავს დრო, როს ზანტი ხარები
ლამეს ქიმერებს და ლანდებს ურწევს.
ცა არის წმინდა, ვით სახარება
და მთიდან ვილაც წყნარად შლის ფურცელს.

მთვარე ზეცაზე დაჯდება მწყემსურ
თეთრი მკლავების უნაზეს კუნთით.
თავსაფაროვით მოიქნევ ჩემ სულს
და ალტაცება დაგტოვებს ნუთით.

ფვიქრობ, სოფლის ეს შრიალა ყანა,
ვინ მოიყვანა, ან ზარდა რისთვის?
ვინ მოუქნია წელსქვევით დანა
და მერე ცრემლი აპკურა თვისი?

ფვიქრობ, სოფლის ეს შრიალა ყანა
თავისია თუ კუთვნილი სხვისი?
აბჯენ ხელის გულს მინაზე წყნარად
და არ გაშინებს ღიმილი მისი.

ჩვენი წარსული მკაითაგა

მკლავები - თეთრი ნისლეების ზოლი -
იშლება ორად, და შენი სული
ეხება საგნებს უხილავ ფრუოლოვით,
მეტყველი, როგორც ბრმა ხელისგული.

ღრუბელი კართან ფრთხილად ივაკებს
და თეფში იწყებს პურივით ცვენას.
მე ზავრი ისევე ძველ ბილიკს მიაკვლევს,
ვარდების შუქით დაეძებს რწმენას.

შედება გზაზე და ხელს შეახებს
სინამდვილეს და არყოფნის ზღურბლებს,
მხერით იგონებს წარსულ მიხაკებს
და ხელისგულზე დაინვენს ღრუბელს.

1954

წერილი

უკვე მეორედ ამწვანდა ჭალა,
დრომ კვლავ უშენოდ გვერდს ჩამიარა,
მან ვერ დამიცხრო ტრფობის იარა,
ჩემი წარბები ვერ გამიშალა.

მხნე ჯარისკაცად იყავ ცნობილი.
ჩემზე ფიქრები ნუ გაგანამებს!
დავინყე ქსოვა გრძელი ქსოვილის,
აღარ ვიღებავ ჩემს გრძელ წამწამებს.

მთვარე ამოდის. ალბათ, შენც ხედავ.
თავს მაღლა ვწევ და სახეში მიცქერს.
მომაგონდება, რომ შორს ხარ ჩემგან,
და ჩემს საქოვზე ვიხრები ისევ.

1954

ცნობილი ამერიკელი იუმორისტი ჯეიმს თერბერი (1894-1961) მრავალი წიგნის ავტორია - „ბუ სხვენზე და სხვა საოცრებანი“, „კატები, ქალები და ძაღლები“, „ფარნები და შუბები“ და სხვა. ნოველა „იმ ღამით, საწოლი რომ ჩაინგრა“, ეგრეთწოდებული „სიტუაციის იუმორის“ კარგი ნიმუშია.

ერთ საღამოს მამაჩემმა გადაწყვიტა, სხვენზე დაეძინა - რაღაც საფიქრალი გასჩენოდა და სხვენის სიმყუდროვეში ხელს არავინ შეუშლიდა. დედა არწმუნებდა, ხის ძველი საწოლი ისე საშინლად დაა მორყეული, რომ უთუოდ ჩაინგრევა, საწოლის მძიმე ზურგი თავზე დაგემხო და სულს გაგაფრთხობინებო. მამამ მაინც თავისი გაიტანა: თერთმეტის თხუთმეტ წუთზე კარი გაიხურა და სხვენის ვინრო, ხვეულ კიბეს აპყვა...

იმხანად ჩვენს ოჯახში სტუმრობდა ერთი ჩემი ნერვიული ბიძაშვილი, სახელად - ბრიგს ბილი, რომელსაც აკვიატებული ჰქონდა აზრი - ძილში სუნთქვა მეკვრება და ვიგუდებო. ასე ეგონა, ყოველ ერთ საათში თუ არ გავიღვიძე, სული შემეხუთებაო. ჩემს ოთახში ეძინა და გული გამინვრილა - გათევენამდე მალე იძარა აწკრიალდება. ხრიკი ვიხმარე - დავარწმუნე, კურდღელივით ძილი ვიცი, ჩემ გვერდით ვინმემ სუნთქვა რომ შეწყვიტოს, იმნამსვე გამეღვიძება-მეთქი. პირველ ღამეს გამოცდა მომიწყობ (გულმა მიგრძო და თავი მოვიკატუნე). ბრიგსმა სუნთქვა შეიკავა. მაშინვე გამოვეხმაურე. ეჭვი გაეფანტა, მაგრამ თადარიგი მაინც დაიჭირა - ქაფურის სპირტით სავსე ჭიქა გაიმზადა და საწოლთან, პატარა მაგიდაზე დადგა. თუ დროზე ვერ მომისწარი და ძილში გავითანგე, ქაფურის სპირტი მაყნოსინე და მოვსულიერდებო, მითხრა. ახირებული ბიძაშვილი ჩვენს სახლში გამონაკლისი არ გახლდათ, ოჯახში ყველას თავისი ოფოფები ჰყავდა. მოხუცებულ მამიდა მელისა ბილს, რომელსაც ბიჭურად, ორი თითით სტვენა ეხერხებოდა, წინათ-გრძნობა სტანჯავდა, საუთ ჰაი სტრიტზე მოკვდებო, რადგან საუთ ჰაი სტრიტზე დაიბადა და

ჯვარიც იმავე ქუჩაზე დაინერა. დეიდაჩემი - სარა შოუფი ლოგინში ცახცახებდა, ეშინოდა, მძარცველები კარებქვეშ მილას შემომოიყოფენ და ქლოროფორმს შემომაფრქვევენო, უბედურების თავიდან ასაცილებლად ერთი ხერხი მოიგონა: ფულს, ვერცხლეულს და ძვირფასეულობას საძინებელი ოთახის კართან ალაგებდა და გროფაზე ამაგრებდა ბარათს: „მეტი არაფერი გამაჩნია. წაიღეთ და თავი გამანებეთ, ოღონდ ქლოროფორმით ნუ გამაბრუებთო“, დეიდა გრენისი შოუფსაც ეშინოდა ქურდებისა, ოღონდ იგი მეტ მხნეობას იჩენდა. სწამდა, რომ ამ ორმოცი წლის მანძილზე მძარცველები ყოველ ღამით ესხმოდნენ

თავს, ოჯახში არაფერი დაკარგულა, მაგრამ ეს საბუთად არ მიაჩნდა. ღამით ქოშებს ისროდა დერეფანში და მერე გვიმტკიცებდა, დამფრთხალი ქურდები გარბიან და ვერაფრის მოპარვას ვერ ასწრებენო. ძილის წინ ხელმისაწვდომ ადგილას აქუჩებდა შინაურთა ფეხსაცმელებს...

დავუბრუნდეთ იმ საოცარ ღამეს, მამაჩემს საწოლი რომ ჩაენგრა.

შუალამით უკვე ყველას გვეძინა. ოთახებისა და მათი მობინადრეების ზუსტი განლაგება უნდა იცოდეთ, უკეთ რომ გაიგოთ, რა მოხდა მოგვიანებით. წინაკარში, მეორე სართულზე (მამაჩემს სწორედ ამ ოთახის თავზე ეძინა), იწვნენ დედაჩემი და ჩემი ძმა პარმენი, რომელსაც ზოგჯერ წამოუვლიდა და ძილში სამხედრო სიმღერებს - „ჯორჯიას გავლით“ ან „წინ ქრისტეს ჯარისკაცებს“ მღეროდა. მე და ბრიგს ბილს მეზობელ ოთახში გვეძინა. ჩემი მეორე - ძმა რიო დერეფნის გაღმა ოთახში ხვრინავდა. დერეფანმა ბელტერიერი რექსი მოკალათებულიყო. მე ვინექი ჯარისკაცულ ვინრო საწოლზე, რომელზეც კოტრიალი სახიფათოა, რადგან კიდემდე თუ გადაგრდო, საწოლი აყირავდება და ლანუნით ჩამოგეხობა თავზე. ასეც მოხდა. დაახლოებით ღამის ორ საათზე (მოგვიანებით, ეს ამბავი რომ გაიხსენა, პირველად დედაჩემმა იხმარა ფრაზა: „იმ ღამით, საწოლი რომ ჩამოინგრაო“).


მე მკვდარვით ძილი ვიცი და როცა რკინის საწოლი დაპირქვავდა, იატაკზე

ი. ლაგით

ზღართანი გამადენინა და ზემოდან გადმომემხო, ერთბაშად ვერ მოვედი გონს. თბილ საბანში შეფუთნილი უვნებლად ვინექი იატაკზე და საწოლი ჩარდახივით მქონდა გადაფარებული. ვერ გამოვფხიზლდი, ოდნავ შევიძძერი და ძილი განვაგრძე. სამაგიეროდ, ბრახუნზე დედას გაეღვიძა და წამსვე დაასკვნა: ხის დიდი საწოლი ჩამოიქცა და მამაჩემი დაასამარაო. შეშინებულმა შეჰკვილა:

- ჩქარა, უბედურ მამათქვენს მივხედოთ!

ყვირილმა ჩემი ძმა ჰერმანი გამოაღვიძა. მასაც ხომ იმავე ოთახში ეძინა. გაიფიქრა, დედაჩემს უმიზეზო ისტერიკამ წამოუარაო.



დერეფანში აყალ-მაყალი გრძელდებოდა. ჰერმანი ღრიალით მისდევდა დედაჩემს, რომელიც კვილით ეჯაჯგურებოდა სხვენის კარებს, რათა ზევით ასულიყო და მამაჩემის გვამი საწოლის ნამსხვრევებიდან ამოეთრია. კარი ჩაკეტილი იყო. დედის უშედეგო ძიძგილი საერთო არეულობასა და ბრაგაბრუგს მიემატა. უკვე როისა და ძალსაც გაღვიძებოდათ, ერთი რაღაცას კითხულობდა, მეორე – ყეფდა.

მამაჩემი მოშორებით რომ იმყოფებოდა და საღათას ძილით ეძინა, ახლავა გამოაფხიზლა კარზე ატეხილმა რახარუხმა. იფიქრა, ხანძარი თუ გაჩნდა და სახლი იწვისო.

– მოვდივარ, მოვდივარ! – ჩახლენილი ხმით დაიღმუვლა ნამძინარეგმა. კაი ხანი გავიდა, ვიდრე გონს მოეგებოდა. დედაჩემს მოეჩვენა, საწოლქვეშ გასრესილი მამაჩემი ამ ნაღვლიანი „მოვდივარ“-ით უღრტვინველად ემზადება მიქელ-გაბრიელთან შესახვედრადო.

– კვდება – შეჰკვივლა დედამ.

– მოვსულიერდი! – დაიბღავლა ბრიგსმა (იგი დედაჩემს ამშვიდებდა) – კარგად ვარ!

როგორც იქნა სინათლე ავანთე, კარი გავალე და ბრიგსთან ერთად შეეუერთდი სხვენის კართან თავმოყრილ ნათესაობას. ძალი დასანახავად ვერ იტანდა ბრიგსს, ახლაც ყველაფერში იგი მიიჩნია დამნაშავედ და მისკენ ისკუპა. როიმ ძლივს გაათრია განზე. ნამით ჩამოვარდნილ სიჩუმეში ჭრაჭუნი შემოგვესმა – მამაჩემი ცდილობდა, ლოგინიდან ჩამოფორთხებას. როიმ ძალით გამოგლიჯა სხვენის კარები და ნამძინარევი, შეშინებული და სალ-სალამათი მამაჩემი კიბე-

საწოლი რუგ ჭაინბრა

– ნუ გეშინია, დედა, კარგად ხარ!

ხმაურზე ბრიგს გაელვია. ნელ-ნელა მეც ვიკრებდი გონებას. ბუნდოვნად ჩამესმოდა ყაყანი, მაგრამ ვერ გამეაზრებინა, რომ საწოლზე კი არა, საწოლ ქვეშ ვინეკი. წივილ-კვილით დაფეთებულმა ბრიგსმა დაასკვნა, ძილში გავგუდულვარ და ეს აურზაური ჩემს მოსასულიერებლად აუტეხიათო. სუსტად ამოიკვნესა, ქაფურიან ჭიქას ხელი სტაცა და დაყნოსვის ნაცვლად თავზე გადაისხა. ოთახი ქაფურის სუნით გაიჟლინათა.

– ახვ, უხვ, – დამხვრჩვალი კაცივით ახროტინდა ბრიგსი, რომელიც კინაღამ მართლა ჩაიხრჩო „სურნელუბის“ მორევში. ლოგინიდან ისკუპა და ღია ფანჯრის-

კენ ნალასლასდა. საწყალს მხარი ეცვალა და დახურულ სარკმელს მიაღგა. ხელგამვერილი ეძგერა მინას, ჩალენილი შუშის ნამსხვრევებმა წკრიალი გაადინეს ბაღის ბილიკზე. ამ დროს იყო, რომ ნამოდგომა დავაპირე, საწოლის სიმძიმე შევიგრძენი და შიშის ზარმა დამიარა. გაბრუებულს მომელანდა, თითქოს აღელვებული ნათესავები ჩემს დახსნას ცდილობდნენ სასიკვდილო განსაცდელისაგან.

– ამომიყვანეთ! – დავიბღავლე მე. – მიშველეთ რამე! – მეგონა, სამარეში ჩავიმარხე-მეთქი.

– აუფ! – ხრიალებდა ბრიგსი და ქაფურით გაჟღენთილ ოთახში ფართხალებდა...

ებზე ჩამოვორდა. მის დანახვაზე დედას ტირილი აუვარდა. რექსი აფშუვლდა.

– ლეთის გულისათვის, გამაგებინეთ, რა ხდება ამ სახლში? – იკითხა მამამ.

ბოლოსდაბოლოს ყველაფერი გაირკვა, ყველაფერი კეთილად დამთავრდა, გარდა იმისა, რომ მამა გაცივდა, რადგან იმ ღამით ფეხშიშველამ იფორთხიალა.

– კიდევ კარგი, – თქვა დედაჩემმა, რომელიც ყოველთვის ცხოვრების კარგ მხარეს ხედავდა, – რომ ბაბუათქვენი არ იყო შინ.

ინგლისურიდან თარგმნა
ვალერი ჭკადუა

გაქორწინანი

ეს ამბავი მოსკოვის სასტუმროსთან დაკავშირებული, კერძოდ, სასტუმრო „როსიასთან“.

უკვე საკმაოდ ასაკოვანმა და სოლიდურმა მამაკაცმა, ნოდარ ჯავრიშვილმა, როგორც იქნა გაბედა და ოჯახს მოექცა.

ახლადდაქორწინებულებმა გადაწყვიტეს თავლობის თვე მოსკოვში გაეტარებინათ. პარიზსა და რომში კი არა, ანდა ბადენ-ბადენსა და რიო-დე-ჟანიეროში, რატომღაც მოსკოვი მოინდომეს, ისიც ზამთრის დამდგეს, დეკემბრის სუსხიან შუაწელში.

მოსკოვში ნეფეს და დედოფალს ნათესავები არ ჰყავდათ, არც ვისმესთან ნაცნობ-მეგობრობდნენ, ამიტომ მათთვის ერთადერთ ნავსაყუდელს სასტუმრო ნარმოადგენდა.

იმ ხანებში მოსკოვის სასტუმროები ბევრად ჩამორჩებოდნენ საზღვარგარეთელ ოთხ და ხუთვარსკვლავიან სასტუმროებს, მაგრამ მათ შორის გამოირჩეოდნენ ისეთნი, სადაც შეიძლებოდა თავის მოწონება მანდილოსანთან, ქალთან, რომელთანაც აპირებდნენ სამუდამოდ ყოფნას, რომელსაც სამუდამოდ უნდა დაამახსოვრო არაღაც მნიშვნელოვანი და სანუკუპარი.

ზამთარია. თბილისს ჯერ კიდევ არ უგრძნია მისი სუსხი. დეკემბრის შუარიცხვებია, ფოთლები კი ახლა იწყებენ ცვენას, მზეს თანდათან აკლდება სითბო. თანდათან და შეუმჩნეველად იწურება შემოდგომის ოქროს დღეები. მოსკოვში კი ამ დროს თოვს, დროდადრო ყინავს, თერმომეტრის სინდიყი ნულს ქვემოთ, ათზე და თორმეტზე უშვება. მაგრამ ჩვენს მექორწინებულს მაინც იქ უჩრევნიათ. ეს მათი პირადი საქმეა და მოდი, ნუ ჩავერვებით.

როგორც მრგახსენეთ, რომელიმე კეთილმონყობილ სასტუმროში უნდა დაბინავებულიყვნენ. ასეთი კი არა, უბრალო სასტუმრო ჭირს დედაქალაქში, რადგან მოსკოვს აუარება ხალხი ეტანება.

ნოდარი მხოლოდ ერთხელ ყოფილა მოსკოვში, ისიც გავლით. მაგრამ გავლაც არის და გავლაც! ეს ისეთი გავლა იყო, სამუდამოდ რომ დაახსოვდა და ამის გამო არასოდეს მოუნადინებია არამც თუ მოსკოვი, სერთოდ, რუსეთში წასვლაც. არმიაში რუსეთის ერთ პატარა ქალაქში მსახურობდა, მოსკოვიდან კარგა მოშორებით.

მოსკოვში წასვლა მერიმ, მისმა მეუღლემ მოინადინა. ეს მისი ნატვრა იყო, მისი არჩევანი. რას აჩემე ეს მოსკოვი, რუსეთი... იქ ვინ მიგიღებთ, როგორ მიგიღებენ; სასტუმროსაც ვერ იშოვით, ძალდა არავინ გვაგაძებს და სულ ზემოდან გვიყურებენ!.. მკაცრი და შეუფერხი იყო მისი სიტყვები. ნოდარისაც არ ეპიტნავებოდა მოსკოვში წასვლა, უფრო შავი ზღვის რომელიმე საკურორტო ქალაქში გამგზავრებაზე ფიქრობდა, მაგრამ ვინაიდან მერიმ დაასწრო არჩევანში, პირში

წყალი ჩაიგუბა, სიმამრსაც ცოლის ხართ ვერაფერი უთხრა და მის უჩუმრად ერთი საკავშირო მასშტაბით გავლენიანი თანამდებობის პირი მოძებნა, მივიდა და სთხოვა, ასე ასეა საქმე, ეგებ მოსკოვში სასტუმრო დამიჯავშნოთ.

საკავშირო მასშტაბით გავლენიანი პიროვნება საქინფორმის დირექტორი ვლადიმერ ჭიაურელი გახლდათ, ენერგიული, ფრიად განათლებული, სიტყვისა და საქმის კაცი.

ვლადიმერმა გაბედნიერება მიულოცა და იმედინად გამოისტუმრა, ორ დღეში მომაკითხეო.

გახარებული ნოდარი კიბეზე დაეშვა, ვესტიბულში ნაცნობ ფოტოჟურნალისტ ოთარ თურქიას შემოეყარა.

- გავიგე ქალი მოგიყვანია, - ხელი მხურვალედ ჩამოართვა ოთარმა, გადაკოცნა და გაბედნიერება მიულოცა.

- გმადლობ, ჩემო ოთარ, გმადლობ! - მიუგო ნოდარმა.

ოთარ თურქიაც ფოტოჟურნალისტთა შორის საკავშირო მასშტაბით ცნობილი კაცი იყო და სწორედ მისმა ასეთმა გავლენიანობამ შეაფიქრინა ნოდარი. ეჭვის ჭიაც მაშინ შეუჩნდა ვლადიმერის დანაპირებზე. იქნებ თავი დაიზღვია და უფრო იმედინად რომ ყოფილიყო, იგივე ეთხოვა ოთარისათვის. რა ვიციო, ეშმაკს არ სძინავსო, იქნებ ვლადიმერმა ვერ მოახერხოს, მოსკოვში საჭირო კაცი ვერ მოძებნოს, ანდა, მოძებნოს და სიმამრის თქმის არ იყოს, იმ კაცმა სულაც უარი უთხრას?! შეეჭვდა, სასტიკად შეეჭვდა. უცებ ისე მოიღუშა, გულმა ჩხვლეტა დაუნყო. ცხოვრებაში ბევრჯერ გასცრუებია იმედი, ბევრი დაპირება დაპირებად დარჩენილა, საქმე კი არ გაკეთებულა. გულწაბტყენს, ვინ იცის, რამდენჯერ გადაუნყვეტია, მორჩა, ამიერიდან არავის არაფერს ვთხოვო. მაგრამ ცხოვრება მაინც თავისას ითხოვდა, ცხოვრებამ მაინც აიძულა ვიღაცაზე რალაცით მაინც ყოფილიყო დამოკიდებული.

და აი, ახლაც დასჭირდა დახმარება. ფიქრმა გონება აურია. ძალიან უხერხულობდა, მაგრამ ოთარს მაინც სთხოვა, თუ არ შენუხდები, ეგებ მოსკოვში სასტუმრო მომიხერხოო. ოთარმაც ორი დღის ვადა მისცა. ამან უფრო ააფუთფუთა ეჭვები: „მატყუებენ“. „ტყუილის მთქმელს სჩვევია ღიმილით შემკული ცრუ დაპირება“. „კაცი კაცს აღარ ენდობა, ყველა ტყუის და თვალთმაქცობს!“

რის ვაივაგლახით ჩათავდა ორი დღე და ვლადიმერ ჭიაურელის კაბინეტის კარს მიადგა. პირადმა მდივანმა მოახსენა, ბატონი ვლადიმერი დაკავებულია და

შესაძლოა დიდხანს ვერ გათავისუფლდესო.

პირს კატა ეცა, შეძრწუნდა ნოდარი, ეწყინა და თავისი ბედი დასწყევლა. ახია ჩემზეო, გაივლო გუნებაში.

პირადმა კაცს წუხილი შეატყო, დაკვირვებით შეხედა, კითხა: - თქვენ ნოდარ ჯავრიშვილი ხომ არ ბრძანდებით?

- დიახ, ჯავრიშვილი ვარ.

ქალმა მოკეცილი ქალად იიღო მაგიდიდან და ნოდარს გაუწიდა.

- ბატონმა ვლადიმერმა დამიბარა, თქვენთვის გადმომიცა.

ნოდარს გულზე მოეშვა. ქალს ქალად გამოართვა და გაშალა. „ბატონო ნოდარ, - ენერა მცირე ზომის ბარათში, - თქვენთვის სასტუმრო „როსიაში“ დაჯავშნულია ნახევარლუქსი 20 დეკემბრიდან, როგორც მთხოვეთ. ბოდიშს გიხდით მოუცლელობის გამო ვერ მიგივლით. პატივისცემით ვლადიმერ ჭიაურელი“.

- გმადლობთ, გმადლობთ! - წამოიძახა გულაჩუყებულმა ნოდარმა. გაღიმებულ ქალს ერთი კი შეხედა და თვალები ცრემლით აევსო, შეტრიალდა და კარს მიაშურა.

მაგრამ ცხოვრებაში მრავალგზის გულგატეხილმა კაცმა, გგონიათ მოისვენა და დამშვიდდა? სჯობდა აქვე ეთქვათ უარი, ვიდრე ჩაივდეს მოსკოვში, მიადგეს სასტუმროს ადმინისტრაციას და მან ცივად მიუგოს:

- მი ნიკაკის ვლადიმერა ჩიაურელი ნე ზნაემ... ვ გასტინციე მესტ ნეტ!

გადაწყვიტა იმავე დღეს ენახა ოთარიც. ფოტოლაბორატორიაში რამდენჯერმე მივიდა, დაკეტილი დახვდა. ტელეფონის ნომერი მოიძია და შინ დაურეკა. შინაც არ აღმოჩნდა, მეუღლემ, რაიონში წავიდა დაბალებზე და ერთ კვირაში დაბრუნდა. „არ ყოფილა სიტყვის კაცი! აკი ორ დღეში გამოიარე?! - გულში მწარედ გაივლო ნოდარმა. ახლა ისდა დარჩენოდა, ბედს მინდობოდა და ვლადიმერ ჭიაურელისათვის დაეჯერებინა.“

გენახათ ერთი, რა ტანჯვით, რა აწენილ-დანწენილი ფიქრებით იმგზავრა.

ღილით უცხო ქალაქშიც კი რალაც შეიძლება გააწყოს კაცმა. მაგრამ, როცა მატარებელი სადგურ ტიხორცკაიაში რამდენიმე საათით გააჩერეს, აღელვებული ნოდარი ანგარიშობდა, რა დროს მოუწევდათ დედაქალაქში წასვლა. ერთგან კიდევ შეფერხდა მატარებელი და აი, ბოლო განგარიშებით კი მატარებელი მხოლოდ სალამოს ექვს საათზე იქნებოდა დედაქალაქში.

სასტუმროზე წუხილი რომ არა, ეს მტანჯველი დარდი რომ არა, მართლა ჩი-

პოლონიკა



ლალი კობახიძის არქივიდან.

ნებული მგზავრობა გამოსდიოდათ ორივეს.

მატარებელი ცოტა დაგვიანებით ჩავიდა მოსკოვში.

ლამპიონებით განათებულ ქალაქში თოვდა. თოვდა წყნარად. არც ისეთი სუსხი იდგა, რომ სამხრეთელები შეენუხებინა. პირიქით, მერმე კიდეც თქვა, რა სასიამოვნო საღამოაო. ახლა ნოდარის გულში ჩაეხედა, ტაქსში უკვე პირგამეხებული რომ იჯდა და გულის ფეთქვა თანდათან ემატებოდა, რაც უფრო უახლოვდებოდნენ სასტუმრო „როსიას“.

და აი, ქვეყნის ოთხივე მხარეს გაჭიმული, ელექტრონათურებით გაჩახჩახებული სასტუმრო!

ტაქსის შოფერმა ბარგი სარევისტრაციო განყოფილებაში შეატანინა ცოლ-ქმარს, გასამრჯელო მიიღო და მანქანას მიაშურა.

პირველი, რაც ნოდარმა ამ დარბაზში შენიშნა, იყო ადმინისტრატორების სარკმელებთან მოკეცილ მუყაოზე მსხვილი ასოებით წარწერილი „მესტნეტ“.

მხოლოდ ერთ სარკმელთან იდგა რამდენიმე კაცი. დარბაზში კი ბლომად იყვნენ მომლოდინენი, ქალები, მამაკაცები, ბავშვები და მოხუცები. მაგრამ ისინი სარკმელებს არ ეკარებოდნენ. ღმერთმა იცის, რას ელოდნენ!

რაც იქნება, იქნებაო, გულში გაივლო ნოდარმა, მღელვარება ვერაფრით დაიცხრო და ერთ-ერთ სარკმელს მიადგა. ქალმა ცერად ამოხედა. ნოდარს მოუსმინა და მერე მიუგო, დაჯავშნული ნომერი მეხუთე სარკმელში მოიკითხეთო.

ეს სწორედ ის სარკმელი იყო, სადაც

რამდენიმე კაცი იდგა რიგში. რიგი დაიკავა და მამაკაცები შეათვალყურა. არც ერთი მათგანი არ ღელავდა. არც ერთს აფორიაქება არ ეტყობოდა. იდგნენ მშვიდად, ჩუმად, ხელში საჭირო საბუთები ეჭირათ.

თითო კაცის გასტუმრებას საკმაოდრო სჭირდებოდა. როდის-როდის ნოდარსაც ეღირსა თავი შეეყო სარკმელში. მორიგე ადმინისტრატორი ჩასუქებული შუახნის ქალი ბრძანდებოდა, მეტად საქმიანი გამომეტყველება ჰქონდა. ნოდარს გული უკვე ყელში ურტყამდა. ძლივს მოახერხა ორიოდე სიტყვის თქმა:

– მი იზ ტბილისი, ნომერ ნა იმია დუავრიშვილი...

ამის თქმა იყო და ეს, თითქოს მოღლილი ქალი, ლამის შეხტა, ისე შეიცხადა:

– დუავრიშვილი?!

ნაცვლად იმისა, რომ ქალს მისთვის ნომრის თაობაზე ეთქვა რაიმე, გვარი რომ წამოიყვინა, უმალ ტელეფონს ეცა და სადღაც დარეკა:

– სიმეონ მიხაილოვიჩ, ონ ზდეს, დუავრიშვილი!

ქალმა ყურმილი დაღო ნოდარს მიმართა:

– ვი დალჟინი პაინი გლავნომუ ადმინისტრატორუ...სეიჩას ვას პრავედუტ!

– ა ვჩომ დელა? – ძლივს ამოთქვა ნოდარმა და მერის გადახედა.

მერი უკვე გაფითრებულიყო და გაკვირვებული მისჩერებოდა მეუღლეს

პირვედუტო! მალე მოვიდა ერთი ახმახი, ლამაზად გამონყობილი ახალგაზრდა. მან თავაზიანად, მაგრამ მაინც მკვახე ტონით მიმართა ნოდარს!

– პაიდომტე!

მთავარი ადმინისტრატორისაკენ გასწიეს. ნოდარმა ერთი კი მოხედა მერის, რომელსაც სახე გაფითრებოდა.

მთავარი ადმინისტრატორის მისაღებში უამრავ ხალხს მოეყარა თავი. იყვნენ მაღალი ჩინის ოფიცრები, მათ შორის ერთი გენერალიც. იყვნენ სოლიდური მამაკაცები პორტფელებითა და ჩემოდნებით... ალბათ რიგს ელოდებოდნენ, რომ მთავარ ადმინისტრატორთან მოხვედრილიყვნენ. ახალგაზრდა კი ამდენ ხალხში სწრაფად ჩაატარა ნოდარი, მანვე გაულო მუშამბიანი კარი და ნოდარი აღმოჩნდა მოზრდილ კაბინეტში. იატაკზე დაგებულ ხალიჩაზე ფეხი აერია და ნაიბორძიკა... ასე იყო თუ ისე, როცა საწერ მაგიდას მიუახლოვდა, დაინახა ფეხზე წამომდგარი მოღიმარი სათვალეიანი მამაკაცი, რომელიც სიმეონ მიხაილოვიჩი გახლდათ.

– დუავრიშვილი – ჰკითხა მონინებით.

– და, ია დუავრიშვილი! – მიუგო ნოდარმა. რის შემდეგაც მთავარმა ადმინისტრატორმა კვლავ ალერსიანად და მოკრძალებით მიმართა:

– სადიტეს, ჰაჟალუსიტა, უვაჟაემი ტოვარიშ დუავრიშვილი!

ეს კი რას ნიშნავს?!

– ნახეთ, რა ხდება? რამდენი ხალხი უცდის ნომერს?... დაინყო მთავარმა ადმინისტრატორმა.

– დიხ, დიხ... – მიუგო ნოდარმა.

– თქვენ დაჯავშნული გაქვთ ორი ნომერი... პოლულუქსები... უღრმესად გთხოვთ, იქნებ როგორმე ერთი დაგვიტომოთ... გვიჭირს, ძალიან გვიჭირს, თორემ არ შეგანუხებდით, პატივცემულო!

ახლა კი ისევ დაიბნა ნოდარი. თავს ძალა დაატანა და წამოიძახა:

– ღვთის გულისათვის! სიმეონ მიხაილოვიჩ... კაკე მოყეტ ბიტ რაზგოვორი... ღვთის გულისათვის!

საქმე იქამდე მივიდა, რომ სიმეონ მიხაილოვიჩმა ნოდარი კაბინეტის კარამდე მეგობრული ალერსით მიაცილა. გულითად მაღლობას რომ უხდიდა, რამდენჯერმეც ისიც გაუმეორა, ორივე ნომერი ნახეთ, რომელიც უფრო მეტად მოგენონოთ, იმაში დაბინავდით...

... დასავლეთის ფლიგელის ნომერი აირჩიეს. მერი ახლა კი ნოდარს გამოუტყდა, ადმინისტრატორთან რომ წავიყვანეს, ასე მეგონა, შენ რაღაც ბნელი წარსული ექონდა, დამიმალე და ახლა იჭერენ-მეთქი.

– მერი... მხოლოდ ოთარ თურქიასთან ვარ პირშავათ. სხვა დანაშაული ღმერთმა დამიფაროს!

– მაპატიე, ასეთი რამ რომ გავიფიქრე. ფანჯრებს თოვლი ეყრებოდა. კრემლის კურანტებმა თორმეტჯერ შემოპკრეს.

აი, ასეთი რამ მოხდა მეტროპოლიაში, როცა დაქორწინებული მონები კოლონიიდან ჩავიდნენ.

დარეჯან ბატიაშვილი



დასეტყვილ ვენახსა ვაპარ...

უძღვნი დედის ხსოვნას

ოცი წელია არ ამოდის ბუხრიდან კვამლი,
შენც ხომ ამისი გემინოდა, არ ავცდა, დედავ,
არვინ ჭაჭანებს სულიერი, დაყრუვდა სახლი,
განვლილი ჟამი ანემოს სულაც არ ეთანხმება.

დასისინებენ ეზო-კარში წვიმა და ქარი,
რას მიხვდებიან ჩვენი სახლის აჩრდილის მიზეზს,
ოცი წელია არ დაკრულა აქ პირი ბარის,
დარჩათ ბურთი და მოედანი ბალახს და ჩიტებს.

თითქმის არავინ აღარ შემრჩა გულის დამწველი,
ნახვედით, ყველამ გამომკეტა სევდის თავლაში,
უქმად ჰკიდა დიდ მარანში წმინდა საცერი,
არ დაწურულა სანახებელი ყურძნის მარცვალი.

ველარ ვპოულობ ქვეყანაზე, დედავ, შენს ბადალს,
გელოდები და არანაირ ნუგებს არ მაძლევ,
მწუხარებისგან მე დასეტყვილ ვენახსა ვგავარ,
უიმედობა ჩემი სანთლის საფუძველს არყევს.

ცეცხლი დავანთე, სითბო მაინც არ დატრიალდა,
მზე დაჰნათის და ვერა თბება უშენოდ სახლი,
სუყველაფერმა მოიწყინა და გატიალდა,
თურმე რა, დიდი ვინმე მყავდა მე შენი სახით.

მწუხარებისგან მეც ისევე მიშრება ყელი,
ვით ჩვენს მარანში დიდებსა თუ პატარა ქვევრებს,
თითქოს საშველად ხელებს მიწვდის გამხმარი ლეღვი,
ეულ თონეში არვინ აცხობს პურსა და კვერებს.

გინდ გამიმტყუნონ, გინდა არა, ფიქრი მთვლემარე,
ველარ იქნა და ვერ ვაცხოვრე უშენოდ ქარში,
ველარც ბავშვობის ნატერფალმა გააწყო რამე,
თითქოს შეპყროდეს ალაგს რალაც კეთროვნის მსგავსი.

და მე ახლიდან საძირკველი როგორღა ჩავდგა,
როცა წარსულმა სამუდამოდ ჩაუშვა ღუზა,
შენმა დაკარგვამ ჩემი სული ისე აჩალთა,
სხვა გზა არ იყო, ჩემი გული დავუთმე მუზას...

მონოლოგი

ვერავინ ამჩნევს ფიქრებისგან დაღარულ სახეს,
არადა, როგორ აშკარად ჩანს სიზმრების კვალი,
გადმოინაცვლეს ჩრდილებმა და ვასცილდნენ არხებს,
მე დავემსგავსე ჩრდილისაგან ფეხდადგმულ ყვავილს.

რაც არა მქონდა, რას ვეძებდი, რას ვიპოვიდი,
თუნდაც მქონოდა ამისათვის სურვილი მკვირივი,
როგორ მოვიქცე, რომ გამიჩნდეს სიცოცხლის რიდი,
რომ არ დაირღვეს უნებურად იმედის მწკრივი.

რაც უნდა მეთქვა კედლებისთვის, აზრი არ ჰქონდა,
ვერ დავხურავდი ამის გამო ფიქრის დარაბებს,
გამიგონია, არცოდვია რამის არ ცოდნა,
მაგრამ ცოდვია, ქვეყანაზე რალაც არ გნამდეს.

ვინ მოიტანა სიტყვა ბედი, ან უბედობა,
ან რისთვის მოხდა ამნაირი სიტყვის ნათლობა,
ეს ჩემი გული მხოლოდ მართალ სიტყვას ენდობა,
რადგან ანთება ადვილია, ვიდრე ჩაქრობა.

არ არის ფულით საშოვნელი სულის მზეობა,
თვალების ტბაში ჩაძირულა ტალღა ბუნების,
არაფერს ამბობს უთვისტომოდ მემკვიდრეობა,
თუგინდაც ითქვას, უკან მაინც არ დავბრუნდები...

არ მეკარება სიახლოვეს „მეფური ძილი“,
ვით ოლიმპიურ სიბნელეში სანთელს – გენია,
თუ უნებლიედ გამოვდგები მე სიტყვაძვირი,
შემინდეთ, რადგან ზოგი ჩირი მარგებელია.

ვერ ვემალევი სასერიოდ დაძრულ აღმასებს,
ველარ მენვეა, უკან მომდევს დღენი სირბილით,
ფიქრად არ მომდის, გავუსწორო თვალი ჯამბაზებს,
თავი მომწონდეს გულყვითელა თეთრი გვირილით.

კოსმიურ შუქში უცნობელი გრძნობა ვლინდება,
რაც მყვარებია, თურმე, ისიც არა მცნობია,
ჩემი სიცილი ხვეულებში მახეს უგებდა
სახეს, რომელიც სიზმრისაგან დასაგმობია.

მაგრამ ისეთი სიტყვის სხივი გაუმტარია,
რასაც არ იცავს ზეციური ფიქრის ფარდული,
ბევრჯერ სტრიქონსაც თავისთავი არ უხარია,
რადგან არ არის სიყვარულით გულმოქარგული.

აღარ დადიან ჩემს ჭკუაზე მწარე ფიქრები,
გამთბარ სიცოცხლეს შეამცინებებს სიტყვის თარეში,
იყურებიან ჩემი დღენი, ვით ქურციკები,
ჩამწყვდეულები ცხრაკლიტურში ... შიშის თვალებით...

აციაგდება ჩემი ჩრდილი ზოგჯერ, ვით რითმა
და იხატება ულილამო შემკრთალ ღრუბლებად,
ეს იმას ნიშნავს, საიდანაც გიყელოს ბინდმა,
ექვით მოვიდეს უეჭველი თავისუფლება.

არ გაგისუნდეს შენი სულის მდიდრული ფერი, –
აბუტბუტებულ წყაროების ღამის თენება,
აღმოსავლეთის სიდიადე, სიჩუმის ჩქერი
შეინარჩუნო, ვით სიკეთის აღმოცენება.

ქარის მონოლას ველარ უძლებს სუსტი კედელი
და თვალთა ისარს ჯებირების განხეთქილება,
კუთხე-კუნჭულებს ვინ გასინჯავს გულის ედემში,
ვინ რად ჩააგდებს ეჭმიტანილ სულის ქმნილებას.

ველარ დავითელი წუთისოფლის ყველა მსგავსებას,
თუგინდა ბნელი ღამეც მნამდეს თვალგახელილი,
არც ისე ვარგა, გამუდმებით იყო თავნება,
მაგრამ არც ისე, იყო მუდამ თავდაჭერილი.

მოვინატრულებ ზოგჯერ წვიმას, სიცხით დამხრჩვალნი,
ზოგჯერ წვიმებით გაბზრებულს მზე მენატრება,
არეულ ხილვებს ესიზმრებათ ბედი დამწვარი
და თან ჰგონიათ, არაფერი არ ესწავლებათ.

როგორ გავუძლო ნალკოტების გაპარტახებას,
რომ არ დავიცვა არსებული ცხოვრების წესი,
თუ ყოველი დღე ჩემთვის ისე უქმად ღამდება,
რომ ამის გამო დამიძახებს ვილაცა შემლილს.

აგაოება

დაუსრულებლად ბობოქრობა ამაოება,
ჭირხლდადებული ბალახივით ვარ შებოჭილი,
მისკენ ვილტვოდი, ვინც ტკბილ სიტყვას გამაგონებდა
და მიზიდავდა ხან მიწის და ხან ცის პროფილი.

ხან უდროო დროს ვიცინოდი, ხანაც ვტიროდი,
ხან შუა ფიქრში ბარბაცებდა ჩემი ოცნება,
ბედის კენჭები მისხლტებოდნენ სანაპიროზე,
ახლოვდებოდა ნუთი, რომ წამს გამშორებოდა.

პირველად, რაც გზად შემეყარა, იყო აპრილი,
ჭინკების ჭვრეტა მიმყვებოდა სახლის კარამდის,
ნამით მეგონა ეს ცხოვრება ლალი, ადვილი,
განუწყვეტელი ღრეობით და ბალ-მასკარადით.

დრო ნუთიერი გრძნობებივით იყო შმუშნია
ჩემი თვალისწინ აღმართული ბნელი სვეტებით,
არ მოსდიოდა ქარის თარეშს აინუშნიაც,
რომ მეხთაცემის თანამდევნი იყვნენ კერპები.

ვიყავ შემყურე მონყალეების და ერთარსების,
მენატრებოდა სიხარულის ღია მარცვალი,
როცა რიფრაყებს ჩემთვის ჩუმად ვეალერსები,
ამაოება მსუსხავს თვალით დედინაცვალის...

ვახია აურუქესქანოვას ბეი!



„ჩემდამი კეთილ განწყობილი პიროვნება შემეკითხა, მივიღებდი თუ არა მას ჩემთან.“

მე მივუგე, დიდ სიამოვნებას მომანიჭებდა-მეთქი ეს, მაგრამ ვიცი, რომ სხვა ფრეილინებს არ ღირსებიათ ასეთი პატივი და სულაც არ მინდა-მეთქი გამონაკლისი ვიყო.

შუამავალმა, როგორც ჩანს, ჩემი გაწვავლება მოინდომა და თქვა, ალბათ მე უნდო პიროვნებად მიგანივართო და ის იყო შეპასუხება დავაპირე, რომ ვილაცამ შეგვაწყვეტინა საუბარი. რას ფიქრობთ ჩემს ნაამბობზე? ანდა ჩემს პასუხზე?

გამოვიტყდებით, რომ მსურს მეწვიოს, მაგრამ არამც და არამც არ გამოვიწვევ საამისოდ“.

...ეს შეხვედრა პავლოვსკში მოხდა...

თავდაპირველად თავადის ასული კეკლუცობდა, ცდილობდა ჩაცმულობის ხელოვნებითაც ისევე მიეპყრო ყურადღება, როგორადაც გონიერებით, მაგრამ მალე უფრო კეთილშობილურმა ზრახვამ იძალა: მან გადაწყვიტა გამოეყენებინა მისდამი მინიჭებული უფლებები კეთილი საქმეებისათვის და როდესაც ხელმწიფესთან შეხვედრის დროს მართლაც შეძლო აღმოეჩინა წყალობა ორი ღირსეული პიროვნებისათვის, ის წერდა: „მხოლოდ და მხოლოდ ასეთ საქმეებს შეუძლია ჩემი გადარჩენა“. ეტყობა, თავის თავით უკმაყოფილომ დაუმატა: „მე ლაფში მოვადინე ტყაპანი“... „როგორ ვცდებით ხოლმე საკუთარი ძალების შეფასებაში“. მიუხედავად ამისა, მას ჰქონდა ბედნიერი გამონათება მისი რომანის გარიჟრაჟზე. მოხეიმე, გახალისებული ტონით ეხუმრება კრისტინს: „ღმერთმანი, უცნაური კაცი ხართ. ასეთი შეხვედრების ამბავს გიმხელთ და თქვენ კი გსურთ ვიამბოთ რაღაც პოლონეზ-

ზე, რომელზეც გამიწვიეს. „ხომ არ გაგაწვდი!“

მერყევ იმპერატორზე მისი ზეგავლენა იქნებ არც იმდენად სიღრმისეული იყო, მაგრამ თუ მათი საუბრის გარშემო არსებული გადმოცემების მიხედვით ვიმსჯელებთ, რაც თურმე საათობით გრძელდებოდა, იმ წუთებში საუკეთესო თვისებები მჟღავნდებოდა.

1917 წელი განსაკუთრებული თარიღია თავადის ასულ თურქესტანოვას ცხოვრებაში. რწმენა, რომ ხელმწიფე წყალობდა, შინაგანად ახალისებდა და აქეზებდა დაკისრებული მოვალეობის შესრულებაში. იგი ვატაცებით მიისწრაფოდა მიზნისაკენ, მონაწილეობდა სპექტაკლებში და თავისი სილამაზითა და არტიზტული ნიჭით აღაფრთოვანებდა პავლოვსკელებს. აქამომდე, როგორც ჩანს, მისი და იმპერატორის ურთიერთობა, პირწმინდად პლატონური იყო, მაგრამ გვირგვინოსანი თანდათან ისე გაიტაცა ამ გრძობამ, რომ იგი აღარც მალავდა მას. სახელობის დღესთან დაკავშირებით მან უსახსოვრა კამეაზე გამოსახული ჩინებულად მიმსგავსებული თავისი პორტრეტი ქარავგული ზედწარწერით:

„Celui qui vous preferez. De la part de celui qui vous prefere.“

„მას, ვინც ჩემი რჩეულია, მისგან, ვინც მისი რჩეულია“. (სელუი კი ვუ პრეფერე, დელა პარ დე სელუი კი ვუ პრეფერე“).

მას ჩვეულებად ექცა ქალებისათვის გვერდი აევლო, ჩამომჯდარიყო თავისი რჩეულის ახლოს და ასე გაეტარებინა მთელი საღამო. მაგრამ ეს ზეიმი უკვე შემოდგომაზევე ჩაუმწარდა თავადის ასულს. რამ ააფორიაქა იგი?

იმისმა გულგრილობამ, „ვიზეც მან არჩევანი შეაგლო“? გამოხატა კი ეს ალექსანდრემ მონარქთათვის ჩვეული უხეშობით, რაც თურმე სასტიკად იწვინა თვით დედოფალმა ლუიზამ თავისი დროის ამ ერთ-ერთმა ულამაზესმა ქალმა. ნაპოლეონისაგან ერთხანს ხომ მასაც სწამდა ღრმა და ზიარი სიყვარულისა!

თავადის ასულ თურქესტანოვას წერილებში თანდათან იგრძნობა გულგატეხილობა. სასახლის კარის ცხოვრების ათვალწუნებამ „არც ბედნიერებას რომ გწევს და არც მისი სხვაგან პოვნის საშუალებას გვაძლევს“ – გამოიწვია ფარული განცდები. სიტყვიერად თითქოსდა ღმობიერი, ისეთივე ლიბერალური იმპერატორი, როგორც მოწაფეობისას ყოფილა თავისი ყოფილი გამზრდელის ლაგარპის ხელში, საქმე საქმეზე რომ მიდგებოდა, დესპოტურად იქცეოდა, უკან არ იხევდა, რათა თავისი ბოროტი გენიის – არაკჩევეის აღმაშფოთებლად მკაცრი ბრძანებებისათვის ხელი მოეწერა. მისი შემკვიდრებითი ინსტიტუტები უეცარი და ფეთქებადი იყო და ასეთ დროს ქალებისადმიც ისეთ სიმკაცრეს იჩენდა როგორც მამაკაცების მიმართ და მაშინ აღარავინ იყო დამცველი „მარადიული მგზავრის“ გასაოცარი გაგულისებისაგან.

უბედური ფრეილინა უთუოდ გრძნობდა გარდაუვალი განხეთქილების მოახლოვებას, თუმცა საბოლოო სიტყვა ჯერ კიდევ არ იყო ნათქვამი. თუმცა სინამდვილეს ჩრდილი წამოეპარა, თუმცა ცისკიდურზე ღრუბლები გამოჩნდა, მას ჯერ კიდევ შეეძლო დიდხანს არ დაეკარგა იმედი...

როგორც ყველა მგრძნობიარე და შთაბეჭდილებიანი არსება, იგი

დაისაჯა თავისი მეტისმეტი კდემამოსილები და სულიერი სიფაქიზის გამო. „ჩემივე ბედისწერის, უფრო კი ღმერთისადმი მიცემული აღთქმის გამო“ – წერს იგი... და დასძენს: „ნიადაგ ვფიქრობ იმაზე, თუ როგორ დავაღწიო თავი აქაურობას, ყოველივეს, რასაც ვხედავ და რამაც საშინლად მომქანცა“.

იმპერატორ ალექსანდრეს უბედურების მეტი არაფერი მოუტანია ბანოვანთათვის, რომლებიც უყვარდა და მით უფრო მათთვის, ვისაც იგი ჰყვარებია, თვით უგულითადესი დედოფლის ელისაბედ ალექსის ასულის ჩათვლით. ერთადერთი გამონაკლისი ნარიშკინა იყო, მაგრამ მას არც უყვარდა იგი და მოურიდებლად ღალატობდა თავის თანამემამულე ახალგაზრდა პოლონელ ჰერასთან. მისი ხასიათის გაორება იმდენად აშკარა იყო, რომ თანამედროვე ფსიქოლოგები ფიზიკურ ანომალიას, თავის ტვინის დაავადებასაც კი მიაწერდნენ – რისი ერთ-ერთი გამოხატულებაც იყო მუდმივი მოგზაურობის მოთხოვნილება.

რასაკვირველია, მამისეული მემკვიდრეობა უკვალოდ არ ჩაივლიდა და ის საშინელი განცდები, რაც მის მეფედ კურთხევას ახლდა, შეიძლებოდა ნევროპათიის მიზეზიც ყოფილიყო. საერთოდ კი იგი განხლდათ განგებისაგან უხვად დაჯილდოებული ადამიანი, განსაკუთრებით ესთეტიკური თვალსაზრისით, მაგრამ სუსტი ნებისყოფის პატრონი, – ეს სისუსტე იყო მიზეზი მისი არაერთი შეცდომისა, რომლებიც არ შეესაბამებოდა მისსავე დიდ ნიჭს. ჯერ კიდევ იმპერატრიცა ეკატერინე აღნიშნავდა გრიმთან მიმოწერაში ამ მანკს. ხასიათის ესოდენ ამოუხსნელი, თითქმის ერთმანეთის გამომრიცხველი თვისებები, დღევანდელი სამედიცინო ანალიზის თვალსაზრისით აღარ წარმოადგენენ რაიმე სირთულეს, და ყოველ-

გვარი ფარგლებიდან გამოსული ფსიქიური კონტრასტებით ადვილად შეიძლება იმ წინააღმდეგობათა და მოულოდნელობათა ახსნა, რითაც აღსავსე იყო ამ სიმპათიური და ამდენადვე ტრაგიკული ადამიანის ცხოვრება.

დრო გადიოდა; ვარია თურქესტანოვას სატრფიალო ამბის პერიპეტიები, დაწყებული იმპერატორის ხშირი არყოფნის გამო, თავისი გზით მიედინებოდა და თანდათან ქალი რწმუნდებოდა, რომ ხელიდან გაუსხლტებოდა იგი, თუკი ბოლომდე არ დანებდებოდა. თუმცა ცდილობდა გაეხანგრძლივებინა მოახლოებული დაცემის საშიშროება და პირქუშად პასუხობდა კრისტინს გაფრთხილებაზე;

„ამაოდ მიწინასწარმეტყველებთ, რომ ჩემი იმედები ფუჭია. ახ! ღმერთო ჩემო, მე ხომ თვალში ვიხედები და ყველაფრის ხალისი დავკარგე; ერთადერთი ნუგეში ისღაა, რომ ყოველგვარ ტანჯვას დასასრული უნდა ჰქონდეს და დრო მარადისობასთან შედარებით არარაობაა.“

შემდგომ იგი ლაპარაკობს მარხულობაზე და განმარტობაზე: „რვა დღე გავატარე მარტობაში; მსურდა გამომეცადა რამდენად გამიჭირდებოდა საზოგადოების გარეშე ყოფნა; სიმართლე რომ გითხრათ, ეს არც ისე ძნელი ყოფილა, თუმცა ჯერ შორს ვარ იმ აზრიდან, რომ ჩემი ნებით განვერიდო მას საბოლოოდ... საერთოდ, როგორც ჩანს, განდევნილობისათვის ჯერ არ მოვმწიფებულვარ...“

ეს იყო გაბრძოლება მგზნებარე სულისა ხელოვნური ბორკილების წინააღმდეგ, უმთავრესად კი თავის დაღწევის სურვილი იმ ნაგვიანები ვნებებისაგან, რამაც თავადის ასული აიძულა ცდუნებას აყოლოდა წინააღმდეგ მისი სასიცოცხლო პრინციპისა – წინააღმდეგ უმანკოებისა და მაღალი ზნეობისა.

აფიქრებდა აგრეთვე იმათ თვალში დაცემაც, ვინც ესოდენ მაღალ კვარცხლბეკზე დააყენა იგი. ცდილობდა რა ყველანაირად აერიდებინა თავი გულახდილობისათვის, რითაც ნათელი მოეფინებოდა სინამდვილეს, იგი ლაპარაკობს თავის დარდზე თან წერილშივე დასძენს: „ფრთხილად, ნუ მაიძულებთ მევე გამოვიგლოვო ჩემი თავი, ამით უფრო დამტანჯავთ“...

თავგამოდებულ მართლმადიდებელს კათოლიციზმიც იზიდავდა, მაგრამ იეზუიტების მიმართაც სიმპათიას გრძნობდა, რომელთაც პეტერბურგში ჰპოვეს თავშესაფარი; მათი ნათელი რწმენა, ყოველგვარი პირადული სიკეთის უარყოფა, თვითაღკვეთა, ესიტყვებოდა მის გულს და წარმოდგენას; უმთავრესად მას სწყუროდა ის სულიერი მოძღვარი, რომლის იდეალსაც ხედავდა არა თავის, არამედ იეზუიტების რელიგიაში. სწორედ ამ დროს გაიცნო მან მადამ სვეჩინა, რომელიც ის-ის იყო ემზადებოდა იმ დიდი როლისათვის, რაც კათოლიკურ სამყაროში ელოდა და შეეძლო მისი მნიშვნელობის შეფასება. მათ ერთმანეთისკენ იზიდავდა საერთო მისწრაფებები და ამ ორ, ერთნაირად გულანთებულ მანდილოსანს, კარგად უნდა გაეგო ერთმანეთისათვის.

კრისტინისადმი მიწერილ ერთ წერილში (1814 წლის 3 სექტემბერი, „რუსულ არქივში“ იგი არ გამოქვეყნებულა) ვარია თურქესტანოვა წერს:

„ახ, ღმერთო ჩემო, რა საჭიროა წარა-მარა ეს ეკლესიაში სიარული, წირვა-ლოცვა? ეს ხომ აშკარად გარეგნული თაყვანისცემაა. არა და, ამას როდი გვქადაგებდა იგი, ვისაც ვეთაყვანებო. უშურველობა, თავმდაბლობა, სათნოება და მოწყალების გაღება – აი, რაა საჭირო და რას ვერ ვგრძნობ აქ...“

რაც შეეხება მას, იგი მისი მცირედი ქონების მიუხედავად, მართლაც და უშურველად გასცემდა.

მან აღზარდა თერთმეტი წლის ობოლი ბიჭუნა – გაფლანგვისათვის ჩავარდნილი პორტის მსახურის – ჰერტელის ვაჟიშვილი; მის კმაყოფაზე იყო მოხუცი აღმზრდელი. და საერთოდ, დიდად წყალობდა და დიდად თავგამოდებული იყო უპოვართა და დაბეჩავებულთა მიმართ. მაგრამ მისი შემწყნარებლობა როდი ეხებოდათ ძლიერთა ამა ქვეყნისათა, რომელთაც იგი სიამოვნებით და შეუბრალებლად კიცხავდა.

თავისი თითქოსდა დემოკრატიული გრძნობები თავადის ასულმა იმითაც გამოხატა, რომ მისი ახალგაზრდა მოახლის ნადეჟდას მასწავლებლობაც კი იკისრა და მას „მადმუაზელ დემოკრენი“ შეარქვა, რადგან მისი სახე ძველ მეგობარს აგონებდა. თავადის ასული ყოველდღიურად ამეცადინებდა ფრანგულ ენაში (1815 წლის 18 ივნისის წერილიდან; ეს წერილი გამოუქვეყნებელია) და ყოველ სურვილს უსრულებდა

ბოლოსდაბოლოს ამ ბანოვანის სულში გაიღვიძა მისიონერობის წყურვილმა და მან იმდენი ღონე შეაღია ყოფილი პარიზელი ელჩის გრაფ მარკოვის მოქცევას, რომ კრისტიანმა მათი შეუღლება კი გადაწყვიტა; მაგრამ არაფერი მსგავსი არ შეიძლებოდა მომხდარიყო... რაკი მან ვერ შეძლო მარკოვში რელიგიურობის გაღვივება, ხელი მიჰყო თავისი მეზობლის (სასახლეშივე) სვისტუნოვის მორჯულებას და წერს კიდევ წერილებში თუ როგორ მოახერხა გარდაექმნა ეს კაცი და ექცია ღვთისმოსავ ადამიანად. იგი ღოცულობს და ესწრება ქადაგებებს, ამ დროს კი სტუმრები მის გამოჩენას ელიან დარბაზობაზე.

კრისტიანი მას წმინდა ტერეზას ადარებს...

რაც უფრო ღრმად ეცნობით ამ ორიგინალურ მიმღწერას, მით უფრო გრძნობთ კრისტიანის ღირსებას, მის კეთილშობილურ, უცვლელად სულგრძელ, თითქმის მიაშიტურ ერთგულებას და მიმნდობლობას გრაფინია ბროლისადმი, თავადის ასულ თურქესტანოვასადმი კი

იგი უფრო თანაგრძნობას ამჟღავნებს, ვიდრე აღტაცებას.

ღროდადრო ვარია თურქესტანოვა თითქოსდა შიშობს ვინმე არ შეეხოს მის ჭრილობას, რაზეც კრისტიანი პასუხობს: „თერთმეტში გამოგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ თქვენ ფიზიკურ ტკივილებზე მეტად სულიერი ტკივილებით იტანჯებით. მეც გამომიცდია ასეთი რამ და თანაგრძნობთ. ერთადერთი ხსნა – დარდის გაქარვების ცდა, გამხიარულება. ეს გახლავთ ბედისგან და წარმატებისაგან განეზვიერებული, მოყირჭებული ადამიანების ავადმყოფობა და ამავე დროს იმითაც, ვინც ხედავს, რომ წყურვილის მოკვლა ზნეობრივად შეუძლებელია, მით უმეტეს, როცა ეს წყურვილი ესოდენ ძლიერია. ოდესღაც მეც ასევე ვიტანჯებოდი. დრომ განმკურნა და გამოინელა გრძნობები. თხუთმეტი წლის წინათ ჩემი სურვილები ცეცხლოვანი გულივით მანათობელი იყო, ახლა მთვარის შუქივით მინავლული, ნაზი და ცოტადონ მელანქოლიურია, მაგრამ არასოდეს მწველი“.

მისი მეგობრის გრძნობები ჯერ კიდევ შორსაა მთვარისებური მინავლულობისაგან. სიყვარული ჯერაც ზეობს მის ცისკიდურზე, მაგრამ სასოწარკვეთილების წუთებში მაინც წერს: „ჩემი მზე ჩაესვენაო“! (My time is finished!)

მინდოდა ეს სიტყვები ამომეტვიფრა კიდევ ბეჭედზე, რათა ჩემით დაინტერესებული ზოგიერთი ადამიანი დამერწმუნებინა ამაში, მაგრამ რატომღაც გადავიფიქრე; იქნებ იმიტომაც, რომ ყოველი წერილისა თუ მცირე ბარათის დაბეჭდვისას ეს გამოთქმა ძველ დარდებს ამიშლიდა, ხოლო მათი ყოველი გახსენება და გაცოცხლება სახიფათო იქნებოდა ჩემთვის.

ცდებოდა თავადის ასული, როცა ამბობდა, – „ჩემი მზე ჩაესვენაო“... თუმცა ყოველის შემძლე მიჯნური განელდა მის მიმართ, მაგრამ დრამა მხოლოდ იწყებოდა, რა გულითაღმა საიდუმლოდ, რა მოულოდნელ გრძნობათა აფეთქე-

ბამ აიძულა ესოდენი მაღალგონიერებით და მაღალი მისწრაფებებით, იქამდე ესოდენი უმწიკვლოებით გამორჩეული ქალი, რომელმაც უიშვიათესი სილამაზის გრძნობა განიცადა, იმავედროულად სხვაზეც ეფიქრა?


თუკი მას არ სურდა კრისტიანისათვის ბოლომდე გაემჟღავნებინა რაც მასსა და იმპერატორს შორის ხდებოდა, მით უფრო უმაღავდა, რომ სიგიჟემდე შეუყვარდა ვლადიმერ გოლიცინი. მაგრამ იგი ცდილობდა ამ გაურკვეველი ჩივილებითა და სანახევრო აღიარებით როგორმე შვეება მიეცა თავისი ტანჯული სულისათვის.

„თქვენი სინანული სასოწარკვეთილებაში მაგლებს და აძლიერებს ჩემს თანაგრძნობას“, – წერდა მას კრისტიანი! „მაგრამ ვერ გამიგია რატომ იტანჯებით ასე? ვცდილობ ამოვხსნა ეს, იქნებ ჩემმა მეგობრობამ შეამსუბუქოს იგი. ყოველ შემთხვევაში უკან ნუ დაიხვეთ და შეებრძოლეთ ყველანაირად: მოიხმეთ მთელი თქვენი ძალები, მიენდეთ სინამდვილეს, ეცადეთ მოიაზოვოთ რაც შეიძლება მეტი და მეტი გამარჯვება, მაგრამ ნურც წარუმატებლობის გამო ჩავარდებით სასოწარკვეთილებაში, ნუ დაკარგავთ სულის სიმხნევეს... იქნებ ჩემ სიტყვებს არაფერი აქვს საერთო თქვენს მდგომარეობასთან – ნურც ამაზე მომერიდებით და მიმახვედრეთ: ვიცა, რომ ყველანაირი სისუსტის აღიარებაზე უძნელესი გულითადი განცდის და აფეთქებული გრძნობის გამხელაა.“

კრისტიანი მხარს დაუჭერდა თავის მეგობარს თუნდაც მორგანატიკულ-არათანაბარ ქორწინების საკითხში, მაგრამ მას ავიწყდებოდა, თუ როგორ იცვალენ დრონი. ის, რაც ქალს სახელს მოუხვეჭდა ლუი XIV კარზე დაუშვებელი იყო ალექსანდრე პირველთან, რომლის გამიჯნურებაც ფრეილინასადმი ისეთი საიდუმლოებით იყო მოცული, რისი ამოხსნაც საბოლოოდ შთამომავლობამაც ვერ შესძლო.

(გაბრძელება იძინება)

კროსვორდი



თარაზულად. 5. ვულკანური კუნძული წყნარ ოკეანეში. 6. ჭიდაობის ერთ-ერთი სახეობა. 9. საშუალო სიმაღლის ან მაღალი ხე. 11. მოგონილი, შეთხზული რამ. 12. მოქმედი ვულკანი სამხ. იტალიაში. 15. ფოლადის, ხის ან რკინა-ბეტონის ვერტიკალური ბოძი. 17. მრავალსერიანი კინო – ან ტელეფილმი. 18. მდინარე საფრანგეთში. 19. წყლის მტაცებელი ძუძუმწოვარა ცხოველი. 20. კუთვნილი, წილი, ულუფა, კერძი. 24. კალათბურთის სათამაშოდ გამართული მოწყობილობა, დაფა, რომელზედაც „კალათია“ დამაგრებული. 25. მჭერმეტყველი. 26. საქართველოს მდინარე. 29. ჩაცმა-დახურვას გადაყოლილი მამაკაცი. 30. ხმლის მხარიდლივ ჩამოსაკიდებელი თასმა. 34. მოსალოდნელი საფრთხე, საშიშროება. 38. ზოგი ფედერაციული სახელმწიფოს შემადგენლობაში არსებული სახელმწიფოებრივ ტერიტორი-ული ერთეული, რომელსაც

აქვს თვითმმართველობა. 34. სიმებიანი საკრავის ყელზე სიგრძივ დაკრული (დანაყოფებიანი) ფირფიტა, რომელზედაც თითებით აჭერენ მის გაყოლებაზე გაჭიმულ სიმებს ხმის სიმაღლის შესაცვლელად.

შეუღლად: 1. სოფელი ბოლნისის რაიონში, სადაც დაიბადა სულხან-საბა ორბელიანი. 2. ფაეტონი. 3. სიმებიან საკრავი. 4. ქალაქი სამხრ. დაჰოკაში. 7. წარმართობის დროინდელი ქართული რიტუალური საფერხულო ცეკვა. 8. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი თბილისში. 19. ამერიკელი მწერალი, ამერიკული კრიტიკული რეალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი. 13. საღებავები, რომლებშიც შერეულია კვერცხის გული ან წებოს და ზეთის ხსნარი. 14. საორკესტრო პიესის, ოპერისა და მისთ. ვადალება ფორტეპიანოსათვის. 16. საბერძნეთის დედაქალაქი. 18. იტალიელი კინომსახიობი, მთავარი როლის შემსრულებელი ფილმში „ჟურნალისტი რომიდან“. 21. თექვსმეტმარცვლოვანი ოთხტაეპიანი ლექსი. 22. გეოგრაფიული რუკების კრებული. 23. მსახიობის სახის შეცვლა სპეციალური საღებავებით, წვერის, ულვაშის დაწებებით და ა. შ., რაც საჭიროა ამა თუ იმ როლის შესასრულებლად. 27. შეჯიბრების დაწყების მომენტი. 28. ამერიკელი მსახიობი. 31. იტალიელი კომპოზიტორი, ფელინის ფილმების მუსიკის ავტორი. 32. ჭრილობა.

შეადგინა **ციალა ავაშუკაძე**

დროშა № 7-8- ში გამოკვეთილი კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 1. ჩოგბურთი. 4. როსინი. 9. ტური. 10. დერე. 11. მემორიალი. 14 ირანი. 17. რინგი. 18. პასტელი. 19. კვერთხი. 20. არტისტი. 24. ალიანსი. 25. ნოელი. 26. ქნარი. 30. პასტორალი. 32. იაკი. 33. ლეთე. 34. იადონი. 35. დიაგრამა.

შეუღლად: 2. ვირი. 3. რომეო. 5. სეული. 6. იდეა. 7. პრესტიჟი. 8. ბერკეტი. 9. ტარიფი. 12. ანტრესოლი. 13. ფიროსმანი. 15. მარხილი. 16. კლიროსი. 21. მუნასიბი. 22. პასტორი. 23. ოლივიე 27. ბადრო. 28. ელიტა. 29. აკრი. 31. „ლელა“.

№ 9-10 1999 (706)

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

დროშა

სარედაქციო კოლეჯია:

ჯანსუღ ჩარკვიანი – თავმჯდომარე,

გულნარა ბახტაძე
პასუხისმგებელი რედაქტორი,

ვასილ გვითაძე, ნატა თათარაშვილი, ზურაბ კვანტრიშვილი, თედო ნინიძე, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ელდარ გენგებლია, ზურაბ ნარეთელი, თამაზ ჭილაძე.

იუმორი

მხატვარი მურთაზ ავაშიძე





